დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2023 წლის 9 - 15 იანვარი

N 3 1467

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



## ლადო ბედუკაძე:

საქართველო შეუდარებლად უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა,

### სააკაშვილი საერთოდ რომ არ დაბადებულიყო!

21

## ფრიდონ ინჯია:



ვინც სააკაშვილის გათავისუფლებას თავს მოაბამს, 200 მილიონ დოლარს გადაუხდიან! ეს სააკაშვილის ოჯახის მიერ დაწესებული ჯილდოა!

10

„ზურაბიშვილი სააკაშვილს ტყუილად არ შეიწყალებს!“

# მიხეილ არტისტოვიჩი

2

## ვენედი ბენიძე:



### სააკაშვილის ადვოკატები ხალხს ნუ ატყუებენ!

11

ვინ ეკითხება სასამართლოს პატიმრის საზღვარგარეთ გადაყვანას?

# მალვა,





თუ სააკაშვილი თავისი ფეკალიებით კალათბურთს თამაშობს, შენ ამ ფეკალიებს კაი ხანია, მიირთმევ და თანაც დიდი ნიჩბით!

7

# ორსახოვანი ადვოკატის ვნებანი

22

## დავით ოქიტაშვილი:



### რაც გიული ალასანიას წამოსცდა, ეს არის აღიარება – ოქიტაშვილი უნდა მოგვეკლა და ცოცხალი როგორ გადაგვირჩაო!

„ხმამაღლა მივმართავ დედა გიულის!“

6



„პატიმარი დედასთან ერთად რომ იხდიდეს სასჯელს, პირველად ვნახეთ!“

# გიფიქრიათ ამაზე სერიოზულად?

## არნო ხიდირბეგიშვილი

### ამიტომაც აამოქმედა აშშ-მა სომხეთში თავისი უზარმაზარი საელჩო-ციტადელი!

9



საქართველო შესაძლოა, რუსეთისა და ჩინეთის მიერ დაცული ქვეყნების რიცხვში აღმოჩნდეს!

# ჭორი!



მერაბიშვილის თავხედური წასისინება – „რა დროს ბუტა რობაქიძეა!“ – იმ განცხადების გაგრძელებაა, რომელიც სააკაშვილმა ჯერ კიდევ 2018 წელს კიევიდან გააკეთა – „რაღა დროს ბირგვლიანია!“

4

***მიხეილ სააკაშვილს „არტისტოვიჩი“ გვარადაც გამოადგება და წოდებადაც! გვარად იმიტომ, რომ იძახის — თავს ასი პროცენტით უკრაინელად ვგრძნობო და წოდებად იმიტომ, რომ პატიმრობის შემდეგ ერთთავად არტისტობით არის დაკავებული!***

# მიხეილ არტისტოვიჩი

მშვენიერი იქნებოდა — **მიხეილ არტისტოვიჩი!**

ნახეთ, როგორ კარგად და ჰარმონიულად ჟღერს — **ოლექსი არესტოვიჩის მეგობარი მიხეილ არტისტოვიჩი!**

წარმოიდგინეთ, როგორი ტკბილხმოვანი ნიუსი გამოვიდოდა — **არესტოვიჩის განცხადებით, არტისტოვიჩი პუტინის პირადი პატიმარია!**

ან ასე — **არესტოვიჩის განცხადებით, რუსეთისათვის მეორე ფრონტის გახსნა მხოლოდ არტისტოვიჩს შეუძლია და დღეს საქართველოს ხელისუფლებაში რომ ყოფილიყო, ამას უეჭველად გააკეთებდა!**

სხვა თუ არაფერი, უკრაინას ეყოლებოდა ორი ბუმბერაზი პოლიტიკოსი, რომელიც ერთმანეთს არამხოლოდ აზროვნებითა და მორალით ჰგავს, არამედ გვარითაც — **არესტოვიჩი** და **არტისტოვიჩი!**

მოკლედ, სააკაშვილისათვის, რომელიც თავს ასი პროცენტით უკრაინელად გრძნობს, **არტისტოვიჩის** გვარი ზედგამოჭრილი იქნება!

კიდევ უფრო ზედგამოჭრილი იქნება **არტისტოვიჩის** წოდება!

თავად განსაჯეთ, რამხელა არტისტიზმი სჭირდება, რომ დაპატიმრების მეორე დღიდანვე კვდებოდე და წელიწად-ნახევრის შემდეგაც ცოცხალი იყო; ხბოს ღვიძლის პაშტეტებს მიირთმევდე და პროტესტის ნიშნად სასიკვდილო შიმშილობა გქონდეს გამოცხადებული; კლინიკის ოროთახიან ლუქს-პალატაში იწვე და წამების მსხვერპლი იყო; პუტინმა და ივანიშვილმა ოთხნაირი საწამლავი დაგალევინონ და მაინც ვერ მოგწამლონ!

რა **რამაზ ჩხიკვაძე** და რის **ლოურენს ოლივიე**... ამ კორიფეებს **სააკაშვილის არტისტობასთან** ახლოსაც არ ჩაუვლიათ!

აღარაფერს ვამბობთ საწოლიდან გადმოვარდნილი კაცის როლზე, რომელიც სააკაშვილმა კლინიკა „ვივამედში“ ისე **არტისტულად** შეასრულა, რომ ტიტანი ჩარლი ჩაპლინი საფლავში აბორგდა — მე ამასთან ნული ვყოფილვარო!

**სააკაშვილი მართლა მომაკვდავი რომ იყოს, სრული უფლება ექნებოდა, იმპერატორ ნერონის სიტყვები გაემეორებინა — „როგორი დიდებული მსახიობი ვკვდები!“**

ჰოდა, ასეთ კაცს **არტისტოვიჩის წოდება** არ ეკუთვნის?

არ ეკუთვნის კი არა, მხოლოდ არტისტოვიჩის წოდებაც ცოტაა მისთვის!

მას **სახალხო არტისტოვიჩის წოდება** ერგება!

ცხადია, სააკაშვილი უნდა იყოს უკრაინის სახალხო არტისტოვიჩი, რადგან თავს ასი პროცენტით უკრაინელად თვლის!

ეჰ, **როგორ არ გაუმართლა უკრაინას, რომ პრეზიდენტად „კავეენისა“ და სერიალების ტაკიმასხარა უზის, ხოლო ნამდვილ არტისტს, ჭეშმარიტ სახალხო არტისტოვიჩს საქართველოში, კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში უწამებს და ვერცხლისწყლითა და დარიშხანით უწამლავს ივანიშვილ-პუტინის მტარვალი რეჟიმი!**

სააკაშვილის უმაღლესი არტისტიზმი, მის მიერ მოშიმშილის, მოწამლულისა და მომაკვდავის როლის უზადო შესრულება მხედველობიდან არ გამორჩენია თვით სრულიად საქართველოს **კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს,** რომელმაც პატიმარ-პაციენტ ნაცბელადს წერილი მისწერა და **„ჭეშმარიტი სხვა რეალობის შესაცნობად“ სულიერი სიმტკიცე უსურვა.**

ზუსტად რომ ვთქვათ, 2022 წლის 25 დეკემბერს **მიხეილ არტისტოვიჩს** თავისი ადვოკატის **შალვა ხაჭაპურიძის** ხელით პატრიარქისათვის წერილი გაუგზავნია, რომლითაც აღსაყდრებიდან 45 წლისთავი მიულოცავს, **ილია მეორეს** კი საპასუხო წერილი მიუწერია, რომელიც ასევე ადვოკატმა ხაჭაპურიძემ გაასაჯაროვა.

**მიხეილ არტისტოვიჩისადმი პატრიარქის წერილში სიტყვასიტყვით წერია:**

> *„ბატონო მიხეილ, გულითად მადლობას გიხდით აღსაყდრების დღის მოლოცვისათვის; მეც გილოცავთ დაბადების დღეს და დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და, პირველ რიგში, ღვთის შეწევნას თქვენს სულიერ ძალთა განსამტკიცებლად და ჭეშმარიტი* ***სხვა რეალობის შესაცნობად“.***

**ილია მეორემ** სააკაშვილს **„ჭეშმარიტი სხვა რეალობის შესაცნობად“** სულიერი სიმტკიცე რომ უსურვა, ეს საზოგადოების დიდმა ნაწილმა გაიგო, როგორც პატრიარქის რჩევა თუ მოწოდება ნაცბელადისადმი — **გააცნობიეროს რეალობა, რომელშიც აღმოჩნდა; გაითავისოს, რომ დღეს ყოვლისმპყრობელი პრეზიდენტი კი არა, პატიმარია და საკუთარ თავში მოძებნოს ძალა, სასჯელი ღირსეულად მოიხადოს!**

ვინ, თუ არა საქართველოს ბრძენმა პატრიარქმა, რომელიც სააკაშვილს ძალიან კარგად იცნობს, მშვენივრად იცის, რომ მისი დღევანდელი მდგომარეობა მხოლოდ ერთი რამით — პატიმრობასთან ვერშეგუებით არის გამოწვეული!

ვინ, თუ არა საქართველოს ბრძენი პატრიარქი, რომელიც სააკაშვილს ძალიან კარგად იცნობს, მშვენივრად ხედავს და ხვდება, რომ მისი **დღევანდელი არტისტოვიჩობა,** ანუ წამებულ-მოწამლულ-მომაკვდავის როლის თამაში მხოლოდ პატიმრობიდან თავის დახსნის მცდელობაა!

თავს უფლება რომ მივცეთ და ძირისძირამდე გავქექოთ პატრიარქის მიერ სააკაშვილისათვის მიწერილი სიტყვები — **ჭეშმარიტი სხვა რეალობის შესაცნობად სულიერ სიმტკიცეს გისურვებთო,** ხელთ შეგვრჩება რჩევა თუ მოწოდება — **ბატონო მიხეილ, ცოტა ღირსეულად მოიქეცით, ჭირვეულობას თავი დაანებეთ, არტისტოვიჩობა მოიშალეთ და მოიხადეთ სასჯელი, რომელიც სამართლიანად (ჭეშმარიტად) გერგოთო!**

სხვათაშორის, სააკაშვილის სექტის წევრებმაც სწორედ ეს კონტექსტი წაიკითხეს პატრიარქის წერილში და აღშფოთებაც გამოხატეს. მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის პარტიულმა ტელეკანალიზაციამ **„მთავარმა არხმა“** საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე განათავსა ილია მეორისა და მიხეილ სააკაშვილის ფოტოკოლაჟი წარწერით — **„გისურვებთ ჯანმრთელობასა და ღვთის შეწევნას ჭეშმარიტი სხვა რეალობის შესაცნობად. პატრიარქის წერილი მიხეილ სააკაშვილს“.** აღნიშნული პოსტის ქვეშ ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა **ხატია დეკანოიძემ** დაწერა კომენტარი — **„ძალიან ცუდი წერილია“,** ხოლო კეზერაშვილის ტელეჯიხურ „ფორმულას“ ერთ-ერთმა სახემ **ვახო სანაიამ** დააკომენტარა — **„კოშმარი“.**

აღარაფერს ვამბობთ სხვა წვრილფეხა ნაცსექტანტებზე, რომლებმაც სოციალური ქსელები პატრიარქის ლანძღვა-გინებით აიკლეს!

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართველი ულტრალიბერალების ერთ-ერთი გურუს **გიგა ბოკერიას** ცოლის **თამარ ჩერგოლეიშვილის** ფეისბუქ-პოსტი: **„პატრიარქმა მიშას მისწერა — სულიერი სიმტკიცე მოიკრიბე ახალ რეალობასთან შესაგუებლადო, ანუ ცოტა „დასტოინად“ მოიქეციო — ასე გავიგე. ვინც სხვანაირად გაიგო, მეც გამაგებინოს“.**

მოკლედ, ეს ის უიშვიათესი შემთხვევაა, როცა ნაცსექტანტებმაც და საღად მოაზროვნე ქართველმა საზოგადოებამაც პატრიარქის სიტყვებიდან ერთნაირი დასკვნა გამოიტანეს — **ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი სააკაშვილს პატიმრობასთან შეგუებისა და სასჯელის ღირსეულად მოხდისაკენ მოუწოდებს!**

თუმცა, მეტი არაა ჩვენი მტერი, სააკაშვილმა პატრიარქის რჩევა ყურად იღოს, **არტისტოვიჩობაზე** ხელი აიღოს და ტრაგიკომიკური სცენების თამაშს შეეშვას!

**მიხეილ არტისტოვიჩი** სულ სხვა „პატრიარქებისა“ და „მოძღვრების“ რჩევა-დარიგებებით მოქმედებს და მოწამლულ-მომაკვდავის როლზეც მათ მიერ არის ხელდასხმული!

***ჯაბა ხუბუა***




სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1
ტელ: (995 32) 2990378

CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel.: (995 32) 2990378

საქართველოს მესამე პრეზიდენტს,
ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო მიხეილ,

გულითად მადლობას გიხდით აღსაყდრების დღის მოლოცვისათვის; მეც გილოცავთ დაბადების დღეს და დამდეგ შობა-ახალ წელს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და, პირველ რიგში, ღვთის შეწევნას თქვენს სულიერ ძალთა განსამტკიცებლად და ჭეშმარიტი სხვა რეალობის შესაცნობად.

ქრისტესმიერი სიყვარულით,

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი,

თბილისი 2022 წ.

## პატრიარქი სააკაშვილს პატიმრობასთან შეგუებისა და სასჯელის ღირსეულად მოხდისაკენ მოუწოდებს!

## კვირგვინოსნები

**ილია მეორე**
*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა, უწმინდესი და უნეტარესი*



ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ **მომავალი ადამიანისა და ერისა უნდა იყოს მშვიდობიანი!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



საქართველოს მოსახლეობა, მათ შორის, ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები **ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები სულ უფრო რწმუნდებიან, რომ საქართველო სტაბილურობით, სიმშვიდით, უსაფრთხოებით, განვითარების ტემპით მათთვისაც სასურველი სახლია,** სადაც ისინიც ყველა იმ სიკეთით და კეთილდღეობით ისარგებლებენ, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის ევროპული პერსპექტივით იქმნება და მომავალში კიდევ უფრო განვითარდება. **მე მჯერა, რომ ისევ ერთად ვიცხოვრებთ ერთიან, ძლიერ საქართველოში.** ჩვენ გვესმის ჩვენი ხალხის დაკვეთა და ჩვენ ვასრულებთ ჩვენი ხალხის ნებას, **ჩვენ ვემსახურებით მხოლოდ საქართველოს ინტერესებს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ჩვენ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ ბრძოლა თავისუფლებისთვის გრძელდება დღესაც,** გავდივართ ძალიან რთულ გზას. დარწმუნებული ვარ, ამ რთულ გზაზეც გამარჯვებით გავალთ ყველა ის ადამიანი, ვისაც თავისი სამშობლო და თავისი ხალხი უყვარს. **დაე, იყოს მშვიდობა, სიყვარული, მეტი პატივისცემა ადამიანებს შორის! დაე, იყოს კეთილდღეობა!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**მიხეილ სააკაშვილი** უნდა შეეგუოს, რომ **დანაშაულს მოჰყვება სასჯელი და სასჯელს სჭირდება მოხდა,** ამას უნდა შეეგუონ მისი მფარველები და მეგობრებიც.

„პირველი არხი“

# ხიდზე გავიდნენ, მაგრამ აზრზე ვერ მოვიდნენ!

***ცნობილი მოწოდება — „აზრზე მოდი, ხიდზე გადი!“ — ნაცსექტის წარმომადგენლებმა ნაწილობრივ და უკუღმა შეასრულეს — ხიდზე ისე გავიდნენ, რომ აზრზე არ მოსულან!***






ამ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული ხიდი იგულისხმება — თბილისში, მტკვარზე გადებული შუშის ხიდი, რომელსაც ნაცებმა თავის დროზე **„მშვიდობის ხიდი“** დაარქვეს, ხალხმა კი „სააკაშვილის პამპერსი“ უწოდა.

ჰოდა, ამა წლის 4 იანვარს **ნაცსექტანტების ნაწილი** — ისინი, ვინც პარტიის თავმჯდომარის არჩევნებში **ნიკანორ მელიას** უჭერენ მხარს — შუშის ხიდზე შეიკრიბა.

**ნაცსექტანტების მეორე ნაწილმა,** რომელიც პარტიის თავმჯდომარის არჩევნებში **ლევან ხაბეიშვილს** ემხრობა, მთავრობის კანცელარიის წინ მოიყარა თავი.

**ნაცსექტანტების მესამე ნაწილი,** რომელიც პარტიის თავმჯდომარედ ვინმე **გიორგი მუმლაძის** მოსვლას ემხრობა, საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში ჩავიდა და ბიძინა ივანიშვილის სახლთან აქციის მოწყობა სცადა.

ამ სამივე აქციაზე მისული ხალხის რაოდენობა რომ შეკრიბო, ყველაზე ბევრი, **1000 კაცი** გამოვა. ამას რომ დაუმატო საქართველოს კიდევ რამდენიმე დიდ ქალაქში გამართულ აქციაზე მისული ხალხის რაოდენობა, ყველაზე დიდი, **1500 კაცი** გამოვიდეს. პლუს რამდენიმე ევროპული ქვეყნის დედაქალაქში საქართველოს საელჩოების წინ შეკრებილი თითოოროლა კაცი და ჯამში გამოვა, მაქსიმუმ, **2000.**

ესე იგი, მთელი საქართველოსა და ნახევარი ევროპის მასშტაბით, სააკაშვილის მხარდასაჭერ აქციაზე სულ **2000 ნაცი** გამოვიდა.

**გამოჩნდა, რომ** სააკაშვილის ბედი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა უდიდეს უმრავლესობასაც კი არ ანაღვლებს!

**გამოჩნდა, რომ** ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა უდიდეს უმრავლესობასაც არ სჯერა იმ პროპაგანდის, რომლის მიხედვითაც სააკაშვილს წამებით კლავენ და მისი სიცოცხლე პუტინისა და ივანიშვილის კლანჭებიდან სასწრაფოდ არის გამოსახსნელი!

**გამოჩნდა, რომ** ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა უდიდეს უმრავლესობას თბილ სახლში საახალწლო გოზინაყის კვნეტა და უშველებელ რიგში ყურყუტის შემდეგ სიმწრით ნაყიდი თონის პურის ბაჟეში ამოვლება ურჩევნია სიცივეში დგომასა და „თავისუფლება მიშას“ ძახილს!

**გამოჩნდა, რომ** სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, ლიდერი და წინამძღოლი, საბოლოოდ დამთავრებულია არამხოლოდ ქართველი საზოგადოების, არამედ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა თვალშიც!

**რითი დამთავრდა ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის კანდიდატების — მელიას, ხაბეიშვილისა და მუმლაძის მიერ სააკაშვილის მხარდასაჭერად ცალ-ცალკე გამართული აქციები?**

მელიამ და მისმა მომხრეებმა დაგმეს ხაბეიშვილი და დაიშალნენ!

ხაბეიშვილმა და მისმა მომხრეებმა დაგმეს მელია და დაიშალნენ!

მუმლაძემ და მისმა მომხრეებმა ჭორვილიდან ძლივს გამოასწრეს ბიძინა ივანიშვილის მეზობლებს, რომლებიც მათ აგინებდნენ და საცემრად მისდევდნენ!

ყოველივე ამის ფონზე ძალიან სასაცილოდ გამოიყურებოდა **მელიას მომხრეების მიერ შუშის ხიდიდან გადმოფენილი, ხაბეიშვილის მომხრეების მიერ მთავრობის კანცელარიასთან გაშლილი და მუმლაძის მომხრეების მიერ ჭორვილაში აფრიალებული პლაკატები — „გადაარჩინოთ მიშა“, „ნუ მოკლავთ მესამე პრეზიდენტს“** და ა.შ.

**კი მაგრამ, ვის რაში სჭირდება სააკაშვილის მოკვლა?**

**მორალურად ბოლომდე გაკოტრებული, პოლიტიკურად ბოლომდე ჩასვრილი და ადამიანურად ბოლომდე გაბანძებული ნაკაცარი, რომლის მხარდასაჭერადაც ქუჩაში მთელი საქართველოსა და ნახევარი ევროპის მასშტაბით, 2000 კაცზე მეტი არ გამოდის, ვინ და რატომ უნდა მოკლას?**

**ან რისგან არის სააკაშვილი გადასარჩენი?**

ციხის ნარის მაგივრად კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში კომფორტულ საწოლზე რომ კოტრიალობს, ამისგან უნდა გადავარჩინოთ?

ექიმები და ექთნები მისგან სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას რომ იტანენ და მაინც თავზე ევლებიან, **ამისგან უნდა გადავარჩინოთ?**

ხელისუფლება კანონზე მაღლა რომ აყენებს და ისეთ უფლებებს ანიჭებს, როგორიც საქართველოში არცერთ სხვა პატიმარს არ გააჩნია, **ამისგან უნდა გადავარჩინოთ?**




## ან რატომ უნდა მოვკლათ, ან ვისგან და რისგან უნდა გადავარჩინოთ სააკაშვილი?

## სააკაშვილი უკვე გადარჩენილია, რომ სამშობლოს ღალატის მუხლით არ არის გასამართლებული, როგორც კოდორის ხეობისა და ახალგორის რაიონის უცხო ქვეყნისათვის ჩამბარებელი და დავითგარეჯის გამყიდველი!

**სააკაშვილი უკვე გადარჩენილია,** რომ თავის მიერ შექმნილ პენიტენციურ სისტემაში არ უწევს სასჯელის მოხდა **მეგის ქარდავების, ოლეგ ფაცაციების, ვიქტორ ყაჯრიშვილებისა** და **გაგა მკურნალიძეების** ხელში, რომლებიც ოდნავ ხმამაღლა გაცინებაზეც კი ძვლებში დაამტვრევდნენ, გონდაკარგულს მორგში ჩაათრევდნენ და მანამდე წამებით მოკლული სხვა პატიმრის გვამზე მიაბამდნენ!

კი, **ქართული სახელმწიფოს ხელიდან სააკაშვილი გადარჩენილია** და ძალიან მაგრადაც არის გადარჩენილი!

**სააკაშვილი ქართველი ხალხის ხელიდანაც გადარჩენილია,** რადგან ქართველი ხალხი მოთმინებით იტანს მის ყოფნას ზედმეტად კომფორტულ და ზედმეტად პრივილეგირებულ მდგომარეობაში!

**ერთადერთი, ვისაც სააკაშვილი ვერ გადაურჩა, მისი თანაპარტიელები არიან, რომლებიც ახლა ბელადის პოლიტიკურ მძორზე პარაზიტობენ და ერთადერთი მიზანი ამოძრავებთ — მისი პატიმრობა პარტიაში თავიანთი გავლენების გასაძლიერებლად გამოიყენონ!**

ასე რომ, **თუ სააკაშვილი ვინმესგან არის გადასარჩენი, მხოლოდ — ბანაკებად დაყოფილი და პარტიული ძალაუფლების წყურვილით აღგზნებული ნაცმოძრაობისაგან!**

თუ პოლიტიკურად მიცვალებული სააკაშვილის **ფიზიკური მოკვდინება** ვინმეს აძლევს ხელს, მხოლოდ — ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც ეცდება, მისი სიკვდილი ხელისუფლების დასამხობად და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად გამოიყენოს!

**სხვანაირად რომ ვთქვათ, ნაცმოძრაობის ყველა ფრთას სააკაშვილი მხოლოდ მომხრებელ მკვდრად სჭირდება!**

**სხვა ყველა ფუნქცია მან კარგა ხანია, ამოწურა!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



ქართველებო, **არ დავტოვოთ ამ ქვეყანაში სიცარიელე,** რომელიც შემდეგ სხვებისგან იქნება შევსებული.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მეუფე საბა ინწკირველი**
*ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის მღვდელმთავარი, ეპისკოპოსი*



**ბევრს ჰგონია, რომ განსაცდელი ამერიკაში ჩამოსვლისთანავე დამთავრდება, მეორე დღესვე აქ სამსახურსა და სახლს არავინ დაახვედრებთ, ვერც ცხოვრებას აიწყობენ იოლად.** ბევრი საცხოვრებელ სახლს ბანკში დებს და ემიგრაციაში ვალით მოდის, სიმართლე უნდა იცოდნენ, რაზე მიდიან. ვიცი, უკეთესი ცხოვრების იმედი აქვთ, მაგრამ ზოგჯერ უარეს მდგომარეობაში ვარდებიან.

**გულსატკენია, რომ ამ ბოლო დროს პატრიარქის კრიტიკა ისმის,** არადა, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რამდენად რთულ პერიოდში, როგორი აზროვნების ხალხის გარემოცვაში მოუწია ეკლესიის მეთაურობა. **თუ ვინმე იმსახურებს კრიტიკას, ეს ჩვენ ვართ, მღვდელმთავრები.**

„კვირის პალიტრა“

**ანზორ მელია**
*ექიმი, ნიკა მელიას მამა*



**ლევან ხაბეიშვილი ბიძინა ივანიშვილის** თამაშს თამაშობს, სად არის, მოვიდეს და პირდაპირ ვეტყვი.

„პირველი არხი“

**გიორგი რურუა**
*ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეპატრონე*



თქვენ! ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მივმართავ, **სამარცხვინოდ იქცევით... ბიძინას გულს ახარებთ?** თქვენ გინდათ ხელისუფლებაში მოსვლა?!

„აიპრესი“

# ჩმორი!



***ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნაცრეჟიმის „ხერხემლად“ წოდებულ ვანო მერაბიშვილს 2023 წლის 2 იანვარს თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე, მდებარე ერთ-ერთ აფთიაქში სცემეს, თავდაპირველად მოძრაობა „აი ია“-ს დამფუძნებელმა ᲨᲐᲢᲝ ᲨᲐᲥᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ გაავრცელა. მას არ დაუსახელებია მოქალაქის ვინაობა, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმის შინაგან საქმეთა მინისტრს ჯერ მუშტი უთავაზა, ხოლო შემდეგ პანჩურიც ამოსცხო, თუმცა, სოციალურ ქსელში დაწერა — მერაბიშვილს მის მიერ გაუბედურებული და გამწარებული ყველა მოქალაქის სახელით მოხვდაო!***

შაქარიშვილის ეს სიტყვები ცხადყოფდა, რომ აფთიაქში მოქალაქის მიერ მერაბიშვილის ცემას რაიმე სახის პიროვნული მოტივი არ ჰქონია და ფიზიკური დაპირისპირების მიზეზი **სააკაშვილის რეჟიმის „ხერხემლის“** წარსული საქმიანობა გახდა, როცა ცა — ქუდად და დედამიწა ქალამნად არ მიაჩნდა, ხოლო ადამიანის ღირსება და სიცოცხლე ჩალის ფასადაც არ უღირდა.

**მოგვიანებით ისიც გაირკვა, რომ აფთიაქში მოქალაქის მიერ მერაბიშვილის ცემის მიზეზი იყო არამხოლოდ მისი დანაშაულებრივი საქმიანობა ხელისუფლებაში ყოფნის დროს, არამედ წრეგადასული უტიფრობა და ცინიზმი, რომელსაც ორი გვამის შემკვეთი დღემდე იჩენს ნაცრეჟიმის მსხვერპლთა და მათ ჭირისუფალთა მიმართ.**

აღსანიშნავია, რომ მოქალაქე **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲫᲔᲛ,** რომელიც ცნობილი მომღერლის, მსახიობისა და ტელეწამყვანის **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲘᲡ,** იმავე „უცნობის“ სიძეა, არ დაასახელა მოტივი, თუ რატომ სცემა სააკაშვილის რეჟიმის „ხერხემალს“. მან განაცხადა — **მერაბიშვილს იოტისოდენა ვაჟკაცობა მაინც თუ შერჩენია, გამოვიდეს და თავად უთხრას საზოგადოებას, აფთიაქში რის გამო მოხვდაო!**

თუმცა, მერაბიშვილი დუმს და აფთიაქში მომხდარი ინციდენტის შესახებ კომენტარს არ აკეთებს!

აქ, ცოტა არ იყოს, უცნაურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა მცემელი აცხადებს — **დიახ, მე ვცემე და მზად ვარ, კანონის წინაშე პასუხიც ვაგო, ნაცემი კი ხმას არ იღებს და მცემელს არათუ პოლიციაში არ უჩივის, არამედ საჯაროდაც არ აცხადებს იმის შესახებ, რომ სცემეს.**

არადა, ცემას ვინ ჩივის, ქვეყნის დამაქცევარ ნაცპოლიტიკანებს სადმე ალმაცერადაც რომ შეხედონ ან სიტყვიერად შეურაცხყონ, მაშინვე ყურისწამღებ წკავწკავს იწყებენ, ჯერ ბრიფინგებითა და პრესკონფერენციებით იკლებენ ქვეყანას — ხელისუფლებამ საკუთარი ზონდერები მოგვიქსიაო, მერე კი პოლიციაში გარბიან და „მოძალადის“ სამაგალითო დასჯას ითხოვენ.

**მაშ, რატომ არის ვანო მერაბიშვილი გაყურსული და დამუნჯებული?**

**რატომ არ სურს, დაადასტუროს, რომ აფთიაქში სცემეს?**

**რატომ არ უნდა, საზოგადოებას საკუთარი პირით მოუყვეს, როგორ მოხვდა უკანალში პანჩური საქართველოს მოქალაქისაგან, რომელიც მისმა პოლიციელებმა 2011 წლის 26 მაისს, მშვიდობიანი მიტინგის სასტიკი დარბევისას, ჯერ რუსთაველის გამზირზე სცემეს, მერე კი — თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში, სადაც უკანონოდ ჰყავდათ დაკავებული ასობით სხვა მომიტინგესთან ერთად?**

ვფიქრობთ, აფთიაქში ნაცემი მერაბიშვილის დადუმებასა და ჩირგვებში შემალვას ორი მთავარი მიზეზი უნდა ჰქონდეს!

უპირველეს ყოვლისა, **სააკაშვილის რეჟიმის „ხერხემალს“ ხელს არ აძლევს იმაზე საუბარი, თუ რატომ დაიმსახურა მოქალაქე ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ მუშტი და პანჩური!** საქმე ის არის, რომ შარაშიძე სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2004 წლის 24 ნოემბერს დიდუბეში, ეკლესიის წინ მოკლული უდანაშაულო ახალგაზრდის — 19 წლის **ᲑᲣᲢᲐ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲘᲡ** ბავშვობის მეგობარია და 2023 წლის 2 იანვარს მერაბიშვილთან კონფლიქტიც ამის გამო მოუვიდა. კერძოდ, როგორც გიორგი შარაშიძის უფლებდამცველი **ᲒᲔᲚᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ** აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა აფთიაქში შემთხვევით შეხვედრილ ვანო მერაბიშვილს ჰკითხა, გრძნობდა თუ არა პასუხისმგებლობასა და სინანულს მისი რეჟიმის მიერ უდანაშაულო ბუტას დახვრეტის გამო, რაზეც ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრისაგან იქედნური პასუხი მიიღო — **„რა დროს ბუტა რობაქიძეა!“** მერაბიშვილის ამ სიტყვებმა შარაშიძე ძალიან ააღელვა და წყობილებიდან გამოიყვანა, რის შემდეგაც მოხდა ის, რაც მოხდა.

მერაბიშვილის აგდებული პასუხი — **„რა დროს ბუტა რობაქიძეა!“** — კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რაც ისედაც ნათელია: **მთელი ნაცბანდა, სააკაშვილით დაწყებული, მერაბიშვილით გაგრძელებული და უკანასკნელი მეგი გოცირიძით დამთავრებული, იოტისოდენა სინანულსაც არ განიცდის იმის გამო, რაც საქართველოში დაატრიალა! დანაშაულებრივი ნაცსინდიკატი ერთი წამითაც არ გრძნობს თავს დამნაშავედ ქართველი ხალხის წინაშე!**



ᲑᲣᲢᲐ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲔ

მერაბიშვილის ცინიკური რეპლიკა — **„ᲠᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲑᲣᲢᲐ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲔᲐ!“** — ნიშნავს: **„მაგას ხომ დიდი ხნის წინათ გავაფრთხობინეთ სული!“ „ეგ ხომ დიდი ხნის წინათ გამოვაცხადეთ ბანდიტური დაჯგუფების წევრად!“ „მაგას ხომ დიდი ხნის წინათ ჩავუდეთ იარაღი!“**

მერაბიშვილის თავხედური წასისინება — **„ᲠᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲑᲣᲢᲐ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲔᲐ!“** — იმ განცხადების გაგრძელებაა, რომელიც სააკაშვილმა ჯერ კიდევ 2018 წელს კიევიდან გააკეთა — **„ᲠᲐᲦᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲘᲠᲒᲕᲚᲘᲐᲜᲘᲐ!“**

**ჰოდა, ამის გამო მოხვდა მერაბიშვილს ბუტა რობაქიძის მეგობრისაგან!**

**ჰოდა, ამიტომ აქვს ახლა მერაბიშვილს ენა მუცელში ჩაგდებული!**

**და კიდევ: მერაბიშვილი აფთიაქში მომხდარი ინციდენტის შესახებ იმიტომ დუმს, რომ არ უნდა საზოგადოების თვალში „ჩმორად“ გამოჩნდეს, როგორც ნაცემი და პანჩურამორტყმული!**

აკი, სწორედ მერაბიშვილის სიტყვებია, რომ **ნაცემი კაცი საქართველოში „ჩმორად“ ითვლება!**

ეს სიტყვები მერაბიშვილმა 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევამდე რამდენიმე დღით ადრე თქვა შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ საგანგებო თათბირზე, სადაც ბრძანება გასცა, რომ თითოეული მომიტინგე ეცემათ და რუსთაველის გამზირიდან არცერთი დემონსტრანტი გაულახავი არ უნდა დაბრუნებულიყო საკუთარ უბანში, საკუთარ ქალაქსა თუ საკუთარ სოფელში.

**ნაცემი კაცი საქართველოში „ჩმორია“** და **„ᲩᲛᲝᲠᲘ“ ვერასოდეს იქნება ლიდერი, ამიტომ ხალხს ურტყით, ძირითადად, მუცელში, თირკმლებში. ვინც არ იცით, კონსულტაცია ახალაიასთან გაიარეთ!** — მერაბიშვილის ეს სიტყვები წლების შემდეგ გაამჟღავნა მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა **ᲕᲐᲡᲘᲚ ᲛᲐᲦᲚᲐᲤᲔᲠᲘᲫᲔᲛ,** რომელიც 2007 წლის 7 ნოემბრამდე რამდენიმე დღით ადრე შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ სპეცთათბირს ესწრებოდა. მან ამის შესახებ პროკურატურას ოფიციალური ჩვენებაც მისცა.



ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲒᲘᲠᲒᲕᲚᲘᲐᲜᲘ

ასე რომ, **ვანო მერაბიშვილი, მისივე სენტენციის თანახმად, „ჩმორია!“**

ვანო მერაბიშვილი არ **„ᲓᲐᲣᲩᲛᲝᲠᲔᲑᲘᲐ“** მოქალაქე **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲫᲔᲡ,** რომელმაც იგი აფთიაქში სცემა, არამედ **ვანო მერაბიშვილი „დააჩმორა“ ბუტა რობაქიძის, სანდრო გირგვლიანისა და ყველა იმ უდანაშაულო ადამიანის სულმა, რომლებიც მისმა რეჟიმმა დახოცა!**

**ვანო მერაბიშვილი „ჩმორია“** არამხოლოდ იმის გამო, რომ **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲫᲘᲡ** მიერ ხელის პირველი მოქნევისთანავე კურდღელივით მოკურცხლა და უკანალში პანჩური მიიღო, არამედ **„ჩმორია“, უპირველესად, იმიტომ,** რომ ფიქრობს — რა დროს ბუტა რობაქიძეაო!

**სწორედ ეს არის „ᲩᲛᲝᲠᲣᲚᲘ“ ფსიქოლოგია!**

**სწორედ ეს არის „ᲩᲛᲝᲠᲣᲚᲘ“ მორალი!**

**სწორედ ეს არის „ᲩᲛᲝᲠᲣᲚᲘ“ მენტალიტეტი!**

**სწორედ ასეთი „ᲩᲛᲝᲠᲔᲑᲘ“ მართავდნენ საქართველოს მთელი 9 წლის განმავლობაში და, მადლობა ღმერთს, უკვე 9 წელზე მეტია, ველარ მართავენ!**

სააკაშვილის რეჟიმის „ხერხემლისაგან“ უკვე „კუდუსუნიც“ აღარ დარჩა!

***ᲯᲐᲑᲐ ᲮᲣᲑᲣᲐ***

## სააკაშვილის რეჟიმის „ხერხემლისაგან“ უკვე „კუდუსუნიც“ აღარ დარჩა!

## მერაბიშვილის თავხედური წასისინება – „რა დროს ბუტა რობაქიძეა!“ – იმ განცხადების გაგრძელებაა, რომელიც სააკაშვილმა ჯერ კიდევ 2018 წელს კიევიდან გააკეთა – „რაღა დროს გირგვლიანია!“

### ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ**

*„გაერთიანებული ოპოზიცია — ძალა ერთობაშია“ წევრი*



**მორალურად გირგვლიანი არ იყო იმ სუფრასთან მართალი, სადაც ეს დანაშაული მოხდა.** მე და თქვენ ვსხედვართ, მესამე პიროვნება მოდის და გვერევა ურთიერთობაში. რა წესია, მორალურად ვილაპარაკოთ. **გირგვლიანი არ არის მოკლული, ჩვენ ვერ მოვიტანთ რაიმე დოკუმენტს.** ოფიციალური დოკუმენტი გირგვლიანზე ამბობს, რომ დაუსხლტა გირგვლიანი, გაიქცა, გადავარდა, გადაიჩეხა, გაიყინა სუსხიან ტყეში და გარდაიცვალა. **ის არ მოუკლავთ, მკვლელობა არ არის არც დანით, არც იარაღით, მკვლელობის ფაქტი არ არის ჩადენილი.**

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲘᲠᲒᲕᲚᲘᲐᲜᲘ**

*სანდრო გირგვლიანის მამა*



**ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔᲛ** ერთ-ერთ გადაცემაში განაცხადა, **გირგვლიანი არ მოუკლავთ, უბრალოდ, გაიქცა და გაიყინაო.** ასეთ ხალხს რა ვუპასუხო? ნაძირალა კიდევ კარგი სიტყვაა... **საუბედუროდ, მურმანი ერთი არაა, ბევრი მურმანია, ვინც სახე დაკარგა.** ტელევიზიით ინტერვიუებს რომ არ ვარიგებ, ამ ხელისუფლების მადლობელი კი არ ვარ. ეს არაა ბოლომდე მიყვანილი საქმე. ვითხოვდი, ყველას საკადრისი პასუხი გასცემოდა და სამართალი აღსრულებულიყო. **სადაა მერაბიშვილის მეუღლე, ვის დასჯასაც ვითხოვდი?** სალაყაია დღეს აღარავის ახსოვს. რაღაც კი გაკეთდა, მაგრამ მე შედეგი არ მაქვს ისევე, როგორც რეჟიმისაგან დაზარალებულ ბევრ სხვას. **მიშა რაც იყო, ის დარჩა. მე იმათი მიკვირს, ვინც მისი მონები გახდნენ,** ბევრი მათგანი ჩემი ახლობელიცაა და თან ისეთები, სანდროზე რომ ვითომ გული უკვდებოდათ და ახლა მიშას გულშემატკივრები გახდნენ.

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“

# „ნაცემი მერაბიშვილი გაიქცა და გიორგი შარაშიძემ გაქცეულს პანჩურიც ამოარტყა!“



***საკაშვილის რეჟიმის მთავარი ჯალათი, 2 გვამის შემკვეთი ვანო მერაბიშვილი ახალი წლის დღეებში დაჟეჟეს და პანჩურიც მიაყოლეს. სოციალურ ქსელებში ამ ფაქტს საზოგადოების აღფრთოვანება მოჰყვა, მცემელს — შოუმენ უცნობის (გია გაჩეჩილაძის) სიძეს გიორგი შარაშიძეს ხალხი მარჯვენას უქებს, თუმცა, იგი შარში გაეხვია და შესაძლოა, სისხლის სამართლის ფარგლებში მოუწიოს პასუხისგება, რის შესახებაც მისი ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი გვესაუბრება:***

— ეს ამბავი 2 იანვარს, ბედობა დღეს, მოხდა. გიორგი შარაშიძე ვაკეში, ერისთავის ქუჩაზე, ცხოვრობს. შუადღე იყო, როდესაც ახალგაზრდა კაცი ბებიამ პროდუქტების საყიდლად გაგზავნა და ბიძისთვის კუჭის წამლის ყიდვაც დაუვალებიათ, რის გამოც ქუჩის მოპირდაპირედ, აფთიაქში შესულა, თან მობილურზე ბიძაშვილს ესაუბრებოდა. სწორედ იქ დაუნახავს რეჟიმის „ხერხემალი“ ვანო მერაბიშვილი. აფთიაქში ამ დროს მის გარდა ერთადერთი ქალბატონი იმყოფებოდა. როგორც კი მერაბიშვილს მიამსგავსა, ჭაბუკი აფთიაქიდან გამოვიდა, ტელეფონზე საუბარი დაასრულა და უკანვე შებრუნდა, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა, ბუტა რობაქიძის მკვლელობის შესახებ კითხვა დაესვა ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრისთვის.

**— მარტო ბუტას გამო?**

— გიორგი შარაშიძე და რეჟიმის მიერ დახვრეტილი **ბუტა რობაქიძე** ბავშვობის მეგობრები და უახლოესი ძმაკაცები იყვნენ, 9 წლის ასაკიდან ერთად იზრდებოდნენ. გიორგიმ მითხრა — იმ დღეს, როცა ბუტა მოკლეს, ჩემთან უნდა მოსულიყო და შესაძლოა, მასთან ერთად მეც დავეხვრიტე რეჟიმის ჯალათებს, თან მერაბიშვილის დანახვისას ბუტას სიკვდილით გამოწვეული ჭრილობა განმიახლდაო. ჰოდა, მისულა გიორგი იმ კაცთან და უკითხავს — **შენ ხომ ვანო ხარ, მერაბიშვილიო?** იმასაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნევია. — **ბუტა რობაქიძე ხომ გახსოვს? რას ერჩოდით, რატომ მოკალითო?** როგორც მოგვიანებით გიორგიმ განმიმარტა, სურდა, მერაბიშვილისგან სინანული დაენახა, არადა, შემზარავი პასუხი მიიღო — რა დროს ბუტააო... შესაძლოა, პასუხში იგულისხმა, ამ ახალი წლის დღეებში ბუტა რამ გაგახსენაო, მაგრამ გიორგი სწორედ ამ პასუხმა გაამწარა. მიხვდა, რომ სინანულის ნატამალიც არ გააჩნია ადამიანს, ვისი სახელიც მრავალი ადამიანის გაუბედურებას უკავშირდება და შემოსცხო. მერაბიშვილს სახეზე ხელი აუფარებია, მაგრამ კიდევ რამდენიმე ალიყური მოხვედრია. მოგვიანებით გამომძიებელს უკითხავს — სულ რამდენჯერ დაარტყი და სხეულის რა ადგილებში ურტყამდიო? — წყობიდან გამოსული გახლდით, ამიტომ, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ვიდეოთვალის ჩანაწერებში ხომ გამოჩნდება, მე კი ჩადენილს ისედაც არ უარვყოფო, — უპასუხებია გიორგის. სხვათაშორის, მას ორივე ხელი შეხვეული ჰქონდა, რადგან ამ შემთხვევამდე ორი დღით ადრე კიბეზე წაქცეულა და „ავერსის“ კლინიკაში თაბაშირიც დაუდვიათ, ანუ მტკივანი ხელებით დაპირისპირებია მერაბიშვილს.



გიორგი შარაშიძე

**— როგორ დასრულდა დაპირისპირება?**

— მერაბიშვილი გაიქცა, გიორგიმ ხელი არ შეუშალა, მაგრამ გაქცეულს პანჩურიც ამოარტყა. გიორგი ყვება, რომ მერაბიშვილის მანქანა აფთიაქიდან ოციოდე მეტრში მდგარა და როცა ნაცემ-გაქცეული ვანო საჭესთან ჯდებოდა, მისთვის გინებაც მიუყოლებია. ეს ყველაფერი დროის მცირე შუალედში მომხდარა.

**— როგორ შეიტყვეს სამართალდამცველებმა ინციდენტის შესახებ და პასუხისგებაში როგორ მიეცა გიორგი შარაშიძე?**

— გიორგი აქამდე (ინტერვიუ ჩაწერილია 6 იანვარს) პასუხისგებაში არ არის მიცემული და მხოლოდ მოწმის სტატუსი აქვს. გამოძიება დაწყებულია ინციდენტის ფაქტზე 126-ე მუხლით, რაც ძალადობას გულისხმობს. მე ახლახან ჩავერთე საქმეში, როგორც ადვოკატი და ინციდენტის შესახებ თავიდან სოციალურ ქსელებში ვატო შაქარიშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაციით შევიტყვე. როგორც დავასკვენი, ინფორმაცია საზოგადოებაში გიორგი შარაშიძის გარემოცვიდან გავრცელდა, თავად ვანო მერაბიშვილს სამართალდამცავებისთვის აქამდე არ მიუმართავს და არც არანაირი კომენტარი გაუკეთებია. როცა ეს ამბავი გახმაურდა, ჟურნალისტებმა კითხვები დაუსვეს გიორგი შარაშიძეს, რომელმაც ინციდენტი დაადასტურა და რადგან სამართალდამცავი ორგანო ვალდებულია, მომხდარ ფაქტზე რეაგირება მოახდინოს, გახმაურებული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყეს გამოძიება. შარაშიძე მზადყოფნას აცხადებს, მერაბიშვილის ცემის გამო პასუხი აგოს. ახლა საჭიროა სასამართლოს განჩინება, რათა მოხდეს ვიდეოკადრების ამოღება, ამის შემდეგ გამოიკითხება ვანო მერაბიშვილი და გამოძიება შესაბამისად გაგრძელდება.

ამასთან, აუცილებელია ექსპერტიზის ჩატარება იმის დასადგენად, თუ რა სახის დაზიანებები აქვს ვანო მერაბიშვილს. თუ მძიმე დაზიანება აღმოჩნდება, გიორგის ბრალს 117-ე მუხლით წაუყენებენ; თუ ნაკლებად მძიმე — 118-ე; ხოლო თუ მსუბუქი — 120-ე მუხლით მოუწევს პასუხისგება. თუ არანაირი დაზიანება არ დადგინდა, მაგრამ დაზარალებული **ვანო მერაბიშვილი** ჩვენებას მისცემს, რომ ცემის შედეგად ფიზიკური ტკივილი განიცადა, შესაბამისად, დარჩება 126-ე მუხლის პირველი ნაწილი, რის საფუძველზეც, შარაშიძეს ემუქრება 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

**— რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზა დაზიანებას ვერ აღმოაჩენს და არც მერაბიშვილი იტყვის, რომ ტკივილი განიცადა?**

— ექსპერტიზის დასკვნაზე, დაზიანების ხარისხსა და ვანო მერაბიშვილის ჩვენებაზეა დამოკიდებული, წაუყენებენ თუ არა ბრალს **გიორგი შარაშიძეს.** შესაბამისად, თუ ასეთი ვითარება შეიქმნება, ბრალის წარდგენის საფუძველი აღარ იარსებებს და გამოძიება შეწყდება.

**— იქნებ მერაბიშვილს არც აწყობს იმის აღიარება, რომ ქუჩაში მიაპანჩურეს?**

— რადგან აქამდე არ უჩივლია, სავარაუდოდ, არ აწყობს ინციდენტის გახმაურება. ვანო მერაბიშვილი ვალდებული იქნება, გამოძიებას კითხვებზე პასუხები გასცეს, თუ ვიდეოჩანაწერს ამოიღებენ, ის ვერ უარყოფს, რომ ინციდენტი მართლაც მოხდა, მაგრამ კონფლიქტის ფაქტი, თუ მას კონკრეტული შედეგები არ მოჰყოლია, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ პირის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს. ამ ინციდენტს სხვა მოწმეებიც ჰყავდა — აფთიაქის თანამშრომლები, ასე რომ, ფაქტის მიჩუმათება შეუძლებელია, მითუფრო, რომ ინციდენტი ფართო საზოგადოების ინტერესს იწვევს. რადგან ამ ეტაპზე შარაშიძესაც მხოლოდ მოწმის სტატუსი აქვს, ჩვენ ხელი ვერ მიგვიწვდება სხვა მოწმეების პოზიციაზე და არ ვიცით, რა ჩვენებებს იძლევიან ისინი.

**— რით ახსნით, რომ ვანო მერაბიშვილის მიმართ ძალადობის ფაქტმა საზოგადოებას აღშფოთების ნაცვლად, კმაყოფილების შეგრძნება მოჰგვარა, რაც სოციალურ ქსელებში ცალსახად გამოიხატა?**

— შესაძლოა, ასეთი დამოკიდებულება იმან განაპირობა, რომ სასჯელის მოხდის მიუხედავად, ქართველ საზოგადოებას ვანო მერაბიშვილი მისი რეალური დანაშაულების შესაბამისად დასჯილად არ მიაჩნია, თუმცა, ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ რეჟიმის სხვა ლიდერებთან შედარებით **ვანო მერაბიშვილმა** და **ბაჩო ახალაიამ** ყველაზე მეტი ხანი დაჰყვეს ციხეში, თან, სააკაშვილისგან განსხვავებით, საზოგადოება წუწუნით არ შეუწუხებიათ.

და მაინც, მერაბიშვილის მიმართ არსებული აგრესია უსაფუძვლო ნამდვილად არ არის, მითუმეტეს, რომ არც მერაბიშვილისგან და არც რეჟიმის სხვა მაღალჩინოსნებისგან, ვინც მისჯილი სასჯელი მოიხადა, საზოგადოებას არ სმენია სინანული. მერაბიშვილის ცემის გამო საზოგადოებისგან კმაყოფილების რეაქციაც სწორედ ამ გარემოებით აიხსნება!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

**„გიორგი შარაშიძე და რეჟიმის მიერ დახვრეტილი ბუტა რობაქიძე ბავშვობის მეგობრები და უახლოესი ძმაკაცები იყვნენ, 9 წლის ასაკიდან ერთად იზრდებოდნენ!“**



**„ვანო მერაბიშვილმა და ბაჩო ახალაიამ ყველაზე მეტი ხანი დაჰყვეს ციხეში, თან, სააკაშვილისგან განსხვავებით, საზოგადოება წუწუნით არ შეუწუხებიათ!“**

## *გელა ნიკოლაიშვილი:*

# ქართველ საზოგადოებას ვანო მერაბიშვილი მისი რეალური დანაშაულების შესაბამისად დასჯილად არ მიაჩნია!

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ნაცებო და სექტის მხარდამჭერო ომის პარტიელებო,** ომი იქით იყოს და თქვენ რომ **„ხერხემალს“ ეძახდით, უშიშარი კაცი რომ გგონიათ და დღემდე გეამაყებათ, დაცვის თანამშრომლების უკან რომ „მაგარი ბიჭი“ იყო და ორ გვამს რომ ითხოვდა,** იმ **ვანო მერაბიშვილისთვის** წამოურტყამთ ვაკეში, ერთ-ერთ აფთიაქში. უკანალში კაი გვარიანი წიხლიც მიუყოლებიათ და სულ ასე პანღურის კვრით გაქცეულა კუდამოძუებული. **ეგეც თქვენი უძლეველი ვანო!**

„იმედინიუსი“

**დავით ქიჭინაძე**
*პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი*



აგერ **ვანო მერაბიშვილი** „გაათეთრეს“, რომელ ბიზნესებსაც ხელისუფლებაში ყოფნისას ფლობდა, ყველაფერი დარჩა და ახლა პოლიტიკაში დაბრუნებასაც აპირებს. **„ქართულმა ოცნებამ“ გადაარჩინა ვანო მერაბიშვილი.** 6 წელი ციხე აკმარა „ორი გვამის“ მაძებარს და იმ ორიდან ერთი გვამი მიუტანეს — უდანაშაულო **ზია ქრიალაშვილი** მოკლეს, ჩაცხრილეს. **კობა ოთანაძე** ეგულებოდათ მეორე გვამად, მაგრამ სასწაულებრივად გადარჩა დაცხრილული კაცი. **მარტო ეს, „მუხროვანის ამბოხი“ იყო? სხვა დანაშაულები არ ჰქონდა ჩადენილი მერაბიშვილს?** ბევრი, ძალიან ბევრი დანაშაული ჩაიდინა და აპატიეს, სისხლის სამართლის საქმეები გაუთეთრეს.

„ალია“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



ნაცებმა გაშალეს თავისი **100-კაციანი არმია,** ფლანგები და ფრონტის ხაზი — **ვერ ვხვდები, თავს ასე რატომ იმასხარავებენ!**

„აიპრესი“

# «ხმამაღლა მივმართავ დედა გიულის!»

*გასულ კვირას გიული ალასანიამ საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტის შესახებ განაცხადა — ოქიტაშვილი არის უნამუსო და ჩვენი დიდი სირცხვილია, რომ ასეთი ადამიანები კიდევ ცხოვრობენ ქვეყანაშიო. დღეს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან დათო ოქიტაშვილი გიული ალასანიას ხმამაღლა მიმართავს:*



„ისე კი, გინესის რეკორდების წიგნში არიან შესაყვანი — პატიმარი დედასთან ერთად რომ იხდიდეს სასჯელს, პირველად ვნახეთ!“

## დავით ოქიტაშვილი:

# რაც გიული ალასანიას წამოსცდა, ეს არის აღიარება – ოქიტაშვილი უნდა მოგვეკლა და ცოცხალი როგორ გადაგვირჩაო!

— ეს ქალბატონი ხმას როგორ იღებს?! მართლაც დიდი სირცხვილია, თქვენნაირები ქვეყანაში რომ ცხოვრობენ,სწორედ თქვენ გაზარდეთ სატანები და თქვენმა შვილმა გაყუყა ნახევარი საქართველო. რაც წამოგცდათ, იმის **პირდაპირ აღიარებას ნიშნავს — ოქიტაშვილი უნდა მოგვეკლა, დღემდე ცოცხალი როგორ დავტოვეთ, როგორ გადაგვირჩაო?**

**— გიული ალასანიასთან რა საქმე გაკავშირებდათ?**

— გიული ალასანია 2003-2004 წლებში ხელმძღვანელობდა ორგანიზაციას „ჩვენებურები“. მაშინ მერიაში ვმუშაობდი და მთხოვა, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში მცხოვრები თანამემამულეების მონაწილეობით ღონისძიებების ჩატარებაში მივხმარებოდი. აი, ამ საქმეზე მივდიოდი და არა იმიტომ, რომ მაგის ოჯახთან დაახლოება მსურდა. ისედაც ძალიან კარგად ვიცნობდი მათ — მისი შვილიშვილი **ედუარდი** და ჩემი უფროსი ქალიშვილი**თათა** კლასელები იყვნენ,**სანდრასაც** ვიცნობდი, სააკაშვილი კი**ზურაბ ჟვანიამ** მაშინ გამაცნო, როცა საკრებულოს თავმჯდომარე იყო. **ამათთან ურთიერთობა 2005 წლიდან გავწყვიტე, ზურას მკვლელობის მერე, რადგან ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ მოკლეს და ეს არ იყო უბედური შემთხვევა.** როცა ამის შესახებ ხმამაღლა ვთქვი, ავტოფარეხში სასიკვდილოდ მცემეს და რომ არა ჩემი მეზობელი გიორგი, რომელმაც შემთხვევით აღმომაჩინა, ვერ გადავრჩებოდი. სამი თვე ლოგინად ვიწექი, დიაბეტიც დამემართა... ჩემს მეუღლესაც მანქანით უთვალთვალებდნენ... ამ ყველაფერს ვერ ვივიწყებ. მართლაც რამდენი ადამიანი გააუბედურეს და ეს ნამუსგარეცხილი ქალი აქეთ მორალზე გველაპარაკება?! არადა, ეგ გამწარებულია იმ პროცესებზე, რომლებსაც ახლა ვიწყებთ.

**— რას გულისხმობთ?**

— ყველამ კარგად იცის, რომ 2008 წელს, გაგანია ომის დროს, გიული ალასანიამ საკუთარ მფლობელობაში აღრიცხა ტექნიკური უნივერსიტეტის უნიკალური შენობები და სტუდენტებისათვის განკუთვნილი სტადიონი. ამ რამდენიმე დღის წინ კი ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ალასანიას მისაკუთრებული ჰქონია ამ ტერიტორიაზე არსებული პოლიკლინიკის შენობაც, რომელიც პროფესორებსა და სტუდენტებს ემსახურებოდა, და რაც მთავარია, თანხა ამ გახრწნილმა ქალბატონმა და მისმა ოჯახმა დაშინების გზით გადაახდევინეს ერთ კონკრეტულ პირს, რომელსაც შევპირდი, რომ ამჯერად მის სახელსა და გვარს არ გავაჟღერებ. სულ მალე საზოგადოებას ვაჩვენებთ ამ ქალბატონის ამორალურ სახეს, როგორ ჩაიდო ჯიბეში რამდენიმემილიონიანი ქონება. არ გავჩერდებით და კანონიერად ვიდავებთ. ჯერჯერობით წართმეული საცურაო აუზის დაბრუნება შევძელით, რაზეც დიდ მადლობას ვუხდით **კახა კალაძეს და თბილისის მერიას.** დიდ საქმეს აკეთებს ტექნიკური უნივერსიტეტის ამჟამინდელი რექტორი **დავით გურგენიძე, რომლის მოსვლითაც დაიწყო უნივერსიტეტისთვის წართმეული ქონებების დაბრუნება.**

**— სად მდებარეობდა ის საცურაო აუზი, რომელიც ტექნიკურმა უნივერსიტეტმა დაიბრუნა?**

— ზუსტად მეორე კორპუსის უკან. გიული ალასანიამ ტექნიკური უნივერსიტეტის სტადიონის ტერიტორიაზე, სადაც სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოდიოდნენ ახალგაზრდები და ასპარეზობები იმართებოდა, ავტოსადგომი გააკეთა და შემოსავლის წყაროდ აქცია.

**ხმამაღლა მივმართავ დედა გიულის:** მოემზადეთ, ახალი წლის დღესასწაულები რომ ჩაივლის, იანვრის ბოლოდან კანონიერი გზით ვიწყებთ თქვენ მიერ წართმეული შენობების დაბრუნებას. ვიცით, ამას დრო დასჭირდება, მაგრამ გამოძიება გაარკვევს და სააშკარაოზე გამოვიტანთ, როგორ აიძულებდით მაშინდელ რექტორს ქონების გადაფორმებას. **თქვენ ისიც კი იკადრეთ, რომ უნივერსიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გავლა აკრძალეთ.**

**— გიული ალასანიას განცხადებით, საქართველო მისი შვილის წყალობით გახდა ცნობილი და მის გარეშე ეს ქვეყანა წაიშლება, დემოკრატია გადატყდება. ამასთან, პირობას დებს, რომ, ვინც ჩემს შვილს კოლექტიურად კლავს, სამაგალითოდ დაისაჯებიანო...**

— იმუქრება კიდეც! სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს მაგის მოღალატე შვილი, კომფორტში რომ ჰყავთ და ექიმებს შეურაცხყოფას აყენებს. **როგორ უნდა ბედავდეს ეს ქალი ქუჩაში გამოსვლას, დემოკრატიაზე როგორ ლაპარაკობს, როცა მაგისი შვილის პრეზიდენტობის დროს, თუკი ვინმე ხმას ამოიღებდა, კლავდნენ ან უბედურებას მართებდნენ.** ეგენი ვერასოდეს მოვლენ ხელისუფლებაში, სხვა პატიმრებს იმაზე დიდი დანაშაული არა აქვთ ჩადენილი, რაც მაგისმა შვილმა ჩაიდინა!

თუკი ეს ქალი ყოველდღე შედის თავის შვილთან **(თან არ ეტყობა, რომ შვილზე ნერვიულობს, საავადმყოფო მოდელების გამოფენის სახლად აქცია)**, მაშინ ყველა პატიმართან ასევე შეუშვან მათი მშობლები და ახლობლები! ისე კი, გინესის რეკორდების წიგნში არიან შესაყვანი — პატიმარი დედასთან ერთად რომ იხდიდეს სასჯელს, პირველად ვნახეთ!

**— გგონიათ, სალომე ზურაბიშვილი საბოლოოდ სააკაშვილს შეიწყალებს?**

— შეიძლება შეიწყალოს კიდეც. ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია, სხვა დანაშაულებზე სააკაშვილის მიმართ გაატაროს აღმკვეთი ღონისძიებები, ის ციხიდან არ უნდა გამოვიდეს!

დაბოლოს — ვუბრუნდები გიულის, რომელსაც ასე უნდა, რომ ამქვეყანაზე აღარ ვიყო: ტყუილად ირჯება, მაგათი არც მეშინია, არც მეშინოდა და არც შემეშინდება!

*ესაუბრა*
***ქეთი ხამიცაშვილი***



„სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს მაგის მოღალატე შვილი, კომფორტში რომ ჰყავთ და ექიმებს შეურაცხყოფას აყენებს!“

## კვირგვინოსნები

**ხათუნა ხოფერია**
*ყოფილი პარლამენტარი*



სააკაშვილი ერთი საცოდავი კაცია, რომელსაც ვიღაცები როგორც შეუძლიათ, ისე ძიძგნიან. **ის ისეთივე პატიმარია, როგორიც ყველა სხვა,** ციხე კი ვერავისთვის ვერ იქნება ბაირამობა.

სად იყო **ზურაბიშვილი** 2005-2006 წლებში, როდესაც ჩვენ ვიბრძოდით იმის დასამტკიცებლად, რომ **ზურა ჟვანია** მოკლეს?! სად იყო, **სააკაშვილი** იტალიაში ციგით რომ აკატავებდა?! დიახ, მაშინ მიშას მარჯვენა ხელი იყო და ხმას არ იღებდა.

„კვირის პალიტრა“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



არავის სჯერა **სააკაშვილის** პოლიტპატიმრობის და ავადმყოფობის! **გამოსავალი დანაშაულის მონანიება,** თუ არა და ითამაშეთ აქციობანა! მართალია, სულელურად, მაგრამ კი ერთობით. გაბრაზდება ნაცი და იტყვის, რას დაგვცინითო, **მე კი არ დაგცინით, თქვენ დასცინით საკუთარ თავს.**

„იმედინიუსი“

**ლაშა ბუღაძე**
*მწერალი*



**სააკაშვილის** ფენომენი უკვე კარგა ხანია, **გასცდა პოლიტიკის სფეროს და რელიგიის სფერო დაიკავა.**

„აიპრესი“

**გოგი წულაია**
*პოლიტიკოსი, ემიგრანტი*



**მიშას რას უშობიენ და რომ ჩამევიდე, მე რაღას მიზამენ?** ვთვლი, რომ ქართულ პოლიტიკაში **ვერაფერი შევქმენი, ვერაფერს მივაღწიე,** ამიტომ მანდ გაჩერება უაზრობა იყო.

„კვირის პალიტრა“

# შალვა,

## თუ სააკაშვილი თავისი ფეკალიებით კალათბურთს თამაშობს, შენ ამ ფეკალიებს კაი ხანია, მიირთმევ და თანაც დიდი ნიჩბით!




***ამ ორიოდე თვის წინათ სააკაშვილის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ, რომელიც ადრე სააკაშვილს სტრასბურგის სასამართლოში უჩიოდა, უცნაური რამ განაცხადა: მესამე პრეზიდენტთან „ვივამედის“ პალატაში რომ შევედი, ყველაფერი ყარდა, ეტყობა, ბატონ მიხეილს განგებ არ უვლიან და ყურადღებას არ აქცევენო!***

მაშინ ხაჭაპურიძის ეს განცხადება საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ პროვოკაციად და ყურით მოთრეულ ამბად მიიჩნია, თუმცა, **როგორც აღმოჩნდა, თურმე, ადვოკატი არ ცდებოდა და იმ საშინელი და თავზარდამცემი ამბის შესახებ თავადაც არაფერი უწყოდა, რომელიც ახალი წლის დღეებში ელისტრაკო ძილაძის ნეხვის ბიდონივით გასკა და ქვეყნიერება წაბილწა.**

საქმე ის გახლავთ, რომ შობა-ახალი წლის კვირაძალზე სოციალურ ქსელებში გავრცელდა **კლინიკა „ვივამედის“ ერთ-ერთი ექთნის სკანდალური განცხადება,** რომელიც, როგორც ჩანს, სააკაშვილის მოვლა-პატრონობასა და სისუფთავეზეა პასუხისმგებელი. ქალბატონმა სააკაშვილზე ასეთი რამ დაწერა:

> ***„იმ ნივთების სროლა, რაც საზოგადოებამ იხილა, არაფერია, ხან თათბირებს ატარებს, ხან იცვამს და სამიტებზე გაშვებას ითხოვს, მაგრამ ყველაზე აუტანელი შვილო, დამიჯერებთ, ჯერ პატარა ბავშვივით განზრახ საწოლში შარდავს, შემდეგ საკუთარ ფეკალიებს ამრგვალებს და გვესვრის, კალათბურთს ვთამაშობო!*** *ორმა მედდამ უარი განაცხადა ამ მონსტრთან შესვლაზე. ვიცი, რომ მსგავსი ინფორმაციის გამჟღავნება არ შეიძლება, მაგრამ ჩვენც ხომ ადამიანები ვართ?* ***ქალბატონ ნინოს უაღრეს პატივს რომ არ ვცემდე, მეც განცხადებას დავწერდი და ერთი წუთით არ ვიმუშავებდი იქ!“***

მოკლედ, ნიჭიერმა სააკაშვილმა სპორტის ახალი სახეობა — **„ძღ...ერბურთი“** (ცენზურა ჩვენია. რედ.) გამოიგონა!

თუ სააკაშვილის მომვლელი ექთნის ამ აღსარებას შალვა ხაჭაპურიძის განცხადებას შევუპირისპირებთ — **მესამე პრეზიდენტის პალატაში ყველაფერი ყარსო!** — აშკარად იმ დასკვნამდე მივალთ, რომ **ხაჭაპურიძე სააკაშვილს პალატაში, სავარაუდოდ, იმ დროს ესტუმრა, როცა ქართული „დემოკრატიის შუქურას“ თავისი ფეკალიები ახალი აგუნდავებული, მომრგვალებული და ნასროლი ჰქონდა და საცოდავმა ექთნებმა და სანიტრებმა ოთახების კარგად განიავება ვერ მოასწრეს!**




## სააკაშვილმა სპორტის ახალი სახეობა გამოიგონა — „ძღ...ერბურთი“!

როგორც ჩანს, **შალვა ხაჭაპურიძეც** სწორედ ასეთ სიტუაციას შეესწრო და სააკაშვილის ფეკალიების მძაფრი სუნი ადვოკატის დაცქვეტილმა ულვაშებმა ისევე ხარბად და ურცხვად მიიზიდა, როგორც სააკაშვილმა მიიზიდა ერთ-ერთი ქართველი მულტიმილიონერის ქალიშვილი, რომელიც ჯერ გააუპატიურა, ხოლო შემდეგ, მგონი, მამამისიც მიაყოლა, რადგან ის აშკარად დაშანტაჟებული არაკაცი დღემდე ნაცსექტას აფინანსებს და სააკაშვილს ადიდებს!

ამასწინათაც ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **სააკაშვილი, როგორც სამარცხვინო და მოღალატე მთავარსარდალი, რომელმაც კოდორისა და ქსნის ხეობები ტყვიის გასროლის გარეშე ჩააბარა, ხოლო ჩიჩხიტურის კოშკი და დავითგარეჯის მიმდებარე მიწები ილჰამ ალიევს „სოკარის“ წილის სანაცვლოდ გადაულოცა, ზუსტად იმ სასჯელს იმსახურებს, როგორც მონღოლები სჯიდნენ ქვეყნის მოღალატეებს! საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ ჩინგიზ-ხანი მოღალატეებს კიდურებით ოთხი ცხენის ძუაზე გამოაბამდა და ოთხად გაგლეჯდა...** ახლა, ამ ვითარებაში, როცა ჩინგიზ-ხანის ეპოქა წარსულს ჩაბარდა, სააკაშვილისთვის ყველაზე უფრო ადეკვატური სასჯელი ნაცსექტის 35-ლარიანი ზონდერგამაუპატიურებლის თემურ უბირიას საკანში შეგდება იქნება, რომელიც **კოხტა კოდუასთან და სხვა მამათმავლებთან ერთად** სამეგრელოს სამალავებში მამაკაცებს სწორედ სააკაშვილის ბრძანებით აუბედურებდა!

აი, სწორედ იქ, **მამათმავლებისა და ზონდერგამაუპატიურებლების ბუნაგში** უნდა შეაგდონ სააკაშვილი და პრეზერვატივიანი ხელკეტებითა და ცოცხებით ზუსტად ისე აწამონ, როგორც მან აწამა და მოინელა ცხონებული სერგო თეთრაძე. **მერწმუნეთ, ამ ცოდვის ნაყოფისა და შეშლილის საკნიდან არავითარი პროტესტის ხმა არ გამოვა, რადგან აქოთებული თემურ უბირია და აყროლებული სააკაშვილი ერთმანეთს აუცილებლად გაუგებენ!**

რაც შეეხება **შალვა ხაჭაპურიძეს,** მიზეზთა და მიზეზთა გამო დღემდე თავს ვიკავებდი, ამ კაცზე რამე მეთქვა, მაგრამ რადგან მან ყველაფერ წმინდას მიაფურთხა და ფულის გულისთვის სამშობლოს მოღალატეს შეეკრა, ხაჭაპურიძის გასაგონად ჯერჯერობით მხოლოდ ამას ვიტყვი — **შალვა, თუ სააკაშვილი თავისი ფეკალიებით კალათბურთს თამაშობს, შენ ამ ფეკალიებს კაი ხანია, მიირთმევ და თანაც დიდი ნიჩბით!**

***დიტო ჩუბინიძე***

## სააკაშვილისთვის ყველაზე უფრო ადეკვატური სასჯელი ნაცსექტის 35-ლარიანი ზონდერ-გამაუპატიურებლის თემურ უბირიას საკანში შეგდება იქნება!

### კვირგვინოსნები

**დავით მაღრაძე**
*პოეტი*



ილიამ სამი საუნჯე დაგვიტოვა — **მამული, ენა, სარწმუნოება,** სააკაშვილი სამივეს საჯაროდ გაემიჯნა. გვახსოვს, **სარწმუნოებასთან** მისი გამიჯვნის კადრები, **მამულის,** საქართველოს მოქალაქეობა ფეხქვეშ გათელა, როდესაც მასზე უარი თქვა. სასამართლოზე ქართულ **ენას** გაემიჯნა და თარჯიმანი დასჭირდა.

„კვირის პალიტრა“

**კოტე ჯანდიერი**
*მწერალი*



ჩვენ კი არა, **ევროკავშირის პოლიტიკური ელიტა შორდება ევროპას.** თუკი ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი კატარის შეიხისაგან იღებდა ფულით სავსე ტომრებს, რა გარანტიაა, რომ პატივცემული **კუბილიუსი** და მისი მსგავსი **„ევროდემოკრატიის ბურჯები“** ნაცმოძრაობის „შეიხებისაგან“ არ იღებენ ქრთამს?

„კვირის პალიტრა“

**რუსუდან ფეტვიაშვილი**
*მხატვარი*



ერთი ნატვრა მაქვს: **ქართველებმა ერთმანეთის სიყვარული ისწავლონ!**

„კვირის პალიტრა“

**ლევან ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



**სანამ ეს ოპოზიცია პარლამენტიდან არ გამოვა,** ნებისმიერ აქტივობას ფასი ეკარგება. **ხალხს არ სჯერა ოპოზიციის.**

„ახალი თაობა“

# ირაკლი დოკვაძე ციხეში 24-ე შობას შეხვდა!

***მე მას „მარადიული პოლიტპატიმარი“ შევარქვი, რადგან ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ დღემდე ყველა ხელისუფლების პატიმარია, რომელიც საქართველოს 1992 წლიდან ჰყოლია. ციხეში შევიდნენ და გამოვიდნენ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის მსახური ჯალათები და მკვლელები, თვით სააკაშვილის გათავისუფლებაზე მიმდინარეობს პოლემიკა, ამ კაცისთვის კი ციხის რკინის მძიმე კარი არა და არ იღება!***



*ახლახან ციხიდან* ***მარადიულმა პოლიტპატიმარმა*** *დამირეკა და მთხოვა, ქართველი საზოგადოებისთვის მისი საშობაო მილოცვა გადამეცა. — „მინდა, შობა მივულოცო ქართველ საზოგადოებას და შევახსენო, რომ ჩემ მიმართ სამართლიანობის დარღვევამ ყველა აქამდე არსებულ ზღვარს გადააჭარბა. უკვე 24 წელი შესრულდა, რაც პოლიტპატიმარი ვარ, მაგრამ მუხლებზე ჩემს დაყენებას მაინც ვერ ეღირსებიან!“ —* ***ამ სიტყვებით დაიწყო ჩემთან საუბარი ირაკლი დოკვაძემ:***

— 1992 წლიდან დღემდე საქართველოს არცერთ სასამართლოში არ მოიპოვება არცერთი გამამტყუნებელი განაჩენი არცერთი პირის მიმართ იარაღის ძალით კანონიერი ხელისუფლების დამხობის ბრალდებით. მე კი დღეს სასჯელს ვიხდი 1992 წელს სამხედრო საბჭოს პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ბრალდებების თანახმად, რომელიც იწყება სიტყვებით: **„1992 წლის 6 იანვარს გამსახურდიამ დაკარგა რა ხელისუფლება, გაიქცა ჩეჩნეთში, სადაც ჩამოაყალიბა ბანდიტური, ტერორისტული და დივერსიული ჯგუფები“** (იხილეთ 1995 წლის 6 მარტის უზენაესი სასამართლოს განაჩენი), **რაც იმას ნიშნავდა, რომ ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტი კი არა, დანაშაულებრივი ჯგუფების ორგანიზატორი და მეთაური იყო.** საქმეზე **„ზვიად გამსახურდიასა და სხვათა მიმართ“** უზენაესმა სასამართლომ 1995 წლის 6 მარტს მე და **პეტრე გელბახიანს** სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა შეგვიფარდა, რითიც აღასრულა შევარდნაძის მითითება. ამ განაჩენს მაშინ მსოფლიოს აბსოლუტურად ყველა ავტორიტეტული ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში ჩვენი საქმის დეტალური შესწავლის შემდეგ მოხდა ჩემი, **პეტრე და გედევან გელბახიანების, ვიქტორ დომუხოვსკისა და ზაზა წიკლაურის** პოლიტიკურ პატიმრებად აღიარება, რასაც დაეთანხმა ამერიკული „ჰელსინკი ვოტჩი,“ ბრიტანული „ამნისტი ინტერნეიშენლ,“ გერმანული „აი ჯი ეფ ემი“ და ახალი ზელანდიის ადვოკატთა ასოციაცია. შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ ჩვენი გათავისუფლების მოთხოვნით უმკაცრესი განცხადებები გაკეთდა საერთაშორისო არენაზე.

## ციხეში 10 წელი გავატარე, აქედან, 3 წელი სიკვდილმისჯილთა საკანში, სადაც რკინის კარის ყოველ გაჩხაკუნებაზე

## დასახვრეტად გაყვანას ველოდი...

დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურმა ზეწოლამ შედეგი გამოიღო და 10-წლიანი პატიმრობის შემდეგ გავთავისუფლდით. 2004 წლის 9 თებერვალს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მოსამართლე **მერაბ ტურავას** თავმჯდომარეობით რეაბილიტირებულად მაღიარა, სახელმწიფომ უკანონო პატიმრობის გამო კომპენსაცია 20 ათასი ლარი გადამიხადა, რითიც, როგორც მაშინ ჩაითვალა, წერტილი დაესვა 1995 წლის 6 მარტის დანაშაულებრივ და სამარცხვინო განაჩენს.

**— მაგრამ ირაკლი... ამჯერად სულ სხვა ბრალდებით იხდით სასჯელს. რა შუაშია ამ საქმესთან წინა ბრალდება?**

— დიახ, 2009 წელს სააკაშვილის რეჟიმმა 2 ადამიანის მკვლელობის მცდელობის ცილისმწამებლური ბრალდება წამიყენა და **30 წლით პატიმრობა** მომისაჯა! არ შევუდგები მსჯელობას ახალი ბრალდების აბსურდულობაზე, უამრავი გარემოებით მტკიცდება ჩემი უდანაშაულობა. ჩაილურის წყალი დალია დაპირებებმა, რომ რეჟიმის მიერ უკანონოდ გასამართლებული პატიმრების საქმეებს გადასინჯავდნენ — **30 წელს ხომ იმ პერიოდში მკვლელობის მცდელობისთვის კი არა, მკვლელობისთვისაც არ აძლევდნენ!** ესეც რომ არაფრად ჩავაგდოთ, ჩემთვის მოსჯილი სასჯელის 30-წლიანი ვადა სახელმწიფოში გამოსული ამნისტიების გათვალისწინებით, 2 წლის წინ ამოიწურა და ნებისმიერი გათვლით, მე დღეს მაინც თავისუფალი უნდა ვყოფილიყავი იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც მართლაც ჩამედინოს, რაც სააკაშვილის რეჟიმმა დამაბრალა... თუმცა, ამნისტია არ შემახეს, სასჯელის განახევრების ნაცვლად მხოლოდ მეოთხედი ჩამომაკლეს იმ მოტივით, რომ წინა პატიმრობა ნასამართლეობაში ჩამითვალეს. **გამოდის, ნასამართლევად ვითვლები „ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილი ბანდიტური ჯგუფის წევრობის“ გამო ციხეში გატარებული 10 წლის (1992-2002 წ.წ.) გათვალისწინებით, რომლის გამოც სასამართლომ რეაბილიტირებულად გამომაცხადა და კომპენსაციაც გადამიხადეს!**

ამჟამინდელ მმართველ პარტიას, რომელმაც უღალატა ხალხის წინაშე მიცემულ სამართლიანობის აღდგენის დაპირებას, ურჩევნია, ციხეში დამტოვოს, ვიდრე ჩემ მიმართ ენით აუწერელ უსამართლობას ნათელი მოჰფინოს! შედეგად რა გამოდის? **ციხეში ვრჩები ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების ერთგულებისთვის, იმ განაჩენის გავლენით, რომლის გამოც დასავლეთის დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა ადრე პოლიტპატიმრად გამომაცხადეს!** თუ ზვიად გამსახურდიას ახლანდელი ხელისუფლებაც ბანდიტად თვლის, აღარაფერი მეთქმის — თანახმა ვარ, მთელი ცხოვრება ციხეში გავატარო, ყველა სხვა შემთხვევაში, ვალდებულები არიან, დაუყოვნებლივ გამიღონ ციხის კარი!

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***









## საქართველოს ბოლო ოთხი პრეზიდენტიდან არცერთმა არ ინება ირაკლი დოკვაძის შეწყალება!

## „გამოდის, ნასამართლევად ვითვლები „ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილი ბანდიტური ჯგუფის წევრობის“ გამო ციხეში გატარებული 10 წლის (1992-2002 წ.წ.) გათვალისწინებით!“

## კვირგვინოსნები

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*



**ციხეში ტანჯული ან გარდაცვლილი ექს-პრეზიდენტი ნაციონალებსაც აწყობთ.** სააკაშვილი და მისი გარემოცვა ამას კარგად მიხვდნენ და გადარჩენას ცდილობენ. **ხელისუფლება მის გაშვებას თუ გადაწყვეტს, ეს 2024 წლის არჩევნების შემდეგ იქნება.**

„რეზონანსი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



არქივიდან ამოიღეთ, რას საუბრობდნენ **სააკაშვილზე ხიდაშელი, სანიკიძე, ფოფხაძე, ბესელია, მარგველაშვილი** და სწორედ ეს გაუშვან „სიენენზე“. ეს ადამიანები 2012 წელს იყვნენ ხელისუფლებაში და საქართველოს მოსახლეობას ბოდიშს ვუხდი, რომ **კოჰაბიტაციის მომხრე იყვნენ და სწორედ მათ უზრუნველყვეს, რომ სამართლიანობა არ დამდგარიყო.**

„ალია“

**თენგიზ გოგოტიშვილი**
*„მთავარი არხის“ ჟურნალისტი*



რიგაში ვიდექი მიშას აქციაზე. **ორი ქართველი, 1 ჩეხი და 20-25 ლატვიელი და უკრაინელი.** ძალიან ტეხავს!

„აიპრესი“

**ნიკა ჩიტაძე**
*ექსპერტი*



მართალია, **ხელისუფლების რეიტინგი** დაცემულია, მაგრამ რეალობა ის არის, რომ **ოპოზიციის რეიტინგიც** ძალიან დაბალია.

„ახალი თაობა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ექსპერტი*



დღევანდელი ხელისუფლება „წარმატებულია“ იმით, რომ **მისი მთავარი მეტოქე ნაციონალური მოძრაობაა.**

„კვირის პალიტრა“



## არნო ხიდირბეგიშვილი

# საქართველო შესაძლოა, რუსეთისა და ჩინეთის მიერ დაცული ქვეყნების რიცხვში აღმოჩნდეს!



***საზოგადოებაში კვლავ რჩება ფრიად აქტუალური კითხვა — რა მოხდება სააკაშვილის სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ? დარწმუნებული ვარ, სასამართლო არ გადაავადებს მსჯავრდებული სააკაშვილის სასჯელის აღსრულებას და არ მიიღებს გადაწყვეტილებას მის საზღვარგარეთ „სამკურნალოდ“ გაგზავნის შესახებ, ხოლო, თუ სასამართლომ საპირისპირო გადაწყვიტა, ეს ქართული მართლმსაჯულების სრული კრახი და ქართული სახელმწიფოს ფიასკო იქნება. არადა, თავად სააკაშვილიც მიხვდა, რომ თავისი სიმულაციებით ქართველ ხალხს გული ვერ აუჩუყა და გადაწყვიტა, უკრაინისათვის თავდადებული გმირის მანტია მოისხას.***

## გიფიქრიათ ამაზე სერიოზულად?

„Украинская Правда“-ს შეკითხვაზე — ***„უკრაინიდან საქართველოში რომ არ წასულიყავით და 2022 წლის თებერვალში კიევში შეჭრას შესწრებოდით, რას მოიმოქმედებდით?“*** — სააკაშვილი პასუხობს:

***„მე ვიქნებოდი პრეზიდენტ ზელენსკის გვერდით, რომელსაც ჩერჩილის შემდგომ პერიოდში ყველაზე გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწედ ვთვლი. რეიგანი და ტეტჩერი მასთან ახლოსაც ვერ მივლენ. ამავდროულად, ვიმოგზაურებდი მთელ მსოფლიოში, გამოვიყენებდი ჩემს მრავალრიცხოვან კავშირებს უკრაინის მხარდაჭერის მობილიზებისთვის... მე თვითონ ვგრძნობ თავს ასპროცენტიან უკრაინელად და ამით ასე არასდროს მიამაყია!“.***

ნათელი ხდება, რომ ვიგინდარა სააკაშვილი მჭიდროდ აკავშირებს საკუთარ თავს უკრაინულ თემასთან, რათა კოლექტიურმა დასავლეთმა **„პუტინის მტრის და რუსეთის წინააღმდეგ ზელენსკიზე არანაკლები მებრძოლის ქართული ტყვეობიდან“ გათავისუფლების საკითხი უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდების ტოლფას ღონისძიებად ჩათვალოს.** ამასთან სახეზეა სააკაშვილის ვულგარული პირფერობაც, რათა ზელენსკიმ განაგრძოს ზეწოლა ოფიციალურ თბილისსა და კოლექტიურ დასავლეთზე სააკაშვილის უკრაინაში გაგზავნის მოთხოვნით, **ანუ დასავლეთს უნდა ესმოდეს, რომ სააკაშვილის სახით ზელენსკის ეყოლება ფასდაუდებელი თანამებრძოლი, რომელიც მყისიერად დაივიწყებს დაქირავებული ამერიკელი ექსპერტების მიერ დასმულ ოცდაათ „საშინელ დიაგნოზს“ და მისთვის ჩვეული გიჟური ენერგიით იქროლებს — ხან ფრონტზე, ხანაც — ევროპასა და აშშ-ში.**

პოლიტიკური ავანტიურისტი სააკაშვილი დღეს ბრწყინვალე ფორმაშია, ამ ნახევრად ქართველისა და ნახევრად სომეხის აბსურდულ სიტყვებსაც კი — ***„თავს ვგრძნობ ასპროცენტიან უკრაინელად“*** — ზეამოცანა აქვს — ამით სააკაშვილი **ივანიშვილსა** და **ღარიბაშვილს** მიმართავს: აქაოდა, **„მე ვარ უკრაინის მოქალაქე, უკრაინელი, გამიშვით უკრაინაში, საქართველოში აღარასოდეს დავბრუნდები, უკვე აღარ მაქვს პრეტენზია საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსვლის, ამიერიდან მხოლოდ უკრაინა მაინტერესებს!“.** ამ სიტყვებით სააკაშვილი დასავლეთსა და ზელენსკისაც აგებინებს: **„ალო! მე, უკრაინის მოქალაქე და უკრაინის პრეზიდენტის ოფიციალური მრჩეველი, უკანონოდ ვიმყოფები ქართულ ტყვეობაში! უბრძანეთ ივანიშვილსა და ღარიბაშვილს — სასწრაფოდ გამათავისუფლონ, უბრძანეთ ზურაბიშვილს — სასწრაფოდ შემიწყალოს!“.** სინამდვილეში კი, **სააკაშვილის გათავისუფლების მიზანი სწორედ იმ საერთაშორისო ანტიქართული კოალიციის გაძლიერებაა, რომელსაც საქართველოში სააკაშვილის დაკავებით თავი მოჭკვეთეს!** იმასაც ვინ გამორიცხავს, რომ სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს შეიწყალებს, თუ მანამდე სააკაშვილს სასამართლო არ გაათავისუფლებს. **სხვაგვარად, პარიჟანკას საფრანგეთში ჩაქოლავენ, როცა ის, წინაპრების მსგავსად, იძულებული გახდება, საქართველოდან გაიქცეს!**

ისიც ფაქტია, რომ სააკაშვილის შეწყალებით აბსოლუტურად ყველა პოზიციაზე შერცხვენილი **პრეზიდენტი ზურაბიშვილი** ქართველი მენშევიკების — რუსეთის ძველისძველი მტრების შარავანდედს შეიძენს, რაც დასავლეთის თვალში საუკეთესო პიარია! ყოფილ ფრანგ კლერკ სალომეს პუტინის მტრის პიარით პენსიაზე გასვლაზე მხოლოდ ოცნება შეეძლო!

დღეს **დასავლეთი ძალიან დაინტერესებულია სააკაშვილის უსწრაფესად შეწყალებით, რადგან საქართველოს ხელისუფლებამ — სასამართლომ, პარლამენტმა, მთავრობამ, მმართველმა პარტიამ — გაუძლო მათზე უკრაინის ხელმძღვანელობის და დასავლეთის უპრეცედენტო ზეწოლას — უარი განაცხადა სააკაშვილის სასჯელის გადავადებაზე და საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნაზე.** სააკაშვილის გარდა კი სხვა ლიდერი, რომელსაც შეუძლია ამ ამოცანის შესრულება და რადიკალური ოპოზიციის გაერთიანება, საქართველოში არ არსებობს. **ამიტომ სააკაშვილი, თავისუფალი და უვნებელი, დასავლეთის მჭიდში უნდა იყოს საქართველოსთვის საკონტროლო ტყვიის დასახლელად, რადგანაც დასავლეთმა, თავისი უჭკუობითა და პროვოკაციებით, შესაძლოა, საქართველო მალე დაკარგოს.**

## სააკაშვილი აუცილებლად უნდა იყოს დასავლეთის მჭიდში საქართველოსთვის საკონტროლო ტყვიის დასახლელად!

2022 წლის მიწურულს **ვლადიმერ პუტინი** ვიდეოკონფერენციის რეჟიმში შეხვდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე **სი ძინპინს,** სადაც განაცხადა:

***„ჩვენ ერთნაირი შეხედულებები გვაქვს გლობალური გეოპოლიტიკური ლანდშაფტის მიმდინარე ტრანსფორმაციის მიზეზებზე, მიმდინარეობასა და ლოგიკაზე, დასავლეთის უპრეცედენტო ზეწოლისა და პროვოკაციების პირობებში, ვიცავთ ჩვენს პრინციპულ პოზიციებს და ვიცავთ არამხოლოდ საკუთარ, არამედ ყველას ინტერესებს, ვინც მხარს უჭერს ჭეშმარიტად დემოკრატიულ მსოფლიო წესრიგს და ქვეყნების უფლებას, თავისუფლად განსაზღვრონ საკუთარი ბედი“.***

ჰოდა, იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც იცავენ რუსეთი და ჩინეთი, ***„რომლებიც მხარს უჭერენ ჭეშმარიტად დემოკრატიულ მსოფლიო წესრიგს და ქვეყნების უფლებას, თავისუფლად განსაზღვრონ საკუთარი ბედი“,*** სავსებით შესაძლებელია, აღმოჩნდეს საქართველოც. ეს კი აშშ-სთვის ნიშნავს სამხრეთ კავკასიის რეგიონის სრულ და შავი ზღვის რეგიონის ნაწილობრივ დაკარგვას, **სადაც დღეს აშშ და ნატო ისედაც „ცალ ფეხზე დგანან“.**

**ამიტომაც აამოქმედა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სომხეთში თავისი უზარმაზარი საელჩო-ციტადელი.**

**გიფიქრიათ ამაზე სერიოზულად?!**

### კვირგვინოსნები

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



**დასავლეთს ხელში უჭირავს თოკი,** რომლითაც უნდა მიუშვებს და უნდა მოქაჩავს უკრაინას. **ჯერ კანდიდატის სტატუსზე გვითხრეს უარი, შემდეგ კი განაცხადეს, ევროპა თბილისამდე უნდა გაფართოვდესო.** როგორ გაფართოვდება ევროპა თბილისამდე, თუ სტატუსს არ მოგვცემენ?

„კვირის პალიტრა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



***„ქართული* ოცნების“ რეიტინგი არ იმატებს**, მაგრამ მათ მაინც უკავიათ მყარი პოზიციები, **ოპოზიციის რეიტინგი კი კატასტროფულად იკლებს.** „ოცნება“ უარს არ იტყვის ევროპაში ინტეგრაციაზე, ამაში დარწმუნებული ვარ.

„ახალი თაობა“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



**ჩვენ ვუყურებთ ჩვენი ქვეყნის მომავლის ჩამოხრჩობას!**

„ახალი თაობა“

**ბადრი ჯაფარიძე**
*„ლელოს“ ლიდერი*



რთული წელი იქნება. შეუძლებელია, **სამოქალაქო დაპირისპირება** მალე დასრულდეს.

„კვირის პალიტრა“

# «მივმართავ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს: სააკაშვილის შეწყალება არ გაბედოთ და ყოველ სიტყვასა და მოქმედებას აზრი დაატანეთ!“



***პარტია „ევროპელი სოციალისტების“ ლიდერი, საქართველოს პარლამენტის წევრი ფრიდონ ინჯია ამ ექვსი თვის წინათ სალომე ზურაბიშვილთან გამართული სკანდალური საუბრის დეტალებს ახმაურებს და აცხადებს, რომ, თუ პრეზიდენტი სააკაშვილის შეწყალებას გაბედავს, შესაძლოა, მისი იმპიჩმენტის პროცესი დაიწყოს:***

— იმ ფონზე, როცა სალომე ზურაბიშვილის მიერ სააკაშვილის შესაძლო შეწყალების საკითხი აქტუალური გახდა, ჩვენს პარტიაში — „ევროპელ სოციალისტებში“ პრეზიდენტის იმპიჩმენტის იდეა გაჩნდა! მიგვაჩნია, რომ, თუ სალომე ზურაბიშვილი გაბედავს და შეიწყალებს დამნაშავეს, რომელმაც ქვეყანას უამრავი ბოროტება მოუტანა და ბევრი ადამიანი გააუბედურა, მაშინ დაუსჯელი არ უნდა დარჩეს და მისი იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყოს!

**— ბატონო ფრიდონ, თუ სალომე ზურაბიშვილმა სააკაშვილი მართლაც შეიწყალა, მერე მის იმპიჩმენტს რაღა აზრი ექნება?**

— დამერწმუნეთ, ამას თუნდაც წმინდა მორალური თვალსაზრისით ექნება აზრი, ამასთან ერთად, ამ თემაზე კონსულტაცია გავიარეთ იურისტებთან, რომლებმაც გვითხრეს, რომ არსებობს ძალიან დიდი ალბათობა, სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტი ჩავარდეს!

**— რატომ?**

— იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას სჭირდება 50 დეპუტატის ხმა, რის შემდეგაც საქმე მიდის საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელმაც პრეზიდენტის საქმიანობაში აუცილებლად უნდა იპოვოს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იმპიჩმენტის პროცესის ვიზირებისთვის. თუ ეს ბარიერები დაძლეული იქნება, ამის შემდეგ პროცესი ისევ გადაინაცვლებს პარლამენტში, სადაც პრეზიდენტის ვადაზე ადრე გადასაყენებლად 100 ხმა იქნება საჭირო. როგორც გვითხრეს, პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის დროს სალომე ზურაბიშვილის საქმიანობაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების პოვნა გაძნელდება, თუმცა, **არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ სალომე ზურაბიშვილს სისხლის სამართლის დანაშაული ნამდვილად აქვს ჩადენილი და აწ განსვენებული პროფესორ გიორგი ოთხმეზურის 16 წლის ვაჟის მკვლელი ანზარებით ჰყავს შეწყალებული, მაგრამ ამის დამტკიცება ძალიან ძნელია!**

**— თუ სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყება, ის სააკაშვილს ველარ შეიწყალებს?**

— ვერ შეიწყალებს, ეს წარმოუდგენელი იქნება! მაგრამ, როგორც გითხარით, იმპიჩმენტის პროცესის სისრულეში მოყვანა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ძალიან რთული ჩანს. **მიუხედავად ამისა, მივმართავ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს:** სააკაშვილის შეწყალება არ გაბედოთ და ყოველ სიტყვასა და მოქმედებას აზრი დაატანეთ!

მეორე ტურში სალომე ზურაბიშვილს ხმა მისცა 1 მილიონ 100 ათას კაცზე მეტმა. ამდენი ამომრჩეველი „ქართულ ოცნებას“ არ ჰყავს, მაგრამ ნაცების ხელისუფლებაში მოტრიალება ქართველ ხალხს იმდენად არ სურდა, რომ სალომე ზურაბიშვილს იმ ადამიანებმაც კი დაუჭირეს მხარი, რომლებსაც „ქართული ოცნებისთვის“ ხმა არასოდეს მიუციათ. **ქალბატონო სალომე, მოგიწოდებთ, ნუ დაუპირისპირდებით ამ ხალხს!**



„სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს ტყუილად არ შეიწყალებს!“

ფრიდონ ინჯია:

**— ბატონო ფრიდონ, გამოცდილი კაცი ხართ და როგორ ფიქრობთ, სალომე ზურაბიშვილი არის სააკაშვილის შემწყალებელი?**

— პრობლემა ის არის, რომ სალომე ზურაბიშვილის ქმედებები ადეკვატური არც ახლაა და არც არასოდეს ყოფილა. პრეზიდენტი საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე არასოდეს მოქმედებდა და ყველა მისი ნაბიჯი, მათ შორის, სააკაშვილთან დემარშით დაპირისპირება, ნაკარნახევი იყო არა საქართველოს, არამედ პირადი ინტერესებით. ამდენად, ეს ქალი რას იზამს, ღმერთმა უწყის! ერთი რამ ცხადია — სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს ტყუილად არ შეიწყალებს!

**— რას გულისხმობთ?**

— მსოფლიო მასშტაბით ოჯახისა და ლობისტური კომპანიების მიერ სააკაშვილის დასახსნელად იმდენი ფულია მობილიზებული, ვერ წარმოიდგენთ! ამ ექვსი თვის წინათ მივიღე ინფორმაცია, რომ, **ვინც სააკაშვილის გათავისუფლებას თავს მოაბამს, 200 მილიონ დოლარს გადაუხდიან!** შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ თანხის ოდენობა გაზარდეს კიდეც! ეს ინფორმაცია მაშინვე მივაწოდე სალომე ზურაბიშვილს, როცა ჩვენი პარტიის აქტივს შეხვდა.

**— ეს ინფორმაცია სალომე ზურაბიშვილს როგორი რაკურსით მიაწოდეთ — „პრეზიდენტო, ვიცი, რომ სააკაშვილის გასათავისუფლებლად 200 მილიონი დოლარია გამოყოფილი და ღმერთი არ გაგიწყრეთ და ამ ფულზე ხელი არ წაგცდეთ-თქო?“**

— დიახ, სწორედ მაგ კონტექსტში მივაწოდე ეს ინფორმაცია. უნდა გითხართ, რომ ქალბატონი სალომე ამ ყველაფერს ძალიან ცივად შეხვდა და ჩემი ნათქვამი დიდად არ მოეწონა!

**— რა გიპასუხათ?**

— არაფერი უთქვამს და ლაპარაკი სხვა თემაზე გადაიტანა!

**— თქვენ ზემოთ 200 მილიონი დოლარი ახსენეთ, ვისია ეს თანხა?**

— ეს სააკაშვილის ოჯახის მიერ დაწესებული ჯილდოა, იგივე სააკაშვილის ფული! ყოფილ პრეზიდენტს მილიარდები აქვს გატანილი საქართველოდან და ციხიდან გამოსვლაში 200 მილიონ დოლარს ნამდვილად გადაიხდის!

**— თქვენ ისე ლაპარაკობთ, მგონი, დარწმუნებული ხართ, რომ სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს შეიწყალებს!**

— მე ერთ რამეს ვიტყვი და არ შევცდები — **ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## ვინც სააკაშვილის გათავისუფლებას თავს მოაბამს, 200 მილიონ დოლარს გადაუხდიან! ეს სააკაშვილის ოჯახის მიერ დაწესებული ჯილდოა!



## კვირგვინოსნები

**სოსო ცისკარიძე**
*პოლიტოლოგი*



თუკი ვინმე დღეს **შექსპირისეული დილემის წინაშე დგას** — ეს სწორედ სალომე ზურაბიშვილია. **„ყოფნა-არყოფნა“ — შევიწყალო-არ შევიწყალო?!** მიხეილ სააკაშვილმა სალომე ზურაბიშვილი ისტორიული რუბიკონის წინაშე დააყენა.

„ახალი თაობა“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



**მიხეილ სააკაშვილმა** უნდა მოიხადოს სასჯელი, მას უმძიმეს დანაშაულებში მიუძღვის ბრალი. როცა ვიხსენებ გლდანის საპატიმროს, პატიმრების ჩვენებებს, როგორ **აწამებდნენ, აუპატიურებდნენ და ხოცავდნენ მათ,** ამასთან ახლოსაც მოსატანი არ არის ის პირობები, რა პირობებშიც ახლა **სააკაშვილი** იმყოფება.

„იმედინიუსი“

**ხატია დეკანოიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**სალომე ზურაბიშვილთან** ჩვენი კონტაქტი მხოლოდ საჯარო განცხადებებით შემოიფარგლება, **მასზე ზეწოლა, ბულინგი თუ განხორციელდება,** პირადად მე საჯაროდ დავიცავ.

„პირველი არხი“

**ნონა მამულაშვილი**
*ნაცმოძრაობის თავმჯდომარეობის ექს-კანდიდატი*



უკრაინა-რუსეთს შორის **სააკაშვილის ტყვედ გაცვლის იდეა** უფრო პრაგმატულია, ვიდრე იმის მოლოდინი, შეიწყალებს თუ არა პრეზიდენტი.

„TV პირველი“

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*



**სალომე ზურაბიშვილს** მილიონზე მეტმა ადამიანმა მხარი იმიტომ დაუჭირა, რომ არ მოსულიყო ისეთი პრეზიდენტი, რომელიც **მეგის ქარდავას** და სხვა **კაციჭამიებს** შეიწყალებდა.

„პირველი არხი“

*სამართლის დოქტორი და იუსტიციის გადამდგარი სახელმწიფო მრჩეველი, პროფესორი* ***ვენედი ბენიძე*** *სააკაშვილის შეწყალება-არშეწყალების გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ეხმაურება და იმ იურიდიული ხვრელების შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ამ საქმეში არსებობს:*

# ვენედი ბენიძე: გერმანული და შვეიცარიული კანონმდებლობით ზურაბიშვილი სააკაშვილს ვერ შეიწყალებს!



— კანონის თანახმად, სასჯელის გადავადების საფუძველი შესაძლოა, გახდეს ესა თუ ის მძიმე ავადმყოფობა, რომელთა ჩამონათვალი მკაცრად არის განსაზღვრული. სასჯელის გადავადება ხდება პატიმრის სრულ გამოჯანმრთელებამდე ანდა ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე.

**— ვინ უნდა განსაზღვროს, რომ პატიმრის ჯანმრთელობა ძალიან არის შერყეული და ტუსაღი ექვემდებარება სასჯელის გადავადებას?**

— ეს უნდა განსაზღვროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ!

**— იმ შემთხვევაში, როცა, უცხოურ გრანტებზე გაყიდული „ემპათია“ და სააკაშვილის მიერ დაქირავებული „ექსპერტები“ ამტკიცებენ — სააკაშვილი კვდებაო, ხოლო ოფიციალური სახელმწიფო უწყება, ამ შემთხვევაში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, მსგავს „დასკვნას“ არ იზიარებს, სასამართლომ ვის უნდა დაუჯეროს?**

— სასამართლომ, რა თქმა უნდა, სწორება უნდა აიღოს სახელმწიფო ინსტიტუციის, ამ შემთხვევაში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მიერ გამოტანილ დასკვნაზე! **თუმცა, სასამართლოს შეუძლია, საერთოდ არ გაიზიაროს არცერთი დამოუკიდებელი თუ სახელმწიფო ექსპერტის დასკვნა და პატიმარს სასჯელი არ გადაუვადოს!**

**— ანუ ექსპერტიზის დასკვნა, რაგინდ მძიმე მოსასმენიც არ უნდა იყოს ის, სასამართლოსთვის სავალდებულო ნორმატივს არ წარმოადგენს?**

— დიახ, სასამართლოს შეუძლია, მსგავსი დასკვნა, **ვისი დაწერილიც გინდა იყოს** ის, საერთოდ უგულებელყოს და არ გაითვალისწინოს! ერთია კიდევ — პოლიტიკოსები, პროვოკატორები თუ უმეცარი ადამიანები სასამართლოსგან მოითხოვენ სააკაშვილის გადაყვანას საზღვარგარეთ სამკურნალოდ!

**ვინ ეკითხება სასამართლოს პატიმრის საზღვარგარეთ გადაყვანას? ეს აბსურდია! სასამართლოს შეუძლია, მსჯავრდებულს სასჯელი გადაუვადოს, ხოლო, თუ სად წავა ამის შემდეგ პატიმარი, სამკურნალოდ თუ დასასვენებლად, ეს უკვე მისი უფლებაა.**



**„სააკაშვილის ადვოკატები ხალხს ნუ ატყუებენ – სანამ საქმის წარმოება საქართველოში არ დამთავრდება, ანუ შიდა რესურსი არ ამოიწურება, მანამდე არცერთი საერთაშორისო სასამართლო და, მათ შორის, სტრასბურგი სააკაშვილის საკითხს არ განიხილავს!“**



**— სააკაშვილს სანდრო გირგვლიანის მკვლელობის, ვალერი გელაშვილის ცემისა და შვიდი ნოემბრის საქმეზე განაჩენი უკვე გამოტანილი აქვს და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სასამართლოში ასევე გრძელდება საქმის წარმოება სხვა ეპიზოდებზე, რომლებშიც სააკაშვილი ჯერჯერობით დამნაშავედ ცნობილი არ არის. ასეთ სიტუაციაში შეუძლია თუ არა სალომე ზურაბიშვილს მისი შეწყალება?**

— მოვისმინე განმარტებები საკმაოდ კომპეტენტური და სერიოზული ხალხისგან — რადგან მსჯავრდებული სააკაშვილი ასევე ბრალდებულია სხვა ეპიზოდებში და ამ საქმეებზე სასამართლო განხილვა მიმდინარეობს, ამის გამო სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს ვერ შეიწყალებსო! **კატეგორიულად ვაცხადებ — ეს არის მცდარი წარმოდგენა და სალომე ზურაბიშვილს დღესვე შეუძლია სააკაშვილის შეწყალება!** პრეზიდენტი იწყალებს მსჯავრდებულს, ხოლო სხვა საქმეები, სადაც სააკაშვილი ბრალდებულია და შესაძლოა, გამართლდეს ან გამტყუნდეს, პრეზიდენტს აბსოლუტურად არ აინტერესებს! აი, მაგალითად, სააკაშვილმა პრეზიდენტობის დროს **ბაჩო ახალაია** ციხის ბუნტის ეპიზოდში შეიწყალა, მაგრამ პარალელურად ახალაიას წინააღმდეგ მიმდინარეობდა საქმის წარმოება სხვა ეპიზოდებზე, რაშიც ის გამტყუნდა. სხვათაშორის, ბაჩო ახალაიამ სასჯელი ღირსეულად მოიხადა, სააკაშვილივით ციხეში არც უტირია და არც „ვაი, დედა!“ უძახია!

**„ბაჩო ახალაიამ სასჯელი ღირსეულად მოიხადა, სააკაშვილივით ციხეში არც უტირია და არც „ვაი, დედა!“ უძახია!“**

**— უცხოეთში როგორ რეგულირდება ეს საკითხი, როცა პირი მსჯავრდებულია და პარალელურად სხვა საქმეები სასამართლო განხილვაშია, მისი შეწყალება შესაძლებელია?**

— მოქმედი საპროცესო კოდექსით, რომელიც 2009 წლის 9 ოქტომბერს მიიღეს და 2010 წელს ძალაში შევიდა, თუ პირი ხუთ დანაშაულებრივ ეპიზოდში იყო ბრალდებული, პროკურორი ითხოვდა და სასამართლო თითოეულ ამ ეპიზოდზე უფარდებდა აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობას! ანუ, ფიგურალურად რომ ვთქვათ, **პირს ხუთჯერ იჭერდნენ...** ასე იყო სააკაშვილის დროს, მაგრამ შემდეგ და შემდეგ სასამართლო პრაქტიკა სხვა გზით წავიდა და დაისვა კითხვა — **„რატომ უნდა შევუფარდოთ პირს მესამე და მეხუთე გზის პატიმრობა, როცა ის უკვე ერთ ეპიზოდში მსჯავრდებული ან ბრალდებულია?“** გერმანული და შვეიცარიული კანონმდებლობით ზურაბიშვილი სააკაშვილს ვერ შეიწყალებს!

**— რატომ?**

— გერმანიასა და შვეიცარიაში ასეა — **პირი რამდენ ეპიზოდშიც ეჭვმიტანილია, სასამართლოს იმდენი განჩინება გამოაქვს მისი პატიმრობის შესახებ!** დიახ, ასეთ შემთხვევაში სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს ვერ შეიწყალებდა, მაგრამ ახლა, როცა მსჯავრდებულ სააკაშვილს დანარჩენ ეპიზოდებზე პატიმრობა შეფარდებული არა აქვს, პრეზიდენტის მიერ მისი შეწყალება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს!

**— თუ სალომე ზურაბიშვილმა სააკაშვილი შეიწყალა, სახელმწიფოს რამე ბერკეტი რჩება მის პატიმრობაში დასატოვებლად?**

— კი, ბერკეტი რჩება —

**პროკურატურამ სასამართლოს უნდა მიმართოს რომელიმე სხვა ეპიზოდის წილ სააკაშვილისთვის პატიმრობის შეფარდების შესახებ, მაგრამ ეს უკვე ძალიან რთული იქნება, რადგან საქმე შეიძენს პოლიტიკური დევნის ელფერს, რასაც უმკაცრესი საერთაშორისო რეაგირება მოჰყვება!**

**— კიდევ რა იურიდიული ინსინუაცია გვხვდება სააკაშვილის საქმეში?**

— იურიდიული ინსინუაცია ნამდვილად არის ის, რასაც სააკაშვილის ადვოკატი გაიძახის — ჩვენ ადგილობრივი სასამართლოების იმედი არ გვაქვს და საერთაშორისო სასამართლოს უნდა მივმართოთო!

**— ამას შალვა ხაჭაპურიძე ამბობს!**

— დიახ! **სააკაშვილის ადვოკატები ხალხს ნუ ატყუებენ — სანამ საქმის წარმოება საქართველოში არ დამთავრდება, ანუ შიდა რესურსი არ ამოიწურება, მანამდე არცერთი საერთაშორისო სასამართლო და, მათ შორის, სტრასბურგი სააკაშვილის საკითხს არ განიხილავს!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



იმედი გამიცრუვდა, **ჩემ გარშემო ბევრი თვალთმაქცი აღმოჩნდა.** ბოლო სასამართლო პროცესზე მომხდარმა ამბავმა გამიჩინა განცდა, რომ **როგორც ზვიად გამსახურდია მოკლეს, ისევე აპირებენ სააკაშვილის მოკვლასაც, ოღონდ ტყვიის გარეშე.**

„კვირის პალიტრა“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



ნაციონალურმა მოძრაობამ შექმნა **თაღლითური სისტემა,** რომელიც დესტაბილიზაციას, ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდით შეცვლას ლამობს, **ამ სისტემის ნაწილად იქცა სალომე ზურაბიშვილი.** არ ვიცი, თავს რად გრძნობს **სააკაშვილი,** მაგრამ ქართველთმოძულე რომ არის, ამაზე თავადაც უსაუბრია.

„პირველი არხი“

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ ლიდერი*



პრეზიდენტი თუ მიიჩნევს, რომ ბულინგის მსხვერპლია, **ეს ნიშნავს, რომ ვერ უმკლავდები მაღალ თანამდებობას, პასუხისმგებლობას და სახლში უნდა წახვიდე.**

„პირველი არხი“

*საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ეხმაურება ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი:*



# ჯეფრი სილვერმანი:

## სალომე ზურაბიშვილი თავს ქართველ ქალად რომ გრძნობდეს, შვილმოკლულ მშობლებს თანაუგრძნობდა და თვალზე ცრემლი მოადგებოდა!



— ქართულ სოფელში ცხოვრებამ ხალხთან დამაახლოვა და ახლა ამათ რომ ჰკითხოთ, გასული წლიდან რა დაგამახსოვრდათო, გეტყვიან — ჩვენი ფრანგი პრეზიდენტის თვალების ბრიალი და სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლულთა მშობლების მიმართ მისი გულგრილი საყვედური — აქ რას მომივარდითო.

**— სალომე ზურაბიშვილი ქართველია...**

— ქართველია, მაგრამ მას თავისი სამშობლო — საფრანგეთი უფრო უყვარს, საიდანაც ფინანსური მხარდაჭერა აქვს. სწორედ ამ ქვეყანამ შეუწყო ხელი „ვარდების რევოლუციას“ და იმ პროცესებს, რამაც **ასლან აბაშიძეს** საქართველო დაატოვებინა. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ დღევანდელი საქართველო საფრანგეთის, თურქეთისა და რუსეთის დაზვერვის თანამშრომლობის შედეგებზეა მორგებული.

სალომე ზურაბიშვილი თავს ქართველ ქალად რომ გრძნობდეს, შვილმოკლული მშობლების მიმართ თანაგრძნობას გამოიჩენდა და როგორც ქართველ დედას სამარეში უდროოდ ჩაწვენილთა პატივისცემის ნიშნად თვალზე ცრემლი მოადგებოდა. **სულხან მოლაშვილის** მამაზე, თმაჭაღარა **თამაზ მოლაშვილზე** ქალი რომ იტყვის, მომივარდაო, იმას რა უნდა ელაპარაკო? ამ კაცის გამოსვლა ტელევიზიით მინახავს, ვიცი, რომ პედაგოგია და სალომე ზურაბიშვილს მისი ტკივილის მიმართ ყურადღება რომ გამოეჩინა, მაშინ გამოჩნდებოდა მაგისი ქართველქალობაც. არადა, სალომე ზურაბიშვილს პასუხი უნდა გაეცა ერთადერთ შეკითხვაზე: **შეიწყალებს თუ არა მათი შვილების მკვლელ სააკაშვილს?** ისევ **„არა და არასოდეს“** იტყვის თუ იტყვის — ვათავისუფლებო?! მურუსიძე და ჩინჩალაძე ამ ხალხს არ აურჩევია. ზურაბიშვილმა ისიც კარგად იცის, რომ რაღაც ფონდებსა თუ ინსტიტუტებს დასავლეთში სააკაშვილი თავიანთი მიზნებისთვის ჯერ კიდევ სჭირდებათ, მისი ხელიდან საჭმელს ახლაც ჭამენ და კავკასიაში მისი ყვირილიც აწყობთ. **სააკაშვილი სჭირდება კრიმინალური ქსელების ფართო სპექტრსაც და, მათ შორის, ქართული ლეგიონის კრიმინალურ ფრთასაც.**

**— რაც შეეხება სააკაშვილის მიმართ ამერიკის მხარდაჭერას?**

— გარდა იმისა, რომ სააკაშვილმა საქართველოში დანაშაულები ჩაიდინა, რაღაც დიდი საქმე საზღვარგარეთაც გააფუჭა. საბოლოოდ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ყველაფერი სხვებს დააბრალოს — რასაც ვაკეთებდი, ამერიკელი, თურქი და რუსი „მეგობრების“ დავალება იყო, მე კი უდანაშაულო ვარო! **კიდევ უფრო დიდზე პირის გაღების უფლება თუ მისცეს, კრიმინალურ კავშირებზეც ალაპარაკდება და იმაზეც, თუ სად წავიდა საქართველოს ძარცვით მიღებული ფული.**

ვინც სააკაშვილი საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად ჩამოიყვანა, მასზე ახლა ძალიანაც აღარ წუხან და მაგის ზეზეურად ლპობა უხარიათ კიდეც. ნათქვამია, ციხე შიგნიდან ტყდებაო — მისი ტირილისა და მოთქმის აღარც მის პარტიაში სჯერათ, ნაცები ახლა მხოლოდ იოლ ფულს ეძებენ და თუ ის სააკაშვილისგან ვეღარ მიიღეს, სხვას გაურიგდებიან.

სავარაუდოდ, სააკაშვილი ციხეში მოკვდება, რადგან ის აღარავის სჭირდება, ხოლო ვადამდე თუ გამოუშვეს, ამას ნაციონალური მოძრაობის განადგურება მოჰყვება. **გიული ალასანიაც** ხვდება, რომ ნაცებს სააკაშვილი აღარ უნდათ, ამიტომაც ამბობს — ვინც ჩემს შვილს აწამებს, სამაგალითოდ დავსჯითო. ისე კი, სანამ სააკაშვილი უკრაინიდან საქართველოში წამოვიდოდა, დედას უნდა გაეფრთხილებინა, რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა. დარწმუნებული ვარ, რომ შვილის წინაშე გიული ალასანიას რაღაც პირადი დანაშაული მიუძღვის და მიუხედავად იმისა, რომ მისი მსახიობობის ამბავიც კარგად იცის, სააკაშვილის წოლას საავადმყოფოში მაინც წამებად აფასებს და სხვადასხვა მიზეზებს ასახელებს, ოღონდ გარეთ გამოიყვანოს.

**— მოსალოდნელია თუ არა ქართული ლეგიონის მხრიდან საქართველოზე შემოტევა და დესტაბილიზაცია?**

— ისინი უკრაინაში კი არიან, მაგრამ მათ თავებში მომავალი რევოლუციის გეგმები იხარშება. დაღუპული ქართველების რიცხვი 40-ს აღწევს და ითვლება, რომ ბრძოლაში კიდევ 2000-მდე ქართველია ჩართული. ამიტომ მათი მხრიდან წამოსული მუქარა საყურადღებოა! ცოტა უცნაურია ამ ადამიანების მიმართ სალომე ზურაბიშვილის განწყობაც. რა თქმა უნდა, საქმის კურსშია ამ ჯგუფის სააკაშვილთან კავშირსა და მათი დაფინანსების წყაროებზე, მაგრამ არ სვამს მთავარ კითხვას — **როგორ არსებობს ეს ჯგუფი საქართველოს კანონიერი მთავრობის მიერ ოფიციალური დამტკიცებისა და მისი პოლიტიკის მიღმა?**

ჩემი ინფორმაციით, ზურაბიშვილი დაკავშირებულია **მამუკა მამულაშვილის** დასთან — ნონასთან. ამ და-ძმას ფრანგული განათლება აქვთ მიღებული და ახლოს იყვნენ შვეიცარიელ ყოფილ სამხედრო მოსამსახურესთან **დომინიკ საუდანთან**, რომელსაც განათლება რუსეთშიც მიღებული აქვს და თბილისში ეუთოს მისიაშიც მუშაობდა. ჩემთვის ასევე ცნობილია, რომ ამათი მამა კავშირში იყო რკინიგზის მაფიასთან და მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა როგორც რუსეთის ГРУ-სთან, ისე უზარმაზარ კრიმინალურ ქსელებთან. **ასე რომ, საქართველოს ხელისუფლება ყურადღებით უნდა მოეკიდოს ქართული ლეგიონის მუქარებს და დაუყოვნებლივ იმოქმედოს სახელმწიფოს უსაფრთხოების დასაცავად.**

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***



**„სავარაუდოდ, სააკაშვილი ციხეში მოკვდება, რადგან ის აღარავის სჭირდება, ხოლო ვადამდე თუ გამოუშვეს, ამას ნაციონალური მოძრაობის განადგურება მოჰყვება!“**

## კვირგვინოსნები

**ჯამბულ გამცემლიძე**
*2008 წელს მოკლული გიორგი გამცემლიძის მამა*



მე გახლავართ არაჩვეულებრივი, ერთი ლაღი თბილისელი ბიჭის, ლამაზი კაცის მამა, რომელიც თბილისში დადიოდა და ყველას უყვარდა, **გიული ალასანია კი არის მტარვალი ადამიანის, კაცის მკვლელის, საქართველოს მიწების გამყიდველის, ქართველთმოძულე გვარისა და ჯიშის წარმომადგენელი.** მაგათ სინანულის გრძნობა არ გააჩნიათ, ეტყობა, ამათი მოდგმა საერთოდ ასეთები არიან, სხვისი ჭირის გაგება მათ არ იციან, ეს გრძნობა არ გააჩნიათ!

„იმედინიუსი“

**მეგი გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი*



კორუმპირებულ **მოლაშვილს** ჩამპალი ჰქონდა ნარკოტიკისგან და ლოთობისგან ღვიძლი, ციხიდან გამოსვლიდან 7 წლის შემდეგ მოკვდა ღვიძლის დაშლით, თქვე გარეწრებო, 7 წლის შემდეგ და **თუ ციხეში ვინმემ აწამა, მიშა რა შუაშია ნაძირალებო, როცა ბოკერიას ადებდა თავად ხელს,** რაც არც მაშინ დამიჯერებია და არც ახლა მჯერა!

„იმედინიუსი“

**თორნიკე მოლაშვილი**
*სულხან მოლაშვილის ძმა*



ყველას მაგივრად **სააკაშვილს** მე ვერ ვაპატიებ, სანამ მამაჩემს ვხედავ, ყოველ ღამით სულხანს სანთელს რომ უნთებს და ტირის. **ნაცმოძრაობიდან მამაჩემთან კაციშვილი არ მისულა და ერთი სიტყვა „ვიზიარებ“ არ უთქვამს.**

„კვირის პალიტრა“

**ია მეტრეველი**
*ბუტა რობაქიძის დედა*



კარგად ვხედავთ, რა ხდება ევროპა-ამერიკაში — **ცდილობენ, გამოიხსნან სააკაშვილი და წაიყვანონ,** მათ სხვა აზრები აწუხებთ — **ჩვენი ჩართვა უნდათ ომში რუსეთის დასასუსტებლად და ესაა ყველაზე დიდი უბედურება.** კიდევ კარგი, ასეთი ხელისუფლება და ამისთანა პატრიოტი პრემიერი გვყავს — არ აკეთებს იმას, რაც მათ სურთ.

„კვირის პალიტრა“

# გენერალისიმუსი

№3-4 (171-172) ★ 2023 წლის 9 იანვარი ★ გამოდის 2003 წლიდან


## პუტინი საკუთარი კაბინეტიდან ონლაინ რეჟიმში ადევნებდა თვალს ატომური წყალქვეშა ნავების – „იმპერატორ ალექსანდრე მესამისა“ და „გენერალისიმუს ალექსანდრე სუვოროვის“ პრეზენტაციას



*ზელენსკის რეჟიმის მიერ ოდესაში იმპერატრიცა ეკატერინე მეორის ძეგლის დამხობის ფონზე 2022 წლის 29 დეკემბერს რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტს ორი ატომური წყალქვეშა ნავი შეემატა — „იმპერატორი ალექსანდრე მესამე“ და „გენერალისიმუსი ალექსანდრე სუვოროვი“.*



ეკატერინე მეორის დამხობილი ძეგლი ოდესაში

# პუტინმა „გენერალისიმუსი ალექსანდრე სუვოროვი“ წყალში ჩაუშვა, ხოლო გენერალისიმუსი იოსებ სტალინი წყალს გაატანა!

ორივე სუბმარინი მეოთხე თაობისაა, სიგრძით — 170 მეტრი და აღჭურვილია ექვსიდან ათ ერთეულამდე ბირთვული ბლოკითა და საკონტინენტთაშორისო სტრატეგიული რაკეტებით, რომელთა მოქმედების მანძილი 8 ათას კილომეტრს აღემატება.

თითოეულ წყალქვეშა ნავზე დამონტაჟებულია ორმოცი ერთეული ტორპედო. როგორც **„იმპერატორ ალექსანდრე მესამის“**, ისე **„გენერალისიმუს ალექსანდრე სუვოროვის“** ეკიპაჟის რაოდენობა განსაზღვრულია 107 კაცით და ავტონომიურ რეჟიმში ცურვა 90 დღე-ღამის განმავლობაში შეუძლიათ...

ასეთია მშრალი მონაცემები, თუმცა, ალბათ, საისტორიო ბედისწერას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ 2022 წლის დამლევს რუსეთის პრეზიდენტმა, რომელიც უკრაინაში დანარჩენ მსოფლიოს ეომება, **„გენერალისიმუსი ალექსანდრე სუვოროვი“** წყალში ჩაუშვა, ხოლო **გენერალისიმუსი იოსებ სტალინი** წყალს გაატანა! თუმცა,

## იმ მსოფლიოში, სადაც ოდესის დამაარსებელ იმპერატრიცა ეკატერინე მეორის ქანდაკებას ოდესაშივე აფეთქებენ, ხოლო მე-11 საუკუნის ილორის წმინდა გიორგის სახელობის ქართულ ეკლესიას



ატომური წყალქვეშა ნავი „გენერალისიმუსი ალექსანდრე სუვოროვი“



ატომური წყალქვეშა ნავი „იმპერატორი ალექსანდრე მესამე“

## სამარცხვინოდ ამახინჯებენ და ხახვისთავა რუსულ გუმბათს ადგამენ, გასაკვირი არაფერია!

რუსეთის იმპერიის გენერალ-ფელდმარშალმა **ალექსანდრე სუვოროვმა,** რომელსაც დედა სომეხი ჰყავდა და ერთდროულად სარდინიის სამეფოს პრინცი და რომის საღმრთო იმპერიის გრაფი იყო, გენერალისიმუსის წოდება 1799 წლის 28 ოქტომბერს მიიღო. **ეს სწორუპოვარი ჯილდო გახლდათ რიმნიკთან და იზმაილის ციხე-სიმაგრესთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებებისა და 1799 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ალპების გავლით იტალიიდან შვეიცარიაში გადასვლის იშვიათი გმირობის საზღაური.** სუვოროვის მიერ ალპების გადალახვა და ჩრდილოეთ იტალიიდან შვეიცარიაში გადასვლა მეორე კოალიციის მიერ ნაპოლეონის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების ყველაზე უფრო დიადი და ამაღელვებელი ნაწილია.

## სომეხმა ერმა ჭეშმარიტად უნდა იამაყოს იმით, რომ სომხის ქალმა

## ისტორია არ იძირება! ★

## ევდოკია მანუკიანმა შვა ისეთი გენიოსი, როგორიც იყო გენერალისიმუსი ალექსანდრე ვასილის ძე სუვოროვი,

რომელმაც თითქმის ზუსტად გაიმეორა ლეგენდარული ჰანიბალის მარშრუტი — გადალახა ალპები, მდინარე ტრებეასთან დაამარცხა ფრანგები, რუსეთს მოუტანა არნახული დიდება და წარმატება, მაგრამ, როგორც ჰანიბალმა — კართაგენის არისტოკრატიის, ისე სუვოროვმა იმპერატორ პავლე პირველის გული ვერაფრით მოიგო. **ეს ის პავლეა, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოებრიობას წირვა გამოუყვანა, მაგრამ მერე, ისტორიის ბედისწერით, თავადაც საშინელი სიკვდილით აღესრულა, თანაც ქართველი გენერლის ვლადიმერ იაშვილის ხელით.**

**პავლე პირველი** გრძნობდა, რომ მის წინააღმდეგ რაღაც უბედურება მზადდებოდა და დაცვა გააძლიერა, მაგრამ ბედისწერას ვერავინ გაექცევა მითუფრო მაშინ, როცა მამის წინააღმდეგ მახვილით ხელში შვილი აღდგება. **დღეს უკვე დოკუმენტურადაც დადასტურებულია და ოფიციალური რუსული ისტორიოგრაფიაც არ მალავს იმ ფაქტს, რომ მამის მკვლელობაში სხვა შეთქმულებთან ერთად პავლე პირველის შვილი, რუსეთის მომავალი იმპერატორი ალექსანდრე პირველიც მონაწილეობდა,** ანუ იმპერატორის მკვლელები შვილის თანხმობითა და დასტურით მოქმედებდნენ.

1801 წლის 24 მარტის ღამეს მიხეილის სასახლეში შეჭრილ შეთქმულთა შორის **გენერალი ვლადიმერ იაშვილიც** იყო, რომელმაც მკვლელობა იშვიათი ოსტატობით აღასრულა და **პავლე პირველი** გენერლის ლენტით კატასავით მოახრჩო. **გადმოცემის თანახმად, იაშვილმა პავლეზე შური იძია არა საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების, არამედ იმ საშინელი შეურაცხყოფის გამო, როცა წარმოშობით ქართველი გვარდიელი და ოფიცერი რუსთხელმწიფემ სანკტ-პეტერბურგის გარნიზონის თვალწინ ჯოხით სცემა.**

ბედის ირონიით, 2014 წელს **ვლადიმერ პუტინმა** იმპერატორ **ალექსანდრე პირველს,** ანუ მამის მკვლელს მოსკოვში, კრემლის კედელთან მდებარე ალექსანდრეს ბაღში უზარმაზარი ძეგლი დაუდგა.

**საუკუნე-ნახევარი ისე გავიდა, რუსი იმპერატორის მიერ სრულიად უმიზეზოდ მოძულებული და მოკვეთილი სუვოროვი დიდი სტალინის გარდა არცერთ რუსთხელმწიფეს არ გახსენებია.** სწორედ ქართველი სტალინი გახლდათ ის გენერალისიმუსი, რომელმაც გენერალისიმუს სუვოროვის გენია ყველაზე უკეთ დაინახა და 1942 წელს, გაგანია ომის დროს, მისი სახელობის პირველი, მეორე და მესამე ხარისხის ორდენები დააწესა. ალბათ, ისტორიის წინაშე არ შევცოდავთ, თუ იმასაც ვიტყვით, რომ **გენერალისიმუსის** წოდებას მსოფლიოს მასშტაბით, ყველა დროსა და ეპოქაში სწორედ სტალინი იმსახურებდა, რომელსაც ეს უმაღლესი ჯილდო 1945 წლის 27 ივნისს ერგო. არადა, 1569 წლიდან მოყოლებული, როცა საფრანგეთის მეფე **შარლ მეცხრემ** თავის ძმას **ანრი მესამეს** გენერალისიმუსობა პირველად უბოძა, ათასი ჯურის მასხარა, გარეწარი და გენიოსი დაეპატრონა ამ ტიტულს. ასე, მაგალითად, გენარალისიმუსები იყვნენ: **კიმ ირ სენი** და **კიმ ჩენ ირი, ჩან კაიში** და **სუნ იატსენი,** გენერალი **ფრანკო** და გრაფი **ველინგტონი, ომერ-ფაშა** და იმპერატორი **ხიროხიტო, თადეუშ კოსტიუშკო** და **ჰექტორ ტრუხილიო, ჩეზარე ბორჯია** და **რიშელიე, ფერდინანდ ფოში** და **სულთანი მეჰმედ მეხუთე,** რომლის დროსაც ოსმალეთის იმპერია სულს ღაფავდა.

ეს სია ძალიან გრძელია და **„გენერალისიმუსად“** წოდებულთა უმრავლესობის გვარ-სახელი არაფერს გვეუბნება...

**რომ არა სუვოროვი, რუსეთი ყი-**

*გაგრძელება მე-2 გვერდზე*

# პუტინმა „გენერალისიმუსი ალექსანდრე სუვოროვი“ წყალში ჩაუშვა, ხოლო გენერალისიმუსი იოსებ სტალინი წყალს გაატანა!

## ქვეყანა, რომელიც გენერალისიმუს სტალინის სახელს მიჩქმალავს, თავის არსებობას იმპერატორ ალექსანდრე მესამისა და მისი უდღეური მემკვიდრეების მსგავსად დაასრულებს!



*დასაწყისი პირველ გვერდზე*

**რომს ვერ დაიპყრობდა! მის გარეშე 1768-1774 წლებში ისევე, როგორც 1789-1791 წლებში თურქები ვერ განადგურდებოდნენ და რუსეთის იმპერია ბალკანეთში ვერ მოიპოვებდა იმ სტრატეგიულ უპირატესობას, რომელმაც უზარმაზარი დერჟავის ბედი საუკუნეების განმავლობაში განსაზღვრა.** სუვოროვი ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა აჯანყებულ **ემელიანე პუგაჩოვს,** მაგრამ 1794 წელს გასაოცარი შემწყნარებლობა გამოიჩინა პოლონელი აჯანყებულების მიმართ, როცა დატყვევებულები გაათავისუფლა და არავითარი სადამსჯელო ღონისძიებები მათ წინააღმდეგ არ გაუტარებია.

კაცმა 35 დიდი ბრძოლა მოიგო, მარცხი არსად განუცდია და რუსეთის სულელმა, მაგრამ ამავდროულად ბოროტმა იმპერატორმა **პავლე პირველმა** ასეთი დონის მხედართმთავარი და სტრატეგოსი არმიიდან დაითხოვა. **რომ არა ინგლისელები და ავსტრიელები, ალექსანდრე სუვოროვი გენერალისიმუსის წოდების გარეშე დარჩებოდა! საქმე ის გახლავთ, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ მეორე კოალიციის შეკვრის წინ სუვოროვი არმიიდან უკვე გაგდებული იყო და თავის მამულში ისვენებდა, როცა პავლე პირველთან ინგლისისა და ავსტრიის წარმომადგენლები მივიდნენ და სთხოვეს — თუ გვინდა, წარმატებას მივაღწიოთ, კოალიციის მთავარსარდალი გენერალ-ფელდმარშალი ალექსანდრე სუვოროვი უნდა იყოს!** რუსთხელმწიფე იძულებული გახდა, მოკავშირეების თხოვნას დაჰყოლოდა და სუვოროვი მოქმედ არმიაში აღედგინა. სწორედ ამ აღდგენას მოჰყვა რუსეთის არმიის ბრწყინვალე იტალიური კამპანია, სადაც გენერალმა **პეტრე ბაგრატიონმა** სახელი და დიდება მოიხვეჭა... **მერე ეს ყველაფერი გადაიზარდა ლეგენდარულ ალპურ ლაშქრობაში, სადაც სენ-გოტარდის უღელტეხილთან და ეშმაკის ხიდთან რუსებმა სწორედ სუვოროვის მეთაურობით ჩაიდინეს სასწაულები.**

აი, ამ სახელისა და დიდების პატრონი კაცი რუსთხელმწიფეებმა გაწირეს და **რომ არა ქართველი სტალინი, შესაძლოა, სუვოროვის სახელი დღეს ისევე მტვერწაყრილი და მივიწყებული ყოფილიყო, როგორც არაერთი გმირის ქება-დიდება, რომელთა საფლავებზეც საშინელმა ისტორიულმა უიღბლობამ და უსამართლობამ ჩამოისვენა.**

მთელი ამ ამბის ტრაგიზმი კი ის გახლავთ, რომ როგორც ისტორიის გარკვეულ ეტაპზე სუვოროვი, სტალინიც ისე გაიწირა... მისი სახელიც დაივიწყეს, ხოლო საფლავი ნაგვით აავსეს, მაგრამ

**ისტორიის ქარბორია, როგორც ეს თავად ბელადმა იწინასწარმეტყველა, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს იმას, რომ პუტინმა ატომური წყალქვეშა ნავი „გენერალისიმუსი ალექსანდრე სუვოროვი“ წყალში ჩაუშვას, ხოლო გენერალისიმუსი სტალინის სახელი წყალს გაატანოს და ყოველი წლის 9 მაისს წითელ მოედანზე გამარჯვების პარადი ისე ჩაატაროს, მეორე მსოფლიო ომის ნამდვილი ტრიუმფატორი ერთხელაც არ ახსენოს!**

კრემლი ის ადგილია, რომლის კედლებთანაც მამის მკვლელ **იმპერატორ ალექსანდრე პირველს** ძეგლს უდგამენ, ხოლო გერმანული ხალიჩების, იშვიათი ნახატებისა და ბრილიანტების ქურდ **გიორგი ჟუკოვს** ცხენზე ამხედრებულს გამოსახავენ და „მარშალ პობედის“ უწოდებენ! პუტინმა წყეული **ანდრანიკ მიგრანიანისა** და **სერგეი ლავროვ-კალანტაროვის** მიერ გაუკუღმართებული „ისტორია“ სწორედ კრემლიდან წაგვიკითხა — **სამხრეთ ოსეთი რუსეთს 1775 წელს შეუერთდაო!**

რაც შეეხება ატომურ წყალქვეშა ნავ **„იმპერატორ ალექსანდრე მესამეს“,** თუ ეს ნავი ისეთივე უსახელო გამოდგა, როგორც რუსთხელმწიფე **ალექსანდრე მესამე,** მაშინ რუსეთის ომის მანქანას ბევრი ასეთი წყალქვეშა ნავის დამზადება მოუწევს!



**იმპერატორ ალექსანდრე მესამის დროს რუსეთი რეაქციის, ტერორისა და საშინელი იზოლაციონიზმის გზას დაადგა, რომელმაც უმაღლესი ხელისუფლებისაკენ გზა გაუხსნა ლენინს, ტროცკისა და ათასი ჯურის სექტანტური აზროვნების ნაძირალას!** იმპერატორ **ალექსანდრე მესამეს** თავისი დიდი და რეფორმატორი მამისგან განსხვავებით, რომელიც ნაროდნიკმა ტერორისტმა **ეგნატე გრინევიცკიმ** 1881 წლის 13 მარტს ააფეთქა, ქვეყნის გარეთ არავითარი ომი არ უწარმოებია. სამაგიეროდ, მან მიზნად დაისახა ომი საკუთარ ხალხთან და ასე დაიწყო რუსეთის იმპერიაში დიდი მღელვარება და დაპირისპირება, რაც „რეაქციის“ სახელით არის ცნობილი. ცნობისათვის, სწორედ იმპერატორ **ალექსანდრე მესამის** უკუღმართი და უღმერთო პოლიტიკის შედეგი იყო 1887 წლის 24 ოქტომბერს სტავროპოლში **დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა,** რომელსაც ღამით თავში სასწორის ქვა ჩაარტყეს და სული გააცხებინეს!

ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ, 1888 წელს, იმპერატორი **ალექსანდრე მესამე** ქუთაისში პირდაპირ სადგურის წინ მდებარე საკათედრო ტაძარს ესტუმრა, სადაც იმერეთის ეპისკოპოსი **გაბრიელ ქიქოძე** წირვას აღავლენდა. **იმპერატორმა, რომელსაც ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა — ქალამნად, ამბიონზე მოინდომა ასვლა, მაგრამ ამ დროს მას წინ გადაუდგა დიდი ქართველი ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელმაც ალექსანდრეს ამბიონზე ასვლის საშუალება არ მისცა და სახალხოდ მიმართა —**

> *„შესდექ რუსთხელმწიფევ!.. ჩვენი ქვეყანა — საქართველო, უძვირფასესი მარგალიტია თქვენს გვირგვინში და თქვენგან სხვა გაფრთხილებასა და მოპყრობას ითხოვს და არა ისეთს, როგორც თქვენ ეპყრობით მას!“*

შეცბუნებულმა და დარცხვენილმა იმპერატორმა **ალექსანდრე მესამემ,** რომელიც პუტინმა ამ ათიოდე დღის წინათ ატომური ქობინებით აღჭურვა და წყალში ჩაუშვა, პირი იბრუნა და გაბრიელ ეპისკოპოსს დამორჩილდა.

**ალექსანდრე მესამის** პოლიტიკამ **რუსეთს ძირი გამოუთხარა და ქვეყანა იმდენად დააზიანა, რომ მისი მემკვიდრეები არამარტო დაამხეს და ხელისუფლებას ჩამოაშორეს, არამედ 1918 წლის ივლისში ლენინისა და სვერდლოვის ბრძანებით, დედაბუდიანად ამოჟლიტეს!**

რა უთხრა და რაზე მიანიშნა პუტინმა მსოფლიოს **„გენერალისიმუს ალექსანდრე სუვოროვისა“** და **„იმპერატორ ალექსანდრე მესამის“** წყალში ჩაშვებით, ძნელი სათქმელია, თუმცა, ერთი რამ ცხადია — **ქვეყანა, რომელიც ფაშიზმის მესაფლავის — გენერალისიმუს სტალინის სახელს მიჩქმალავს, ხოლო მაროდიორ გიორგი ჟუკოვს განადიდებს, გენერალისიმუსების გმირულ და სახელოვან ისტორიას ვერ გააგრძელებს და თავის არსებობას იმპერატორ ალექსანდრე მესამისა და მისი უდღეური მემკვიდრეების მსგავსად დაასრულებს!**

**კრემლი ის ადგილია, რომლის კედლებთანაც მამის მკვლელ იმპერატორ ალექსანდრე პირველს ძეგლს უდგამენ, ხოლო გერმანული ხალიჩების, იშვიათი ნახატებისა და ბრილიანტების ქურდ გიორგი ჟუკოვს ცხენზე ამხედრებულს გამოსახავენ!**



**ისტორია არ იძირება! ★**

*დიტო ჩუბინიძე*

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“ 2022 წლის №43-44, 2023 წლის №1-2*

# რაც არასოდეს მითქვამს... ★

## ჯუმბერ პატიაშვილი:

# 1989 წლის 3 აპრილს, ღამის თორმეტის ნახევარზე, მე, ნიკო ჭავჭავაძე, ზურაბ ჭავჭავაძე, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ერთმანეთს ჩემს კაბინეტში შევხვდით!

***საბჭოთა საქართველოს ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი 9 აპრილის ტრაგედიის დღემდე უცნობ დეტალებს იხსენებს და იმ მიზეზებს ასახელებს, რომელმაც ქვეყანა ენით აუწერელ ვნებათაღელვამდე მიიყვანა:***



— ვიდრე 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის ფართო საზოგადოებისთვის უცნობი დეტალების შესახებ საუბარს გავაგრძლებდეთ, მინდა, გაგაცნოთ სტალინის ერთი წინასწარმეტყველება, რომელიც დღეს თვალსა და ხელშუა ცხადდება! აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ 9 აპრილის ტრაგედიის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ცნობილ ჟურნალისტსა და ფოტოგრაფს **იური როსტს,** რომელიც საქართველოში არაერთ ცნობილ და გავლენიან პიროვნებასთან მეგობრობდა **და თბილისში სწორედ მაშინ აღმოჩნდა, როცა პოლიტიკური პროცესები აშკარად სისხლისღვრისა და უბედურებისკენ მიექანებოდა.** ახლა კი მივუბრუნდეთ სტალინის წინასწარმეტყველებას! 1939 წლის ნოემბერში მოსკოვში ჩამოვიდა და კრემლში სტალინს შეხვდა საბჭოთა კავშირის ელჩი შვედეთში **ალექსანდრა კოლონტაი.** არსებობს მისი მოგონებები, სადაც დეტალურად აქვს აღწერილი სტალინთან გამართული საუბრები ფინეთთან მოსალოდნელ ომზე, **ჰიტლერთან** უცილობელ დაპირისპირებასა და ა.შ. კოლონტაი ზედმიწევნით ზუსტად იხსენებს სტალინის სიტყვებს, რომელიც ბელადმა მასთან საუბრის დროს წარმოთქვა. აი, ეს სიტყვებიც:

*„ჩვენი პარტიისა და ხალხის ბევრ საქმეს დაამახინჯებენ და შეგვაფურთხებენ, პირველ რიგში, საზღვარგარეთ და მერე ჩვენს ქვეყანაშიც. მსოფლიო ბატონობისკენ მიმავალი სიონიზმი სასტიკად შურს იძიებს ჩვენზე ჩვენი წარმატებებისა და მიღწევებისთვის. სიონიზმი რუსეთს კვლავ ბარბაროსულ ქვეყნად განიხილავს, რომელსაც მსოფლიოსთვის მხოლოდ ნედლეულის მიწოდება შეუძლია. **ჩემს სახელსაც ცილს დასწამებენ და ჩემზე ბევრ ბოროტებას დაწერენ. მსოფლიო სიონიზმი მთელი ძალით შეეცდება, გაანადგუროს ჩვენი კავშირი, რათა რუსეთი აღარასოდეს აღდგეს!** საბჭოთა კავშირის სიძლიერე ხალხთა მეგობრობაშია. ბრძოლის ზღვარი, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იქნება ამ მეგობრობის გაწყვეტისკენ, საზღვრისპირა რეგიონების მოსპობისკენ. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მიმართულებით ჯერ ყველაფერი არ გაგვიკეთებია. აქ ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო... **მთელი ძალით წამოწევს თავს ნაციონალიზმი, რომელიც რაღაც დროით ჩაანაცვლებს ინტერნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს.** ერებს შორის გაჩნდებიან ნაციონალისტების ჯგუფები და პიგმეების ბევრი ბელადი. ერის მოღალატეები თავს წამოყოფენ! საერთო ჯამში, მომავალი კიდევ უფრო ძნელი და ცოფიანი გზებით მავალი წარმომიდგენია თავისი სახიფათო მოსახვევებით. საქმე ეხება იმას, რომ განსაკუთრებით აღმოსავლეთი აფორიაქდება! **და მაინც, როგორც გინდა, განვითარდეს მოვლენები, დრო გავა და ახალი თაობების მზერა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საქმეებსა და გამარჯვებებზე იქნება მიპყრობილი.** ყოველწლიურად ახალი თაობები მოვლენ და ისინი კიდევ ერთხელ აღმართავენ თავიანთი მამებისა და პაპების დროშას და სრულფასოვნად გადაგვიხდიან პატივისცემას. ისინი თავიანთ მომავალს ჩვენს წარსულზე ააშენებენ!“*

ვფიქრობ, სტალინის ეს წინასწარმეტყველება იშვიათი სიზუსტით ახდა, ხოლო, რაც არ ახდენილა, პროცესები ისე მიდის, ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად ახდება!

**— ბატონო ჯუმბერ, რაც შეეხება იური როსტს, იგი 9 აპრილის ტრაგედიაში რა ფუნქციას ასრულებდა?**

— 9 აპრილის ტრაგედიაში **იური როსტის** ფუნქცია, ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო... ფართო მასებისთვის დღემდე ცნობილია, თითქოს **იური როსტი,** რომელიც 9 აპრილის დღეებში თბილისში იმყოფებოდა, ქართველი ერის დიდი მეგობარი იყო, რომელმაც თბილისში დატრიალებული საშინელების შესახებ სიმართლე დაწერა და იმ უბედურების ამსახველი ფოტოსურათები პირველმა გაავრცელა! სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად იყო, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩემს პოზიციას იმის შესახებ, რომ **9 აპრილი მე მომიწყვეს!**

არსებობს „ლიტერატურნაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორის მოადგილის **იზიუმოვის** ჩანაწერები იმის შესახებ, რომ 1991 წლის 2 აპრილს მასთან გამოცხადდა რედაქციის თანამშრომელი, ცნობილი და ნიჭიერი ჟურნალისტი იური როსტი და სთხოვა — სასწრაფოდ გამიშვით მივლინებით თბილისში!.. ჩემი ქართველი მეგობრები უკვე მოელაპარაკნენ საქართველოს ცეკას პირველ მდივან **ჯუმბერ პატიაშვილს** და ის თანახმაა, **„ლიტერატურნაია გაზეტას“** ინტერვიუ მისცეს! ახლავე უნდა გავფრინდე, თორემ მერე პატიაშვილს ვეღარ ვნახავო!

იზიუმოვი ამ წინადადებამ აღაფრთოვანა, რადგან, როგორც თავად წერს, რესპუბლიკის პირველი პირის ინტერვიუ ნებისმიერი გაზეთისთვის ძვირფასი საჩუქარი იყო. **იური როსტს** მაშინვე გაუფორმეს მივლინება და თბილისში გამოუშვეს. ცნობისათვის: როგორც იზიუმოვი აღნიშნავს, **იური როსტს,** როგორც გამორჩეულად ნიჭიერ ჟურნალისტს, თემების შერჩევაში სრული თავისუფლება ჰქონდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, ჩემი ინფორმაციით, **როსტი** ეკუთვნოდა ლგბტ თემს, ასეთ ხალხს კი სპეცსამსახური ყოველ დროსა და ეპოქაში სათავისოდ იყენებდა და იყენებს, რადგან ეს ხალხი, როგორც წესი, ადვილად სამართავია. იური როსტი თბილისში სპეცმისიით მოავლინეს! კერძოდ, შევარდნაძესა და იმ გუნდს, რომლებმაც თბილისში სისხლისღვრა და უბედურება დაგეგმეს, სჭირდებოდათ საერთაშორისო მნიშვნელობის ფიგურა, ჟურნალისტი, რომელიც ყველაფერს ფირზე აღბეჭდავდა, მომხდარის შესახებ დაწერდა და მერე საერთაშორისო ასპარეზზე დიდი ამბები ატყდებოდა. სწორედ ამისთვის გამოგზავნეს **იური როსტი** თბილისში წინასწარ, რომელმაც დაკისრებული მისია ბრწყინვალედ შეასრულა!

**— ბატონო ჯუმბერ, იური როსტთან ინტერვიუ მართლა გქონდათ დანიშნული?**

— არავითარი ინტერვიუ **იური როსტს** ჩემთან შეთანხმებული არ ჰქონია, ეს სიცრუეა!

**— ე.ი. იური როსტმა 2 აპრილს „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქცია მოატყუა და თბილისში გამოგონილი მიზეზით წამოვიდა — პატიაშვილთან ინტერვიუ სასწრაფოდ თუ არ ჩავწერე, მერე ვეღარ ვნახავო?**

— დიახ, ეს იყო ტყუილი, არავითარი ინტერვიუ **იური როსტთან** შეთანხმებული არ მქონია! ხაზგასმით ვაცხადებ: **იური როსტი იყო ერთადერთი ჟურნალისტი, რომელმაც ტრაგედიის ღამეს სურათები გადაიღო, ქართველი ჟურნალისტები იქ არ ყოფილან!** იგორ როდიონოვმა წლების შემდეგ დაწერა, რომ საქართველოს უშიშროების მაშინდელი მინისტრი **გივი გუმბარიძე** შევარდნაძის გარეშე ნაბიჯს არ დგამდა. როდიონოვი იქვე იხსენებს **ევგენი პრიმაკოვისა** და **გივი გუმბარიძის** შეხვედრას, სადაც პრიმაკოვმა გუმბარიძეს უთხრა — **შევარდნაძე ნაძირალაა და საქართველოს დაღუპავს!** გუმბარიძე ადგა და ეს ყველაფერი ედუარდ შევარდნაძეს უთხრა... უფრო მეტიც, **იგორ როდიონოვი** ამტკიცებს, რომ ის, რაც 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მოხდა, შევარდნაძისა და ამერიკული „ცერეუს“ მიერ იყო ორგანიზებული! როდიონოვი იმასაც წერს, რომ 9 აპრილს მძიმე საგნების, უფრო სწორად კი რკინის ხელკეტების დარტყმის შედეგად 189 ჯარისკაცმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება და ტვინის შერყევა.

**— ეს სიმართლეა?**

— სიმართლეა ის, რომ ჩვენი მხრიდან რაგბისტებს, მოჭიდავეებს, სამბისტებსა და სხვა ძალისმიერ სპორტსმენებს მართლაც დაურიგეს რკინის ხელკეტები... **დათო ტურაშვილს** ამის შესახებ ნაწილობრივ ნათქვამი აქვს კიდეც, ხოლო აწ განსვენებულმა აკადემიკოსმა, ცნობილმა პათანატომმა **თამარ დეკანოსიძემ** დაღუპულთა გვამები რომ შეისწავლა, იმის შემდეგ რა დასკვნაც დაწერა, იმას უცხოელებმა, კერძოდ, „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლებმა ხელი არ მოაწერეს. **თამარ დეკანოსიძეს მოსკოვში დაუძახეს და პროკურატურაში განუცხადეს — ამ დასკვნის გამო, რაზეც ხელი მოაწერე, პასუხისგებაში მიგცემთო! დეკანოსიძე შეშინდა და მოსკოვში განაცხადა — სხვანაირად არ შემეძლო, მაშინებდნენო!** ჩემთან რომ მოვიდა, სხვანაირად დაიწყო ლაპარაკი — მოსკოვში შემაშინესო! ჩემთან მოსკოვიდან პროკურორი ჩამოვიდა, ქართველებსა და საქართველოზე შეყვარებული, და **თამარ დეკანოსიძის** შესახებ მითხრა — ეს ქალი ვინ არის, ამის ნდობა როგორ შეიძლება, ქართველები თავს რატომ იღუპავთო?! სხვათაშორის, ვი-


იგორ როდიონოვი



**„როდიონოვი ამტკიცებს, რომ ის, რაც 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მოხდა, შევარდნაძისა და ამერიკული „ცერეუს“ მიერ იყო ორგანიზებული!“**

**„შევარდნაძესა და იმ გუნდს, რომლებმაც თბილისში სისხლისღვრა და უბედურება დაგეგმეს, სჭირდებოდათ საერთაშორისო მნიშვნელობის ფიგურა, ჟურნალისტი, რომელიც ყველაფერს ფირზე აღბეჭდავდა, მომხდარის შესახებ დაწერდა და მერე საერთაშორისო ასპარეზზე დიდი ამბები ატყდებოდა.**

**სწორედ ამისთვის გამოგზავნეს იური როსტი თბილისში წინასწარ, რომელმაც დაკისრებული მისია ბრწყინვალედ შეასრულა“!**


იური როსტი

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

დასაწყისი მე-3 გვერდზე

# ჯუმბერ პატიაშვილი:

# შევარდნაძე ყოველთვის ზურგს უკან მოქმედებდა, ხოლო მე ყველას – ჟიულის, მამუკას და ვინც გინდა ყოფილიყო, სიმართლეს პირში ვეუბნებოდი!

დეოკადრები არსებობს, 1989 წლის 9 აპრილის ღამეს **ირაკლი წერეთელი** როგორ გარბის და როგორ ეხმარება მას გაქცევაში პოლიციელი... დაპატიმრებული ლიდერები ციხეში ერთმანეთზე რას ლაპარაკობდნენ, ამის შესახებ მაშინვე მქონდა ინფორმაცია, ცხონებულმა **შოთა გორგოძემ** ყველაფერი იცოდა და მომახსენებდა ხოლმე, მაგრამ სიმართლე ვინმეს აინტერესებს საქართველოში? არავის! ცნობისათვის, ირაკლი წერეთლის მამა **სიდამონ წერეთელი** კაბინეტში საგანგებოდ მეწვია მხოლოდ ამის სათქმელად — **ბატონო ჯუმბერ, ჩემი შვილი გიჟია და რასაც ამბობს, არ დაუჯეროთო!**

**— ბატონო ჯუმბერ, 9 აპრილის ტრაგედიამდე რატომ მიხვედით, რატომ ვერ მოხერხდა იმ პროცესების დროზე ჩაცხრობა?**

— საერთოდ, შენს საკუთარ ხალხს ტანკებითა და ტყვიებით რომ გადაქელავ, ადამიანი არ ხარ! აქედან გამომდინარე, ყველაზე საშინელ კოშმარში ვერ წარმოვიდგენდი იმას, რაც მაშინ მოხდა... ვისაც ახსოვს, აპრილის აქციების დროს კინოთეატრ „რუსთაველთან“ სახანძროს მხოლოდ ორი ეკიპაჟი იდგა... მდგომარეობა რომ დაიძაბა, ბევრი მეუბნებოდა — მომიტინგეებს წყალი მივუშვათ და დავშალოთო! კატეგორიული წინააღმდეგი წავედი...

ახლა გავიხსენებ ძალიან საინტერესო რამეს! 1989 წლის 16 მარტს მოსკოვში ვიყავი **გორბაჩოვთან**. სხვათაშორის, ამ ხუთი წლის წინათ გორბაჩოვმა გამომიგზავნა თავისი წიგნი, რომელიც ერთადერთი ეგზემპლარია საქართველოში. წიგნში გორბაჩოვს უწერია — შევარდნაძემ ასე მითხრა: **„ნეკატორიე სეკრეტარი ვისტუპაიუტ კაკ დისიდენტი ი ნაციონალისტი!“** ცხადია, მე ვყავდი მხედველობაში... საერთოდ, შევარდნაძე ყოველთვის ზურგს უკან მოქმედებდა, ხოლო მე ყველას — **ჟიულის, მამუკას** და ვინც გინდა, ყოფილიყო, სიმართლეს პირში ვეუბნებოდი! მოკლედ, 1989 წლის 16 მარტს გორბაჩოვთან ვარ შეხვედრაზე და ვეუბნები — ორი საკითხი მაქვს: საქართველოში, ბაკურიანში, უნდა ჩატარდეს ზამთრის ოლიმპიადა და მეორე — აფხაზეთში სეპარატისტები ურევენ-მეთქი! გორბაჩოვი მეუბნება — **ჯუმბერ, ია დაიუ სლოვა, ჩტო მი ბუდემ პოდდერჟივატ გრუზიუ!** აფხაზეთშიც ყველაფერი მოგვარდება, ნურაფერზე დარდობო! მართლაც, მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე **ხუან ანტონიო სამარანჩი,** რომელიც მოსკოვში ჩვენი წარმომადგენლობის გვერდით ცხოვრობდა და ქართველებთან ბრწყინვალე ურთიერთობა ჰქონდა, შეპირებული იყო — თუ საბჭოთა კავშირიდან ზამთრის ოლიმპიადის ჩასატარებელ ადგილად საქართველოს დაასახელებენ, ჩვენ აუცილებლად საქართველოს დავუჭერთ მხარსო! საბჭოთა კავშირიდან ზამთრის ოლიმპიადის ჩასატარებლად ოთხი ქალაქი ეჭიშპებოდა ერთმანეთს — ლენინგრადი, სოჭი, ბაკურიანი და მედეო, რომელიც ყაზახეთშია. მოკლედ, გორბაჩოვთან შეხვედრიდან გახარებული გამოვედი, შევხვდი **ბორის ადლეიბას,** რომელიც სოხუმში მიდიოდა და ვუთხარი — **ბორის, აბა, შენ იცი, მიხედე ყველაფერს, აფხაზეთში დაპირისპირება და მღელვარება ჩაცხრეს-მეთქი!** ადლეიბა დამპირდა — **ყველაფერს გავაკეთებ, არაფერი იქნებაო!** 1989 წლის 18 მარტს აფხაზეთში ჩატარდა ცნობილი **„ლიხნის კრება“** და აფხაზეთის საქართველოდან გასვლაზე პირველმა ხელი სწორედ **ადლეიბამ** მოაწერა!

**— თქვენი რეაქცია ამაზე როგორი იყო?**

— მაშინვე დავბრუნდი თბილისში და დავურეკე **ბორის ადლეიბას,** რომელმაც ყურმილი არ აიღო. მერე სხვა გზებით ვცადეთ ინფორმაციის მოპოვება და მითხრეს, ადლეიბა წევს, ავად არისო! უკვე გასაგები იყო, თუ რასთან და ვისთან გვქონდა საქმე...

**— საერთოდ, ბორის ადლეიბა ქართულად გელაპარაკებოდათ?**

— კი, აბა, რა! ცოლი ქართველი ჰყავდა... **1991 წლის 18 მარტს ადლეიბამ და აფხაზმა სეპარატისტებმა რომ საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფას მხარი დაუჭირეს, თან მოსკოვში კაცი გაგზავნეს იმის გასაგებად, განვითარებული მოვლენების ფონზე საქართველოდან მოსკოვში ვინ ჩავიდოდა, რათა ადლეიბას ადგილი დაეჭირა.** ცხადია, რაკი ადლეიბამ აფხაზეთის გამოყოფას მხარი დაუჭირა, ის თანამდებობიდან ავტომატურად გათავისუფლდა. მის ადგილზე სატყეო მეურნეობის დირექტორის ყოფილი მოადგილის **ხიშბას** კანდიდატურა შევარჩიე. მოკლედ, 1989 წლის 28-29 მარტს თბილისში ჩავატარეთ სესია, მერე ჩავედი სოხუმში და შევხვდი ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს... დიდი სხვაობა იყო მათ შორის — აფხაზი ახალგაზრდები უფრო ნაკითხი და მომზადებული იყვნენ, ვიდრე ქართველები. მოკლედ, სოხუმში ვითარება ჩავაცხრე, ჩამოვედი თბილისში და ამ დროს მოსკოვიდან მირეკავს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **გრამოვი,** რომელიც მეუბნება — 3 აპრილს თქვენთან უნდა ჩამოვიდეო! ცხადია, გრამოვის ჩამოსვლა არ მინდოდა, რადგან ასეთ არეულ სიტუაციაში საქართველოში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარებას არცერთი ჭკუათამყოფელი მხარს არ დაუჭერდა. საიდან არ მოვუარე გრამოვს, რა მიზეზი არ გამოვიგონე, რათა დრო გამეწელა, მაგრამ არაფერმა გაჭრა. გრამოვმა პირდაპირ გამომიცხადა — 3 აპრილს თბილისში ვიქნები, ბევრი შეკითხვა მაქვს, ვიზიტს ვერ გადავდებო! გადავწყვიტეთ, რომ გრამოვს აეროპორტში დახვდებოდა **ოთარ ჩერქეზია,** ხოლო მე შევხვდებოდი **ნიკო ჭავჭავაძეს, ზურაბ ჭავჭავაძეს, ზვიად გამსახურდიასა** და **მერაბ კოსტავას!**

**— ეს შეხვედრა შედგა?**

— 1991 წლის 3 აპრილს, ღამის თორმეტის ნახევარზე, **მე, ნიკო ჭავჭავაძე, ზურაბ ჭავჭავაძე, ზვიად გამსახურდია** და **მერაბ კოსტავა** ერთმანეთს ჩემს კაბინეტში შევხვდით და შევთანხმდით, მაგრამ ეს შეთანხმება მეორე დღესვე დაირღვა!

**— რაზე შეთანხმდით?**

— მე და **მერაბ კოსტავა** მუსიკალურ ათწლედში ერთად ვსწავლობდით... მერაბი ციხიდან მე გამოვიყვანე! ზვიადსა და მერაბს ბავშვობიდან ვიცნობდი... ამ შეხვედრაზე პირდაპირ ვთქვი — 1 მილიარდ 700 მილიონი საბჭოთა მანეთია გამოყოფილი ზამთრის ოლიმპიადის ჩასატარებლად, ამ ოლიმპიადას ნუ ჩავშლით, ეს ფული ქვეყანას მოვახმაროთ, უამრავი რამ აშენდება და დამშვენდება-მეთქი! ბაკურიანსა და თბილისს შორის ახალი გზა უნდა აშენებულიყო, თბილისში ახალი სპორტის სასახლე უნდა აეშენებინათ, რადგან ძველი რომ ნახეს, არ მოეწონათ... მოკლედ, უამრავი პროექტი იყო... **ჯანო ბაგრატიონი, რამაზ გოგლიძე** ამ საქმეში თავიდან ბოლომდე იყვნენ ჩართული. ზვიადმა ეს რომ მოისმინა, წამოდგა და თქვა — ბატონი ჯუმბერი მართალია, მოდით, ეს ჩვენი აქციები გადავიტანოთ და ოლიმპიადა ჩავატაროთო! ასე დავშორდით ერთმანეთს...

დილით ადრე მე და **გრამოვი,** რომელსაც ექსპერტები ჰყავდა ჩამოყვანილი, ორი ვერტმფრენით ბაკურიანში გავფრინდით. შესანიშნავი ამინდი იდგა, მზე ანათებდა, დაფიფქული ფერდობები და მთები გასაოცარი სანახავი იყო. მოსკოველი სტუმრები მოიხიბლნენ, აღფრთოვანდნენ და დადებითი დასკვნა დაწერეს. იქვე ხიჟინაში შევედით სასადილოდ... გრამოვმა მითხრა — **ჯუმბერ ილიჩ, მე აუცილებლად უნდა გავფრინდე სოჭში, იქაც უნდა დავათვალიერო გარემოო!** მე უკვე იმით გათამამებულმა, რომ **გორბაჩოვს** პირობა ჰქონდა მოცემული, გრამოვს ვუთხარი — სოჭში არსებობს „იმერეტინსკაია დოლინა“, ასე რომ, სოჭიც საქართველოა და თუ ოლიმპიადა იქ ჩატარდება, ჩვენ წინააღმდეგი არ ვიქნებით-მეთქი! გრამოვს ამაზე ჩაეცინა, რადგან ეშმაკობას მიმიხვდა. აი, ასეთი სიტუაცია იყო, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა თბილისიდან ზარი გაისმა და მომახსენეს — **მთავრობის სასახლის წინ მიტინგი ისევ განახლდა!**

**— ბატონო ჯუმბერ, ვინ დაიწყო მიტინგი?**

— მიტინგი დაიწყეს **ზვიადმა, მერაბმა** და **ირაკლი წერეთელმა!** ასე რომ, სიტყვა, რომელიც წინა ღამით მომცეს, გატყდა...

**— კონკრეტულად ვინ დაარღვია პირობა და ვინ დაიწყო მიტინგი?**

— ეს ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მაშინ ყველა ერთად იყო!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***





ჟიული შარტავა



მამუკა ასლანიკაშვილი

**რაც არასოდეს მითქვამს...** ★





შოთა გორგოძე

**„დაპატიმრებული ლიდერები ციხეში ერთმანეთზე რას ლაპარაკობდნენ, ამის შესახებ მაშინვე მქონდა ინფორმაცია, ცხონებულმა შოთა გორგოძემ ყველაფერი იცოდა და მომახსენებდა ხოლმე...“**

***პროფესორი სვიმონ მახარაშვილი 1921 წლის ივლისში თბილისში, ნაძალადევის კლუბში, მომხდარი ინციდენტის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს იხსენებს და იმ სამარცხვინო პროცესს აღწერს, რომელსაც სტალინისა და ქართველი ბოლშევიკების ურთიერთობაში ქართული შური კვებავდა:***



# სვიმონ მახარაშვილი:

# ლენინმა სტალინი ორი მიზეზის გამო ვერ გაანადგურა!



ისტორიკოსის თვალით

— ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ის პიროვნებები, რომლებმაც **ისიდორე რამიშვილის, ალექსანდრე დგებუაძის, ალექსანდრე ლომთათიძის, ალექსანდრე ფარნიევის** და **სილიბისტრო ჯიბლაძის** მეთაურობით, 1921 წლის 7 ივლისს ნაძალადევში, გიორგი პლეხანოვის სახელობის რკინიგზელთა კლუბში, სტალინს ობსტრუქცია მოუწყვეს და **„კახაბერ ყორღანაშვილი“** უწოდეს, იდეალურ ურთიერთობაში იყვნენ ე.წ. გურულ ბოლშევიკებთან, რომლებიც, ფაქტობრივად, საქართველოს რევკომის ბირთვსა და კომუნისტურ პარტიას წარმოადგენდნენ! საერთოდ, საქართველოში იმ დროს დიდი ბარდაგი იყო... ასე, მაგალითად, ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი **ევგენი გეგეჭკორი** და ქართველი ბოლშევიკების ლიდერი **საშა გეგეჭკორი** ბიძაშვილები იყვნენ! ევგენიმ საქართველოში რაც დატოვა, ყველაფერი საშა გეგეჭკორს დარჩა... ერთი ოჯახის წევრები იყვნენ მენშევიკი **ვალიკო ჯუღელი** და ბოლშევიკი **სიმონ ჯუღელი. ვალიკო ჯუღელი** საქართველოდან რომ გაიქცა, მის სახლში **სიმონ ჯუღელი** დარჩა... **მალაქია ტოროშელიძე** საქართველოში ერთ-ერთი პირველი ბოლშევიკი გახლდათ, ხოლო მისი ცოლი **მინადორა ორჯონიკიძე,** რომელიც, ამავდროულად, **სერგო ორჯონიკიძის ბიძაშვილი** იყო, საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატის სტატუსს ატარებდა და ხუთიდან ერთ-ერთი მენშევიკი ქალი იყო, რომელიც საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოხვდა.

როცა საქართველოს გასაბჭოება მოხდა, ქართველმა ბოლშევიკებმა მაშინვე დაიწყეს დაკონტაქტება ქართული ხელოვნებისა და მეცნიერების კორიფეებთან. 1921 წლის ზაფხულში სტალინი მოსკოვიდან რომ ჩამოვიდა, 7 ივლისს ის ქართველთა ელიტას კი არა, იმ რევოლუციონერებს შეხვდა, რომლებთანაც სიჭაბუკის საუკეთესო წლები და მგზნებარე რევოლუციური წარსული აკავშირებდა. ეს ჯგუფი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული **ფილიპე მახარაძესთან** და **სერგო ორჯონიკიძესთან,** რომლებმაც საქართველოში „წითელი არმია“ შემოიყვანეს! აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, *1921 წლის 7 ივლისს სტალინს ნაძალადევის კლუბში ობსტრუქცია მენშევიკებმა და ე.წ. „პატრიოტებმა“ კი არა, სინამდვილეში რევკომის მიერ მართულმა პროვოკატორებმა, ანუ ქართველმა ბოლშევიკებმა მოუწყვეს!*

**— ბატონო სვიმონ, მაინც რა იყო ამ გახმაურებული ობსტრუქციის მიზეზი და რატომ ვერ იტანდნენ ქართველი ბოლშევიკები და განსაკუთრებით რევკომის წევრები სტალინს?**

— როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამის მიზეზი იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართული შური! საქმე ის გახლავთ, რომ საკავშირო რუსული მასშტაბით, ქართველ ბოლშევიკებს შორის ყველაზე მაღალ პოსტსა და აღიარებას მიაღწია მხოლოდ **სტალინმა**. ერთადერთი ქართველი ბოლშევიკი, რომელიც 20-იანი წლების დასაწყისში შესაძლოა, სტალინს თავისი გავლენითა და თანამდებობით გაჯიბრებოდა, იყო **მამია ორახელაშვილი,** რომელსაც 1923 წელს **ლენინის** მოადგილის, ანუ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტიც კი ეჭირა, მაგრამ პოლიტბიუროს წევრი და წევრობის კანდიდატი არ ყოფილა. გარდა ამისა, **მამია ორახელაშვილი** გახლდათ არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი. სტალინი იყო პოლიტბიუროს წევრი, რაც ნებისმიერ პოლიტიკურ თანამდებობაზე მეტი იყო. აი, სწორედ ეს სტატუსი გახდა მიზეზი დიდი დაპირისპირებისა და ორომტრიალისა, რასაც ის შედეგი მოჰყვა, რომ 1921 წლის 7 ივლისს მოწყობილი ობსტრუქცია 1922 წელს სტალინის წინააღმდეგ დაწყებულ სამარცხვინო კამპანიაში გადაიზარდა, როცა აპრილში ლენინი დაავადდა, ხოლო სტალინი პარტიის გენერალური მდივანი გახდა.

1922 წლის შემოდგომამდე ლენინი გათიშული იყო, ამასობაში სტალინმა პარტიულ ელიტაში დიდ წარმატებებს მიაღწია, რადგან დაიახლოვა **ლევ კამენევი** და **გერშონ ზინოვიევი,** რაც იმის საფუძველი გახდა, რომ დაიწყო **ლევ ტროცკის** შევიწროება. როგორც კი გონზე მოვიდა, ძალაუფლების წყურვილით შეპყრობილი ლენინი პარტიულ სტრუქტურებში სტალინის გავლენის ზრდამ ძალიან გააღიზიანა და **ლევ ტროცკის** პირდაპირ სთხოვა — **გახდი ჩემი მოადგილე, რათა სტალინი ავლაგმოთო!** აი, სწორედ ამ სიტუაციაში ქართველმა ბოლშევიკებმა, რომლებსაც **ფილიპე მახარაძე** და **ბუდუ მდივანი** მეთაურობდნენ და რომლებიც მერე „ნაციონალ-უკლონისტებად“ შერაცხეს, სცადეს, სტალინისთვის სასიკვდილო დარტყმა მიეყენებინათ. მათ პირდაპირ უჩივლეს სტალინს ლენინთან და ტროცკისთან. ისინი მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირში საქართველოს ცალკე რესპუბლიკად გაერთიანებას, რაც მოგვიანებით მოხდა კიდეც.

**— კიდევ რას ითხოვდნენ ისინი?**

— ისინი სტალინს ბრალს სდებდნენ ძალაუფლების გადამეტებასა და თვითნებობაში, უფრო მეტიც, ლენინისა და ტროცკისგან მოითხოვდნენ მის მოშორებას! ლენინი ფაქტის წინაშე რომ დაეყენებინათ და თავიანთი მოთხოვნებისთვის მეტი სიმძაფრე შეეძინათ, მათ რევკომის შემადგენლობა და უმაღლესი პარტიული თანამდებობები პროტესტის ნიშნად დატოვეს. ცხადია, ისინი ამას არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებდნენ, ნახევარი პროცენტიც რომ ჰქონოდათ იმის მოლოდინი, რომ ამ ნაბიჯს მათი პოლიტიკური კარიერა და სიცოცხლე შეეწირებოდა. ქართველი ბოლშევიკების 99 პროცენტი დარწმუნებული იყო, რომ ამ გზით ისინი სტალინის განეიტრალებას და თანამდებობებზე დაბრუნებას შეძლებდნენ!

**— რამდენად გამართლდა მათი მოლოდინი და რატომ ვერ მოუხერხა სტალინს ლენინმა ვერაფერი?**

— ლენინმა სტალინი ორი მიზეზის გამო ვერ გაანადგურა — **ტროცკი** იქცეოდა ძალიან ინფანტილურად და ამ საქმეში ჩაერია ღმერთი! საქმე ის გახლავთ, რომ 1923 წლის დასაწყისში **ლენინი** მძიმედ გახდა ავად, ხოლო **ტროცკი,** რომელიც მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ერთპიროვნულ ლიდერობაზე ოცნებობდა, ვიწრო პარტიულ საკითხებში ჩარევას დამამცირებლად მიიჩნევდა. სწორედ ამ მოტივით, ანუ ამპარტავნობის გამო უთხრა მან ლენინს უარი, გამხდარიყო მისი მოადგილე და დაეკავებინა სახკომსაბჭოს, ანუ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი. **ტროცკი** დარჩა რუსეთის სამხედრო რევკომის დროებით თავმჯდომარედ... მოკლედ, პოლიტიკური სიტუაცია აჭრა ტროცკის ამბიციამ, თორემ 1922 წლის შემოდგომა-ზამთარში ქართველი ბოლშევიკები და ლენინი სტალინს მოაშთობდნენ! ამას დაემატა **ლენინის** გათიშვაც. მან დაკარგა მეტყველების უნარი და გონზეც იშვიათად მოდიოდა. **1923 წლის დასაწყისში ლენინი რომ არ გათიშულიყო და ტროცკი ოდნავ ნაკლებად ამპარტავანი ყოფილიყო, ქართველი ბოლშევიკები სტალინს უსათუოდ დალუპავდნენ!**

**— ბატონო სვიმონ, როგორ აფასებს ისტორია სტალინისეულ „ავტონომიზაციის გეგმას“?**

— 1922 წელს, ვიდრე საბჭოთა კავშირი შეიქმნებოდა, სტალინი **„ავტონომიზაციის გეგმით“** მიზნად ისახავდა მომავალი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებას რუსეთის ფედერაციაში ავტონომიის უფლებით. ეს იდეა სტალინმა „შემოაგდო“ იმ რუსული პარტიულ-შოვინისტური ელიტის მისამხრობად, რომელიც რუსეთის ცეკაში ყველგან უმრავლესობაში იყო. თუ პოლიტბიუროს ებრაულ ფრაქციას მხედველობაში არ მივიღებთ, რომელსაც **ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი** წარმოადგენდნენ, სხვა ყველა შოვინისტი რუსი იყო — **ტომსკიც, ბუხარინიც** და **რიკოვიც**. სხვათაშორის, **ტროცკისაც, კამენევსაც** და **ზინოვიევსაც** აღებული ჰქონდათ ძველი რუსული გვარები და ამით ცდილობდნენ, შოვინისტური რუსული პარტიული ელიტისთვის თავი მოეწონებინათ.

იმის გამო, რომ ვინმეს მისთვის სიონისტურ წრეებთან კავშირი არ დაეწამებინა, **ტროცკი** გამოირჩეოდა საშინელი ანტისემიტიზმით და არბევდა და ანგრევდა ებრაულ სინაგოგებს! იგი იყო ანტიქრისტეც და ანტიებრაელიც! ცნობილ სოვეტოლოგსა და მეცნიერს **რიჩარდ პაიფსს** გამოკვლეული აქვს, რომ ბოლშევიკური პარტიის ბირთვის 20 პროცენტს წარმოადგენდა რუსული თავადაზნაურობა, ხოლო ოქტიაბრისტებში, კადეტებსა და სხვა პარტიებში უფრო სტაროვერები სჭარბობდნენ.

პირდაპირ უნდა ითქვას — იმ მრავალპარტიულ ბარდაგში, რომელიც რუსეთის იმპერიაში შეიქმნა, ბოლშევიკური პარტია ყველაზე უფრო გამოკვეთილი რუსული ძალა იყო! სტალინმა „ავტონომიზაციის გეგმა“ სწორედ ამ შოვინისტი რუსი ბოლშევიკების მისამხრობად „შემოაგდო“, თორემ ძალიან კარგად იცოდა, რომ ეს გეგმა აუცილებლად ჩავარდებოდა, რადგან **ამბიციურ ტროცკისა და ძალაუფლებაზე გაგიჟებულ ლენინს გერმანიის გასაბჭოება და საბჭოთა კავშირში შეყვანა იდეა-ფიქსად ჰქონდათ ქცეული.**

მოკლედ, 1921 წლის 7 ივლისს ნაძალადევის კლუბში მოწყობილი ობსტრუქციის შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა — სტალინი ესწრაფოდა ლენინისა და ტროცკისთვის ძალაუფლების წართმევას და ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ქართველი ბოლშევიკები შურის გამო ქართველი სტალინის კი არა, ებრაელი ტროცკისა და ნახევრად ებრაელი ლენინის გვერდით დადგნენ!

**— როცა 1922-1923 წლებში ქართველი ბოლშევიკების პროტესტმა შედეგი არ გამოიღო და კრემლში სტალინმა გაიმარჯვა, ბელადმა აჯანყებულ თანამოძმეებზე შური იძია?**

— არავითარი შურისძიება არ ყოფილა და ეს ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო და საკვანძო საკითხია სტალინის ბიოგრაფიაში! **სტალინმა აპატია ყველას — 1921 წლის 7 ივლისის შემოქმედებსაც და იმ ქართველ ბოლშევიკებსაც, რომლებიც 1922-1923 წლებში მის წინააღმდეგ ლენინსა და ტროცკის შეეკრნენ.** შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ, როცა ლენინი მოკვდა და კრემლში სტალინმა იმარჯვა, ქართველი ბოლშევიკები, რომლებმაც პროტესტის ნიშნად თანამდებობები დატოვეს, დამწყრივდნენ და ცეკაში სამარცხვინოდ მიბრუნდნენ. 1924 წელს ისინი კვლავ უმაღლეს თანამდებობებზე იყვნენ...

1926 წლის დასაწყისში სტალინმა თავის ცხოვრებაში პირველად აიღო ხელში სრული ძალაუფლება, მას პოლიტბიუროში უკვე ჰყავდა თავისი მომხრეები — **ტომსკი, ბუხარინი, რიკოვი,** რომლებსაც ცოტა მოგვიანებით შეუერთდნენ **მიქოიანი** და **მოლოტოვი...** აი, ასეთ სიტუაციაში ბელადს შეეძლო, დარეოდა თავის პოლიტიკურ მტრებს და ერთიანად გაეჟუჟა, მაგრამ ის საპირისპიროდ მოიქცა. მაგალითად, თავის ბავშვობის მეგობარსა და შემდეგ დაუძინებელ მტერს **სოსო ირემაშვილს** საშუალება მისცა, საზღვარგარეთ წასულიყო, ხოლო **ბუდუ მდივანს, ფილიპე მახარაძესა** და მთელ იმ გუნდს, რომელთა წაქეზებითაც მას 1921 წლის 7 ივლისს ნაძალადევის კლუბში „ყორღანაშვილი“ ეძახეს, ხელი არ ახლო და უმაღლესი პოლიტიკური პოსტები დაუტოვა. ამის შემდეგ ვინც უარი თქვა სტალინის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ყველამ შეინარჩუნა სიცოცხლე და თანამდებობა, მაგრამ 1921 წელსვე დაიწყო იმათი რეპრესიები, ვინც 1934-1937 წლებში სტალინის წინააღმდეგ მოწყობილ არაერთ შეთქმულებაში მონაწილეობდა და მერე დაიხვრიტა. სწორედ ამ არმოშლილ მტრობას შეეწირნენ **ბუდუ მდივანი, სიმონ ჯუღელი, ლავრენტი ქართველიშვილი, სამსონ მამულია, ბესარიონ ლომინაძე** და სხვა ქართველი ბოლშევიკები. რაც შეეხება **ფილიპე მახარაძეს,** მისთვის სტალინს ძველი მტრობა არ გაუხსენებია, მაგრამ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და **გიგლა ბერბიჭაშვილის** ჩვენებები ბელადს აიძულებდა, სასამართლო ფილიპე მახარაძის პერსონითაც დაინტერესებულიყო. ამის გამო ფილიპემ ინერვიულა და 1941 წლის 10 დეკემბერს გარდაიცვალა. ულამაზესი **ბესარიონ ლომინაძეც,** რომელიც ძალიან გავლენიანი ახალგაზრდა იყო რუსეთში, სტალინის წინააღმდეგ მოწყობილ ყველა შეთქმულებას თანაუგრძნობდა, რასაც შეეწირა კიდეც... **მოკლედ, სტალინმა თავიდან ყველას აპატია, მაგრამ, ვინც ბელადის მტრობა არ მოიშალა, მათი დიდი ნაწილი 30-იან წლებში დაიხვრიტა!**



**„ქართველი ბოლშევიკები შურის გამო ქართველი სტალინის კი არა, ებრაელი ტროცკისა და ნახევრად ებრაელი ლენინის გვერდით დადგნენ!“**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

პარასკევი, 1 იანვარი, 1937 წ. № 1 (4803)

# 1937: «აი,



## 1937

**სოციალიზმის** ქვეყნამ ამაყად შეხლო ახალი სტახანოვური — 1937 წლის კარი.

მრავალი ბრწყინვლე, მსოფლიო-ისტორიული ხასიათ გამარჯვებით აღინიშნა განვლილ წელი საბჭოთა კავშირში. გამარჯვებულ სოციალიზმის დიადი ქტია — სტალინური კონსტიტუც — წარმოადგენს ამ გამარჯვეთა ბრწყინვალე გვირგვინს.

ახალი კალენდრის ჭეშმარიტი ისტორიის მემატიანე შეუძლია სიამაყის გრძნობით აღნიშნოს, რომ 1937 წელი იყო ტორიაში პირველი წელი, რა სოციალიზმის ქვეყნის ადამიანე უკვე სახელმწიფოს ძირითადი ონის სახით გააჩნდათ ის, რაც საუკუნეთა მანძილზე მხოლოდ რჩეულ ოცნებას შეადგენდა.

საბჭოების უძველმა ქვეყანამ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეოცე ლში შესდგა ფეხი, როგორც კუნიზმის პირველი ფაზის — სოციაიზმის ქვეყანამ, რომელიც სტანური კონსტიტუციის დროშით უხრელად, ვაჟკაცურად მიემართა წინ, კომუნიზმის უმაღლესი ვეხურისაკენ.

განვლილი პილი სტახანოვური — 1936 წელი ციალიზმის ისტო-

ჩვენი ბედნიერი ც
გან შესამჩნევია დ
ნუხრელი აღმავლ
აყვავება, მსოფ
მნიშვნელობის პრ
1937 წელს საბჭ
ხვდება როგორც
პუბლიკა. ეს გვა
ცით ენერგია, უჩ
სით მუშაობის ხ
სტალინურად, ვიმ
გორც ეს შეჰფერ
ლისტური ქვეყნის
პუბლიკას.

დიდია ჩვენი ამ
რე წელს საქართვ
ბამ უნდა გამოუშ
მანეთამდე ღირებ
ცია. საქართველო
მა სოფელმა დიდ
დოს ჩაის კულტუ
მისი მოსავლიანობ
ნახევარი მილიარდ
ყოფი, გადაჭრით
ნახეობა, მეცხოველ
ახალი წელი არ
ნოვური წელი. მ
დარიგში ფართოდ
ახალი ნორმებ
ლოთ სტახან
ვაღწიოთ წა
ბის მთლიანა
ბას, ამ დრო

1937 წლის პირველი იანვრისთვის ქვეყანაში უკვე დაწყებულია რეპრესიები, ინჟინერ **ვლადიმერ ჯიქიას** აივნიდან **სანდრო ახმეტელს უკვე შეგინებული ჰყავს ლავრენტი ბერია,** გადაწყვეტილია იმ აივანზე იმ დღეს მყოფთა ბედიც — **1937-ში ყველა მათგანი დახვრიტეს, გარდა კონსტანტინე გამსახურდიასი.** მიხეილ ჯავახიშვილი იმ დღეს ჯიქიას აივანზე არ იმყოფებოდა, თუმცა, მეზობლად ცხოვრობდა და ჯიქიების აივანსა და კიდევ სხვა აივნებს თავისი ბინის ფანჯრებიდან აკვირდებოდა. **ამბობენ, რომ ასევე იქცეოდა ჯავახიშვილის მეუღლეც, რომელიც სხვისი სახლის ფანჯრებში დურბინდით იყურებოდა და ვიღაცას რაღაცას ანიშნებდა.**

როდესაც ფილმი **„ჯაყოს ხიზნები“** გამოვიდა და ერთ-ერთ სცენაში დურბინდი გამოჩნდა, **მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრების მცოდნე ადამიანებს ამ დურბინდმა სწორედ მიხეილის მეუღლე გაახსენა და ღალატზე მინიშნებად ჩათვალა. ვერიკო ანჯაფარიძის** პირველი ქმარი **შალვა ამირეჯიბი** ამბობდა, **„ჯაყოს ხიზნებში“ თავად ავტორის ბედი გამოსჭვივისო.**

**ლავრენტი ბერიას** არ დაზარებია **მიხეილ ჯავახიშვილის მეუღლის ინტერესებზე თვალის დევნება, საქმე პირად კონტროლზე აიყვანა და აღმოჩნდა, რომ ჯავახიშვილის მეუღლე ერმილე ალანიას ბინაში იყურებოდა.** როცა ბერია საქმეში გაერკვა, **ერმილე** ცოლშვილთან ერთად სულხან-საბას ქუჩაზე გაასახლა, ხოლო ბინაში მისი დედა და და დატოვა. ასეთი იყო სიტუაცია. **ეს იყო ის პერიოდი, როდესაც მიხეილ ჯავახიშვილს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასა და ლავრენტი ბერიაზე ჯერ კიდევ ნათქვამი არ ჰქონდა: რა კარგი დრო ესაა, ჩეკისტი გვაზის თავზეო!**

წერილში **„აი, რას ვაპირობ“** მიხეილ ჯავახიშვილი მკითხველს ახალ წელს ულოცავს და თავისი სიხარულის მიზეზს ასახელებს: **გასულ წელს სტალინს შეხვედრია და ორდენიც მიუღია.** მწერალი კმაყოფილია, რომ სახელგამი მის რომანს „ქალის ტვირთი“ ცალკე წიგნად დაბეჭდავს — **დიდ მორალურ კმაყოფილებას განვიცდი, დამდეგი წელიწადიც უსათუოდ ნაყოფიერი უნდა იყოს, ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავსაც ღირსეული ნაწარმოები უნდა მივუძღვნაო.**

ამ დროისათვის მწერალი უკვე 56 წლისაა და მისი ამ საახალწლო წერილიდან ვიგებთ, რომ მემუარების წერის დაწყებას აპირებს, რადგან დარწმუნებული არ არის, რომ 70 წელს მიაღწევს **(მემუარების წერას მეგობრები 70 წლის ასაკიდან მირჩევენო).**

**წინასწარმეტყველური აღმოჩნდა მწერლის ფიქრი, 70 წელს მან ვერ მიაღწია, 56 წლის ასაკში დახვრიტეს.** თურმე, საპყრობილეში წამების დროს მიხეილ ჯავახიშვილს ბერია მართლაც თავზე დასდგომია და უთქვამს — **ახლა კი გადგას ჩეკისტი თავზეო!**

**ბერია ჯავახიშვილის შემოქმედებას კარგად იცნობდა, „ჯაყოს ხიზნებს“, მის მოთხრობებს, „არსენა მარაბდელს“... მოსწონდა, ჯავახიშვილის მსგავსად, პენსნეს რომ ატარებდა.** 1930 წელს, როცა **მალაქია ტოროშელიძემ** ქართული ლიტერატურის კლასიკა აკრძალა და **ჯავახიშვილს** დაუპირისპირდა, **ბერია პირველი იყო, ვინც მწერალს გამოექომაგა და მისი წიგნების ხელმეორედ გამოცემის ნება დართო.** აი,

## ეს იყო! ★

ცხოვრება გაუმჯობესდა, ამხანაგებო, ცხოვრება უფრო საამური გახდა. ხოლო როდესაც საამურად ცხოვრობ, მუშაობა ხალისიანად მიდის.

ი. სტალინი

*„გენერალისიმუსის“ ეს ნომერი მიმდინარე წლის 9 იანვარს გამოდის, 9 იანვარი კი ის დღეა, როდესაც 1905 წელს მეფის რუსეთმა, მღვდელ გაპონის ღალატის კვალდაკვალ, სისხლში ჩაახშო მუშათა მშვიდობიანი აქცია სანქტ-პეტერბურგში, ზამთრის სასახლესთან და ეს დღე ისტორიაში „სისხლიანი კვირის“ სახელწოდებით შევიდა. დრომ თავისი სახელი დაარქვა 85 წლის წინათ, 1937 წლის 1 იანვარს დაწყებულ პერიოდსაც, როდესაც გაზეთმა „კომუნისტმა“ საბჭოთა საქართველოს ახალი წელი სტალინის სიტყვებით მიულოცა: „ცხოვრება გაუმჯობესდა, ამხანაგებო, ცხოვრება უფრო საამური გახდა, ხოლო, როდესაც საამურად ცხოვრობ, მუშაობა ხალისიანად მიდის“. ამავე გაზეთის მეორე გვერდზე, „კომუნისტის“ საახალწლო ანკეტაში, ცნობილმა მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა მისალოცი ტექსტები გამოაქვეყნეს, რომელთა შორისაც ყურადღებას იქცევს მიხეილ ჯავახიშვილის წერილი „აი, რას ვაპირობ“, სადაც მკითხველს შემოქმედებით გეგმებს უზიარებს.*

# გაზეთ „კომუნისტის“ 1937 წლის 1 იანვრის ნომრის გახსენება 2023 წლის 9 იანვარს

## 6-დან 66 მილიონისაკენ!

ვ. მზარეულაშვილი

ჯუღელის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი

ახალი სტახანოვური წელი დიდ საბრძოლო პროგრამას გვისახავს. სოციალიზმის ინდუსტრიის შემადგენელი ნაწილი—ჯუღელის ფეროშენადნობთა მეტალურგიული ქარხანა ახალი გამარჯვებით ამთავრებს 1936 წელს.

ჩვენმა ქარხანამ 1936 წელს 1926-27 წლის უცვლელ ფასებში მოგვცა 6,3 მილიონი მანეთის პრო-

თა გამოკლებით 36.990 ტონას შეადგენს.

1937 წელს უნდა ავითვისოთ სრულიად ახალი სპეციალურ შენადნობთა გამოდნობა. მაგალითად, სილიკო-კალციუმი უნდა გამოვუშვათ 100 ტონა, მეტალური მარგანეცი—250 ტონა, მეტალური ქრომი—25 ტონა, სულ სპეციალური შენადნობები ფერომოლიბდენისა და რაფი-

## 1937 წელი საქართველოში სამი ექვსიანით დაიწყო და სისხლი და ცხედრები მოიტანა!

# რას ვაპირობ» – მიხეილ ჯავახიშვილი



ლავრენტი ბერია

ჩაიზე კი მწერალი ვერაფრით მიიპატიჟა, მითუმეტეს, რომ ბოლო წლებში ბერია და ჯავახიშვილი მეზობლები იყვნენ!

1937 წლის პირველ იანვარს **მიხეილ ჯავახიშვილის** გარდა, „კომუნისტში“ ახალი წლის მისალოც წერილებს ბეჭდავენ პროფესორები **ალექსანდრე თვალჭრელიძე** და **ივანე ბერიტაშვილი,** თავდაცვის სახალხო კომისარიატის სამხედრო საბჭოს წევრი **მიხეილ ლევანდოვსკი.** გარკვეული დროის მერე, ბედის ირონიით, რიცხვთა მისტიკამ ამ ადამიანების ბედი ერთმანეთს დაუკავშირა. **ზუსტად იმავე წელს, 1937 წლის 14 აგვისტოს, აპატიმრებენ მიხეილ ჯავახიშვილს, 29 სექტემბერს გამოაქვთ მისთვის დახვრეტის განაჩენი, ხვრეტენ მეორე დღეს — 30 სექტემბერს.** 1937 წლის ივნისში აპატიმრებენ **მიხეილ ლევანდოვსკის,** დახვრეტას უსწრებენ ერთი წლის შემდეგ — **29 ივლისს,** ხვრეტენ **30 ივლისს.** ზუსტად 20 წლის შემდეგ, **1957 წლის 29 ივლისს,** ილუპება პროფესორი **ალექსანდრე თვალჭრელიძე,** ზუსტად **37 წლის შემდეგ, 1974 წლის 29 დეკემბერს** — პროფესორი **ივანე ბერიტაშვილი,** ხოლო 1937 წლის 29 ივნისს ხვრეტენ **სანდრო ახმეტელს** და მასთან ერთად რუსთაველის თეატრის ხუთ მსახიობს — **ვანიკო აბაშიძეს, პლატონ კორიშელს, ელგუჯა ლორთქიფანიძეს, ია ქანთარიას და ივანე ლალიძეს.** თითქოს ეს ყველაფერი სადღაც ცხოვრების მიღმა იყო ჩაფიქრებული.

86 წლის შემდეგ ვეცნობით 1937 წლის 1 იანვრის გაზეთ „კომუნისტს“, რომლის მეორე გვერდზეც თვალში საცემია **მხეცის ნიშანი ერთ-ერთი წერილის სათაურში: 6-დან 66 მილიონამდე. 1937 წელი საქართველოში სამი ექვსიანით დაიწყო და სისხლი და ცხედრები მოიტანა.** შეუძლებელია, რომ **მიხეილ ჯავახიშვილს** ამ სამი ციფრისთვის ყურადღება არ მიექცია. **სიმბოლური აღმოჩნდა მწერლის წერილის სათაურიც — „აი, რას ვაპირობ“,** ეს სიტყვები თითქოს იმათი ნათქვამი იყო, ვისაც საქართველოში ჯერ კიდევ გაუგონარი სისასტიკე უნდა დაეწყო — **აი, რას აპირებდა 1937!** თუმცა, კაცობრიობას უკვე გავლილი ჰქონდა თავისი 37 — **კალიგულას სასტიკი მმართველობის დასაწყისი.** ეს რიცხვი სიმბოლურია მედიცინის თვალსაზრისითაც — **ადამიანის სხეულის მაღალი ტემპერატურის საწყისიც 37-ია.**

მიხეილ ჯავახიშვილმა თავის პატარა მიმართვაში მოკლედ ჩამოაყალიბა, რას აპირებდა, მაგრამ ის არ გახსენებია, რომ მასთან მიმართებაში ცხოვრებასაც თავისი პირობები ჰქონდა. **1937 წლის 1 იანვარი საქართველოში იყო ყინვიანი, მინუს 1 გრადუსი ცელსიუსით, წვიმა არ მოსულა, მაგრამ მოვიდა სისხლის წვიმა და მიწას შეერია. იმ დროის ტალახი დღემდე ვერ ჩამოირეცხა საქართველომ.**




## აი, რას ვაპირობ
### მიხეილ ჯავახიშვილი
ორდენოსანი მწერალი

ჩემს ცხოვრებაში შარშანდელი წელიწადი ყველაზე მეტად იმ მხრივ აღინიშნა, რომ სხვებთან ერთად მეც მერგო ბედნიერება ხალხთა დიდი ბელადი სტალინი მენახა, მცირე ხანს მესაუბრა მასთან და ორდენიც მიმეღო.

შემოქმედების მხრივ ეს წელიწადი უნაყოფოდ არ გამიტარებია. მოზრდილი ნაშრომის დასრულების თარიღი მწერლის ხსოვნაში ზოგჯერ სიკვდილამდის რჩება ხოლმე. შარშან ორი წლის ნამუშევარი რომანი „ქალის ტვირთი“ დავასრულე, რომელსაც სახელგამი ცალკე წიგნად წლეულს მიაწოდებს მკითხველს.

რომანის თემა — 1905 წლის რევოლუცია — კარგა ხანს მაწვალებდა და ამიტომ მისი დასრულების გამო დიდ მორალურ კმაყოფილებას განვიცდი. ყოველდღიურ წვრილმან ნამუშევარს აღარ ვანგარიშობ.

დამდეგი წელიწადი უპათუოდ ნაყოფიერი უნდა გამოდგეს. განზრახული მაქვს სამი მოთხრობა დავწერო, პირველი: მილიონერი კოლმეურნეობის (ასურეთის) ცხოვრებიდან, მეორე: კოლხეთის ამოშრობილი ჭაობები უნდა ვნახო და უნადო ეს უზარმაზარი საქმე მხატვრულად ავსახო, მესამე: ოქტომბრის ოცი წლის თავსაც ღირსეული ნაწარმოები უნდა ვუძღვნა.

გარდა ამისა, ვინაიდან მე ცხოვრების საკმაოდ ჭრელი გზა გავვლე და უამრავი მასალა დამიგროვდა, განვიზრახე მკითხველსაც გავუზიარო იგი, ე. ი. ჩემი მოგონებანი დავწერო (სათაურით „დილიდან საღამომდის“).

ზოგი მეგობარი მეუბნება, მემუარების დაწერა ადრეა, 70 წლისა რომ შესრულდები, მაგას მაშინ შეუდექიო. მე უკვე 56 წლისა შევსრულდი და ვგრძნობ, რომ მეხსიერება მღალატობს, ამიტომ დაგვიანება ჩემ მემუარებს უეჭველად დააზარალებს. ესეც რომ არ იყოს, არავინ მიდგება თავდებად, რომ 70 წლამდის გავძლებ და ამ საქმის შესრულებას შევძლებ. ამიტომ მეჩქარება, თორემ იმდენი თვითონ მკითხველმაც ბედნიერად იცოცხლოს და იშრომოს, რამდენსაც ის ახალი წლის გამო თავის საყვარელ მწერლებს და მახლობელ ამხანაგ-მეგობრებს უსურვებს.



მიხეილ ჯავახიშვილი



მიხეილ ჯავახიშვილის მეუღლე ლუბა ჯაჭვაძე-ჯავახიშვილი

## ბოლოთქმა

**1937 წლის 31 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტის“ მე-300 ნომერი გამოვიდა.** 1936 წლის 31 დეკემბერს სოხუმში **ნესტორ ლაკობა** დაკრძალეს, რომლის მკვლელობაშიც **ლავრენტი ბერიას** მოიაზრებენ. **სამხედრო ტერმინოლოგიას თუ დავესესხებით, „გრუზ 300“ დაჭრილი მეომრის გადაყვანას ნიშნავს.** 1937 დაჭრილ წლად შევიდა საქართველოს ისტორიაში, რომელმაც გადაიტანა **„გრუზ 200“-იც** და **„გრუზ 100“-იც** — **მკვდრებიც და სიკვდილის შემოქმედი სამხედრო იარაღების საშინელებაც.** 9 წლის განმავლობაში ქართველი ხალხისთვის 37 წლის მომწყობი **უნომრო „გრუზიც“** შარშან არაყნების გადამტანი სატვირთო მანქანით შემოვიდა საქართველოში და **მძიმე ტოქსიკურ „გრუზად“** გვექცა... რა ნომერს მიანიჭებენ, **რას უპირობენ,** ჯერ არ ვიცით!!!

*ქეთევან ხამიცაშვილი*

## არსებობდა თუ არა სინამდვილეში სტალინის პიროვნების კულტი? იქნებ ეს ყველაფერი არამარტო სტალინის, არამედ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დისკრედიტებისთვის გაკეთდა? თუ კულტი მართლაც არსებობდა, რაში გამოიხატებოდა იგი, განა თავისი ბელადისადმი ხალხის გულწრფელ სიყვარულს შეიძლება კულტი ეწოდოს?




ამ კითხვაზე რუსი მწერლის მიხეილ შოლოხოვის ცნობილი სიტყვებით გიპასუხებთ: **„იყო კულტი, მაგრამ იყო პიროვნებაც.“** სიყვარული მართლაც უბრალო ხალხისაგან მომდინარეობდა, **კულტს** კი სწორედ ისინი აღვივებდნენ, ვინც ბელადის გარდაცვალების შემდეგ ურცხვად ამოსვარა ლაფში მისი სახელიც და საქმეც. საგულისხმოა, რომ ამ კულტის უპირველესი მსახური და გამტარებელი **ნიკიტა ხრუშჩოვი** გახლდათ, რისთვისაც არაერთხელ დაუმსახურებია სტალინის შენიშვნა.

**უნდა ითქვას, რომ სტალინი საერთოდაც ეწინააღმდეგებოდა მისი მისამართით ხოტბაუხვობას.** ცნობილია, მაგალითად, რომ მან აკრძალა წიგნი **სტალინის ბავშვობის წლებზე** და მისწერა ავტორს, რომ მისი ბავშვობა სხვებისგან არაფრით განსხვავდებოდა. სტალინის განკარგულებით ვერ იხილა რამპის შუქი **ბულგაკოვის** შესანიშნავმა **„ბათუმმა“**, რადგან, ბელადის განცხადებით, **„იქ მეტისმეტად იყო წამოწეული სტალინის როლი.“** წიგნში **„იოსებ ბესარიონის ძე სტალინი.** მოკლე ბიოგრაფია“ სტალინმა ყველგან საკუთარი ხელით ამოშალა სიტყვები **„დიადი“ და „გენიალური“.**

ცკ-ის ერთ-ერთ პლენუმზე მან უხეშად შეაწყვეტინა **კაგანოვიჩს** სიტყვები **„ჩვენ დიადი სტალინის მოწაფეები ვართ“** და დასძინა: **„ჩვენ ყველანი ლენინის მოწაფეები ვართ“.** მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება.

ამასთან, **სტალინი** გაგებით ეკიდებოდა ხალხის მისდამი სიყვარულს. **ლიონ ფოიხტვანგერთან** შეხვედრისას მწერლის შენიშვნას **„ულვაშიანი კაცის 30 ათასი პორტრეტის“** შესახებ ბელადმა ღიმილით უპასუხა, რომ სახალხო სიყვარულის გამოვლენასთან ბრძოლით უკვე დაიღალა. **„ჩემი აზრით, მეტწილად ეს გულით კეთდება, —** თქვა მან, **— პარტიისადმი მადლიერების გრძნობა ხალხს, ზოგჯერ დაუმსახურებლადაც, ჩემზე გადმოაქვს.“** ხოლო, როდესაც **ფოიხტვანგერმა** აუწყა, რომ რემბრანდტის ნახატების გამოფენაზე სტალინის უზარმაზარი და უგემოვნო ბიუსტი იხილა, ბელადი მოიღუშა: **„კუდქიცინა და ქლესა ბრიყვი მტერზე უარესია“,** — თქვა მან.

დაგეთანხმებით იმაშიც, რომ **„პიროვნების კულტის დაგმობამ“** დათვური სამსახური გაუწია მთლიანად კომუნისტურ მოძრაობას.

მაგრამ როგორიც უნდა ყოფილიყო **სტალინის კულტი, ლენინის პიროვნების კულტთან** და უფრო გვიანდელ — **ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის კულტუკებთან** მისი შედარებაც არ შეიძლება. აქ, **შოლოხოვის** პერიფრაზით, სამართლიანი იქნებოდა, გვეთქვა: **„იყო კულტი, მაგრამ არ იყვნენ პიროვნებები.“**

აი, მაგალითი უახლოესი წარსულიდანაც. 1998 წლის იანვარში ედუარდ შევარდნაძის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი გაზეთი 16 გვერდზე გამოვიდა. ყოველ გვერდზე პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების ფოტოები იწონებდა თავს. უკლებლივ ყველა მასალა, პირველიდან მე-16 გვერდამდე, იუბილარს ეძღვნებოდა. შედარებისათვის მავანს არ აწყენდა, **1949 წლის 21 დეკემბრის „პრავდა“** გადაეშალა. იგი, როგორც ყოველთვის, 4-გვერდიანი იყო. პირველ გვერდზე **სტალინის** ფოტო (ერთადერთი) და მის თანამოაზრეთა მილოცვაა. დანარჩენი მასალები კი მიმდინარე მოვლენებს ეძღვნება. ვფიქრობ, თქვენს დასმულ შეკითხვას ეს შედარებაც უპასუხებს.



Пролетарии всех стран, соединяйтесь!

Всесоюзная Коммунистическая Партия (больш.)

ПРАВДА

Орган Центрального Комитета и МК ВКП(б).

Сегодня семидесятилетие со дня рождения Иосифа Виссарионовича СТАЛИНА

Товарищу СТАЛИНУ— великому вождю и учителю, продолжателю бессмертного дела Ленина

Дорогой друг, боевой товарищ, учитель и вождь!

Указ Президиума Верховного Совета СССР

О награждении товарища Иосифа Виссарионовича Сталина орденом Ленина

ЦЕНТРАЛЬНЫЙ КОМИТЕТ

СОВЕТ МИНИСТРОВ

## 50-იანი წლების დასაწყისში, თარიღი ზუსტად არ მახსოვს, ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა ფეხბურთელები გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდნენ იუგოსლავიის ნაკრებთან. საბჭოთა კავშირს მაშინ იუგოსლავიასთან ურთიერთობა შეწყვეტილი ჰქონდა, მისი ხელმძღვანელი ტიტო კი ფაშისტად იყო გამოცხადებული. ამიტომ სტალინმა ნაკრების ყველა ფეხბურთელის რეპრესირება ბრძანა. მართალია თუ არა ეს?

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში ოლიმპიური თამაშები 1952 წლის ივლისში გაიმართა. ეს პირველი ოლიმპიადა იყო, რომელშიც სსრკ-მ მიიღო მონაწილეობა. ბუნებრივია, სპორტსმენებს ერთი დირექტივა ჰქონდათ — სპორტის ყველა სახეობაში გაემარჯვათ. ამბობენ, რომ **სტალინმა** ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს გამომშვიდობებისას უთხრა: **„თუ ჰელსინკიდან ოქროს გარეშე ჩამოხვალთ, მის მოსაპოვებლად კოლიმაში აღმოჩნდებით.“** უეჭველია, ეს ე. წ. შავი იუმორი იყო, რომელიც ბელადს უყვარდა. განსაკუთრებული მითითება ფეხბურთის ნაკრებს მისცეს **(იგი მთლიანად „ცდკა“-ს, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის მოთამაშეებისაგან შედგებოდა)** — იუგოსლავიის ნაკრებთან შეხვედრა ნებისმიერ ფასად მოეგოთ. ამ თამაშს პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან იუგოსლავიის ხელმძღვანელები — **ტიტო, რანკოვიჩი, კარდელი** და სხვები, რომლებიც ბოლო დრომდე კომუნისტებად და სსრკ-ის მოკავშირეებად ითვლებოდნენ, ფაშისტურ ხროვად გამოცხადდნენ და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა შეწყდა.

შეიძლებოდა, გუნდები ერთმანეთს არც შეხვედროდნენ, მაგრამ... მერვედფინალში საბჭოთა ნაკრები იუგოსლავიისას დაუპირისპირდა.

პირველი მატჩი დრამატულად წარიმართა. მეორე ტაიმის შუამდე იუგოსლაველები 5:1 იგებდნენ. 15 წუთის განმავლობაში საბჭოთა ფეხბურთელებმა ძალ-ღონის არაადამიანური დაძაბვით შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, 3 გოლი სახელოვანმა **ვსევოლოდ ბობროვმა** გაიტანა.

მაშინ პირველ გატანილ გოლამდე დამატებითი დროის და პენალტების სერიის წესი არ არსებობდა. საყაიმო შედეგის შემთხვევაში ხელახალი მატჩი ინიშნებოდა. იგი ერთი დღის შემდეგ გაიმართა. თავიდან იღბალი საბჭოთა სპორტსმენებს წყალობდა. პირველი გოლი **ბობროვმა** გაიტანა, მაგრამ საბოლოოდ საბჭოთა ფეხბურთელებმა მეტოქეებს 1:3 დაუთმეს. ეს არც არის გასაკვირი. არმიელები გაუთავებელი ვარჯიშით და ნერვული სტრესით არაქათგამოცლილები იყვნენ, თანაც იუგოსლავიის ნაკრები მაშინ სპორტული კარიერის მწვერვალზე იმყოფებოდა. იგი ფინალშიც კი გავიდა და მხოლოდ უნგრელებთან დამარცხდა 0:2.



ფეხბურთში სსრკ-ის ნაკრების კაპიტანი ვსევოლოდ ბობროვი. 1952 წელი

რა თქმა უნდა, ეს დამარცხება კრემლისთვის დიდი დარტყმა გახლდათ, თანაც იუგოსლავიის დედაქალაქში გამარჯვება ზარ-ზეიმით აღნიშნეს. მიუხედავად ამისა და მიუხედავად „კოლიმის ოქროს“ შესახებ მუქარისა, **ფეხბურთელები რეპრესირებული არ ყოფილან.** ეს მხოლოდ ჭორია. როდესაც კრემლში მატჩის შედეგებზე მსჯელობისას **სტალინს** ჰკითხეს, როგორ მოქცეოდნენ „დამნაშავე“ გუნდს, მან უპასუხა: **„როგორ ექცევიან პოლკს, რომელმაც დროშა შეარცხვინა?“** „ცდკა“ დაშალეს, მოთამაშეები კი სხვა კლუბებში გაანაწილეს.

4 წლის შემდეგ, მელბურნის ოლიმპიადაზე, საბჭოთა ნაკრებმა რევანში აიღო და იუგოსლაველებს 2:1 მოუგო. **მაგრამ ეს უკვე სხვა გუნდი გახლდათ და სტალინიც ცოცხალი აღარ იყო.**

## 1941 წელს ჰიტლერს იმედი ჰქონდა, რომ თავისი ვერმახტის აღლუმს მოსკოვში ჩაატარებდა. სტუმართა ტრიბუნაზე მოსაწვევი ბარათებიც კი დაბეჭდეს. მაგრამ სტალინმა ეს წამოწყება ჩაფუშა და გერმანელები მოსკოვიდან გარეკა. თუმცა, ვერმახტის ნაწილებმა მაინც ჩაიარეს აღლუმით მოსკოვში, მხედველობაში მაქვს გორკის ქუჩაზე ტყვე გერმანელთა კოლონების ჩატარება. უფრო დაწვრილებით გვიამბეთ ამის შესახებ.

1941 წლის ოქტომბერში მოსკოვის ბედი ბეწვზე ეკიდა. გერმანელები დედაქალაქის ცენტრიდან 15-ოდე კილომეტრში იდგნენ. ბუნებრივია, ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მოსკოვს დღე-დღეზე აიღებდნენ. **ამიტომ 7 ნოემბრისათვის წითელ მოედანზე ვერმახტის მოწინავე ნაწილების აღლუმი დაინიშნა.** როგორც იცით, იგი არ შედგა და სტალინმა ტრადიციული აღლუმი ჩაატარა, საიდანაც მებრძოლები პირდაპირ ფრონტის ხაზზე მიემართებოდნენ. ცნობამ ამ აღლუმის შესახებ ნაცისტურ ხელმძღვანელობაში ნამდვილი შოკი გამოიწვია. შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისი მნიშვნელობით სტალინგრადთან ან კურსკთან გამარჯვებას უტოლდებოდა. მეორე შოკი ჰიტლერმა **ფელდმარშალ პაულიუსის** და მისი შტაბის დატყვევებაზე გადაღებული კინოფირის ნახვით განიცადა. ამ ფილმმა მთელი მსოფლიო მოიარა. დაბოლოს, სტალინის მესამე დარტყმა — **ტყვეების „აღლუმი“ წითელ მოედანზე.** იგი ომის დამთავრებამდე თითქმის ერთი წლით ადრე შედგა, **1944 წლის ივლისში.** გორკის ქუჩაზე ათიათასობით ჰიტლერელი ჯარისკაცი, ოფიცერი და გენერალი გაატარეს ქვეითი და ცხენოსანი წითელარმიელების ბადრაგით. ქუჩაში გამომავალი ყველა ფანჯარა ბოლომდე გაეღოთ, მთელი მოსკოვი ადევნებდა თვალს ამ უჩვეულო აღლუმს, რომლის იდეა, ბუნებრივია, სტალინს ეკუთვნოდა. მისი წინადადებით, **ტყვეთა კოლონებს სარწყავი მანქანები მიჰყვებოდნენ და დედაქალაქის მთავარ ქუჩას რეცხავდნენ.**

ეს აღლუმი კინოფირზე გადაიღეს და ჰიტლერმა, რა თქმა უნდა, იგი ნახა. იქ დამსწრე გენერლები წერდნენ, რომ ფიურერი ცოფებს ყრიდა.



1941 წლის 7 ნოემბერი. წითელი მოედანი. აღლუმი.


ასავალ-დასავალი
2023 წლის 9 იანვარი. № 3-4 (171-172)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

„დუმან ისინი, ვისთვისაც ცოტა სხვაგვარად წარიმართებოდა ცხოვრება, რომ არა ჩემი თანადგომა! მეღიმება მათზე, ვისაც ფუფუნება და თანამდებობა მარადიული ჰგონია. ვაგრძელებ ადამიანებზე დაკვირვებას და ვასკვნი, რომ ქართველი საზოგადოების ნაწილი მართლაც იმსახურებს სააკაშვილის რეჟიმს!“



## ლადო ბედუკაძე:

# საქართველო შეუდარებლად უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა, სააკაშვილი საერთოდ რომ არ დაბადებულიყო!

***„თუ ჩემი შვილი აღარ იქნება, საქართველო სახელმწიფოებრიობას დაკარგავს და წაიშლება!“ — განაცხადა ახლახან სააკაშვილის დედამ გიული ალასანიამ. არადა, ვიდრე გიულ-ხანუმი ბრიფინგებს ატარებს და საქართველოს ბედზე „წუხს,“ მისი ნაშიერი, როგორც ერთმა მედმუშაკმა აღიარა, საკუთარ ფეკალიებს ამრგვალებს და სამედიცინო პერსონალს ესვრის, თან გაიძახის — კალათბურთს ვთამაშობო! რასთან გვაქვს საქმე? მართლაც გაგიჟდა ნაპრეზიდენტალი თუ გიჟის როლი მოირგო? ვესაუბრებით სააკაშვილის გარემოცვის მიერ ნომერ პირველ მტრად შერაცხილ ციხის სკანდალური კადრების ავტორს, პენიტენციური სისტემის ყოფილ მაღალჩინოსანს ლადო ბედუკაძეს:***

— სააკაშვილი არასოდეს ყოფილა დალაგებული. ვისაც მის გვერდით გარკვეული დრო გაუტარებია, უამრავი არაადეკვატური ქმედება დაუფიქსირებია, თუმცა, სხვა საკითხია, ამას აღიარებენ თუ არა. **სააკაშვილის გარემოცვა რახანია, სექტად ჩამოყალიბდა, რომელსაც ბელადის სამარცხვინო მდგომარეობის დანახვა არ სურს.** საზოგადოების ამ ნაწილს არ სჯერა, რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს ადამიანებს ქუჩაში ხოცავდნენ, უდანაშაულოდ აპატიმრებდნენ, ციხეებში აწამებდნენ, აინვალიდებდნენ, სარჩო-საბადებელს ართმევდნენ. ამ სექტის მეორე ნაწილი უფრო მარგინალურ პოზიციაზეა და ისიც კი არ სჯერა, რასაც დოკუმენტურ კადრებში ნახულობს — ყოველივე შეთხზული და დამონტაჟებული ჰგონია! სექტაში მესამე, უფრო უზნეო ნაწილი არსებობს. ისინი არ უარყოფენ დოკუმენტურ ინფორმაციას ადამიანთა წამებისა და მკვლელობების შესახებ, მაგრამ უტიფრად იმეორებენ, რომ სააკაშვილის მხრიდან საკუთარი მოქალაქეების ამგვარად გამეტება სახელმწიფოს ინტერესებით იყო ნაკარნახევი და, დიახაც, უნდა დაეჭირა, ეწამებინა, მოეკლა, ეძარცვა!

მრავალი წლის მანძილზე ისეთ ადგილას და ისეთ ვითარებაში მომიწია ყოფნა, რომ ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, განვლილმა გზამ დამანახა, თუ რას წარმოადგენს კონკრეტული ადამიანის ბუნება, რა ცვლის მას ძირეულად, სადამდე შეიძლება აღზევდეს ან დაეცეს.

ერთი მაგალითით არ ვმსჯელობ, სამწუხაროდ, ათასობით, უფრო სწორად, ათეულათასობით მსჯავრდებულთა განაჩენებში, პირად საქმეებში, მათ თვალებსა და სულშიც ჩამიხედავს, შეძლებისდაგვარად შემიცნია და ამავდროულად ვერ შემიცვლია ადამიანი!

**— რას ფიქრობთ სააკაშვილზე, როდესაც მის ახალ კადრებს უმზერთ? რას ფიქრობთ მას მერე, რაც სოციალურ ქსელებში ერთ-ერთი სამედიცინო პერსონალის კომენტარი გავრცელდა? — „ამ ნივთების სროლა, რაც საზოგადოებამ იხილა, არაფერია. ხან თითებს ატარებს, ხან იცვამს და სამიტებზე გაშვებას ითხოვს, მაგრამ ყველაზე აუტანელი, შვილო, დამიჯერებთ, ჯერ პატარა ბავშვივით განზრახ საწოლში შარდავს, შემდეგ საკუთარ ფეკალიებს ამრგვალებს და გვესვრის, კალათბურთს ვთამაშობო... ორმა მედდამ უარი განაცხადა ამ მონსტრთან შესვლაზე, ვიცი, რომ მსგავსი ინფორმაციის გამჟღავნება არ შეიძლება, მაგრამ ჩვენც ხომ ადამიანები ვართ? ქალბატონ ნინოს უაღრეს პატივს რომ არ ვცემდე, მეც განცხადებას დავწერდი და ერთი წუთით არ ვიმუშავებდი იქ.“**

— რაც ციხეზე ვთქვი, იმავეს ვიტყვი საავადმყოფოს პალატაზე, სადაც სააკაშვილი სასჯელს იხდის, თუმცა, ის 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს ნომერს უფრო მოჰგავს, რომელშიც რეჟიმის შემქმნელმა პატიმრობის 1 წლის განმავლობაში 1500-მდე სტუმარს უმასპინძლა. ასეთ პირობებში ყოფნა ვერ შეფასდება პატიმრობად, მითუმეტეს, ახლოსაც ვერ მოვა იმ პირობებთან, რომელშიც სააკაშვილი ამყოფებდა ტუსაღებს. **ეს არის ჩვეულებრივი შინაპატიმრობა, როდესაც პირი იმყოფება ყოველმხრივ კომფორტულ პირობებში, თუმცა, ჩამორთმეული აქვს გადაადგილების უფლება.** მე არ მახსენდება, სააკაშვილის რეჟიმის დროს რომელიმე, თუნდაც ელიტური პატიმარი მსგავს პირობებში მოეთავსებინოთ! დიახ, იყვნენ ისეთი პატიმრები, რომლებსაც ხელისუფლებიდან წამოსული ბრძანებების შესაბამისად, ღამეს საპყრობილის დირექტორის მოადგილის კაბინეტში ათევინებდნენ, მაგრამ ეს კაბინეტი მაინც ციხეში იყო და არა კომფორტულ დაწესებულებაში! მაშინაც იყო შედარებით კომფორტული საკნები, სადაც იმყოფებოდნენ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები, მაგალითად, სააკაშვილის ადვოკატი **ვალერი გელბახიანი,** რომელთა უსაფრთხოებას საკნის კარს მიღმა სპეციალურად მიჩენილი ბადრაგები დარაჯობდნენ! ამის მიუხედავად, **მე არ მახსენდება არცერთი პატიმარი, რომელსაც არსებული პირობების გამო იმდენი ეწუწუნოს ან ეთაღლითოს, რასაც სააკაშვილი კადრულობს!**

## გარწმუნებთ, სააკაშვილი 1 კვირასაც ვერ გაძლებს დღევანდელი საპატიმროს ჩვეულებრივ პირობებში, რიგით პატიმრებთან ერთად, არამცთუ იმ დილეგებში, რომელშიც თავად ამყოფებდა ადამიანებს!

მინახავს სულიერად დაავადებული არაერთი პატიმარიც, მაგრამ როგორც ფსიქიატრი, ფსიქოთერაპევტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის პროფესიული განათლების სამედიცინო აკადემიის ფსიქოთერაპიისა და სექსოლოგიის განყოფილების პროფესორი, დამოუკიდებელი ფსიქიატრიული ასოციაციის წევრი **მარკ ბრუნო** ინტერვიუში აცხადებს, თუ სააკაშვილი გიჟის როლს თამაშობს, ადვილად მოსალოდნელია, ამ როლიდან გამოსვლა ვეღარ მოახერხოს და სამუდამოდ მასში დარჩეს! ამერიკელი ფსიქიატრები აღიარებენ, რომ ადამიანმა შეიძლება ასე ოსტატურად გაითამაშოს ჭკუიდან შეშლილის როლი. ამ მოსაზრებას თავადაც ვიზიარებ და სააკაშვილის გარშემო დატრიალებულ მოვლენებს **„ერთი მსახიობის თეატრად“** ვაფასებ, იმ განსხვავებით, რომ ამ „თეატრს“ გაცილებით მეტი მაყურებელი ჰყავს, ვიდრე სხვა, ნამდვილ თეატრებს!



**— ამ თეატრის დეკორაციაში კედელზე ის თოფი თუ ჰკიდია, რომელმაც ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა გაისროლოს?**

— მიგიხვდით ნართაულს. დიახ, თოფი ნამდვილად ჰკიდია, თუმცა, ამ თოფმა შესაძლოა, სულაც სხვა მიმართულებით გაისროლოს, ვიდრე სააკაშვილი გეგმავს. მე კარგად მესმის, რომ ახლა სააკაშვილს მართლა უჭირს, რადგან, არც ნარკოტიკებისთვის თავის დაღწევაა ადვილი, მითუმეტეს, თუ ადამიანი 20 წლის განმავლობაში მოიხმარს. მახსენდება ერთი ცნობილი პატიმარი **დ.შ.,** რომელსაც დაჭერის შემდეგ ყოველგვარი მკურნალობის გარეშე, „მშრალად“ გადააგდებინეს ნარკოტიკი და ის ძალიან მალე წონაში განახევრდა... ვაღიაროთ, რომ

## სააკაშვილის ამჟამინდელი მდგომარეობა, რომელიც „დემენციად“ ინათლება, 2–3 დღეში ვერ განვითარდება და მას პრეზიდენტად ყოფნის პერიოდშიც არაერთხელ გამოუვლენია ამ დაავადების ნიშნები!

ეს სენი თავს განსაკუთრებით მაშინ იჩენს, როდესაც ადამიანის სული შიშვლდება. ამიტომ, პირველ რიგში, მათ უნდა მოვკითხოთ, ვინც ასეთ მდგომარეობაში მყოფი პაციენტი ქართველ ხალხს თავს პრეზიდენტად მოახვია!

**— სააკაშვილის დედა აცხადებს, რომ, თუ სააკაშვილის სიცოცხლე დასრულდება, საქართველოს სახელმწიფოებრიობა ჩამოიშლება!**

— მარტო დედამისს კი არა, ასე სწამს მთელ მის მხარდამჭერ სექტას, თუმცა, საქართველოს სახელმწიფოებრიობა და ქართველი საზოგადოება შეუდარებლად უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა, სააკაშვილი საერთოდ რომ არ დაბადებულიყო!

**— საზოგადოებაში არის მითქმა-მოთქმა, რომ ციხის კადრების გავრცელებით დიდი ფული იშოვე... რეალურად, რასა იქმს, როგორ ცხოვრობს ლადო ბედუკაძე, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმის სანაგვეზე გადაგდებაში ლომის წილი მიუძღვის?**

— რა სიმდიდრე? რეალურად, უმუშევარი ვარ. არ მაქვს არც მანქანა, არც — აგარაკი, საკუთარი ბინა არ გამაჩნია და საკუთარი კატაც კი არ მყავს! დღემდე მეგობრების მცირეოდენი შემოწირულობებით ვარსებობ. არ ვაპირებ, ჩემი მდგომარეობის შესახებ ვუმტკიცო ვიღაცებს, ვინც ჩემი „სიმდიდრის“ შესახებ ჭორებს ავრცელებს, მათი აზრიც არ მაინტერესებს. გაჭირვების ჟამს ისეთმა ადამიანებმა დამირეკეს და თანადგომა გამომიცხადეს, ვისაც საერთოდ არ ვიცნობ. გაწეულ სიკეთეს არავის ვამადლი, მაგრამ **დუმან ისინი, ვისთვისაც ცოტა სხვაგვარად წარიმართებოდა ცხოვრება, რომ არა ჩემი თანადგომა!** მეღიმება მათზე, ვისაც ფუფუნება და თანამდებობა მარადიული ჰგონია. ვაგრძელებ ადამიანებზე დაკვირვებას და ვასკვნი, რომ ქართველი საზოგადოების ნაწილი მართლაც იმსახურებს სააკაშვილის რეჟიმს!

ამის მიუხედავად, როცა მეკითხებიან, მოვლენები თავიდან რომ დატრიალდეს, სხვანაირად ხომ არ მოვიქცეოდი? — ვპასუხობ: არა, იმავეს მოვიმოქმედებდი, თუმცა, უფრო ჭკვიანურად და შეცდომებს თავიდან ავირიდებდი! პენიტენციურ სისტემაში ფრთიანი ანგელოზები არ მუშაობენ, მაგრამ, როცა ღმერთმა არჩევანის წინაშე დამაყენა, მდუმარედ გამეგრძელებინა პირადი კარიერა თუ უსამართლობა საკუთარი სიცოცხლის რისკით მემხილებინა, მე უყოყმანოდ ავირჩიე და ამას არც ახლა ვნანობ!

ესაუბრა
**ზაზა დავითაია**



**„როგორც ფსიქიატრი, ფსიქოთერაპევტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დამოუკიდებელი ფსიქიატრიული ასოციაციის წევრი მარკ ბრუნო ინტერვიუში აცხადებს, თუ სააკაშვილი გიჟის როლს თამაშობს, ადვილად მოსალოდნელია, ამ როლიდან გამოსვლა ვეღარ მოახერხოს და სამუდამოდ მასში დარჩეს!“**



# ორსახოვანი ადვოკატის ვნებანი

ნანა კაკაბაძე

***ყველას გვახსოვს ის დრო, როდესაც სააკაშვილის დღევანდელი ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე წლების წინ ხმალამოღებული იბრძოდა მისი რეჟიმის წინააღმდეგ. ის გახლავთ ჰააგის სასამართლოში ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ შეტანილი პერსონალური საჩივრის ავტორი და პერიოდულად იმაშიც გვარწმუნებდა — დღეს თუ არა ხვალ, სააკაშვილს ჰააგის სასამართლო ბრალს წაუყენებსო.***

როგორც ჩანს, ეს ყველაფერი შალვა ხაჭაპურიძეს „ოცნების“ ლიდერების ყურადღების მისაქცევად სჭირდებოდა, მაგრამ, **როდესაც ადვოკატის ასეთი მონდომება მეოცნებეებმა არ შეიმჩნიეს და არ დააფასეს, თავის წარმოჩენა რადიკალურად განსხვავებული პოზიციებიდან სცადა** — ახლა უკვე **სააკაშვილის მრავალრიცხოვან ადვოკატებს შორის მოისურვა ლიდერის პოზიციის დაკავება.**

ბევრი იწვალა თუ ცოტა, სააკაშვილის გარემოცვას დაუმტკიცა — **ჩემზე მოხერხებულად და თავზეხელაღებულად ვერავინ დაგიცავსო,** გვერდზე გასწია სხვა ადვოკატები — **ბელბახიანები, მშვენიერაძეები, თუთბერიძეები, ჩომახაშვილები** და **„ერთერთის“** კატეგორიიდან **„ერთადერთის“** კატეგორიაში გადაინაცვლა.

როდესაც ჟურნალისტები ეკითხებოდნენ, — **შე კაი კაცო, ჯერ მიშას პასუხისგებაში მიცემას მოითხოვდი და ახლა იგივე ქმედებებისთვის მიშას გამართლებას როგორ ითხოვო,** — ის პასუხობდა — **მე ბრალდების საქმეებში კი არ ვიცავ სააკაშვილს, არამედ ავადმყოფობის გამო სასჯელის ნაწილშიო,** ანუ ამით ცდილობდა სახის და ე. წ. „პროფესიული ღირსების“ შენარჩუნებას.

ეს პასუხები თითქოს ლოგიკური იყო, მაგრამ სააკაშვილის ბოლო სასამართლო სხდომაზე ხაჭაპურიძემ შუამდგომლობის მრავალსაათიანი წარმოდგენისას ისეთი რამეები იკადრა, რომ სრულიად გასაგები გახდა მისი **„ერთადერთობის“** მიზეზები.

ამ სასამართლოზე იხილება არა სააკაშვილის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის საკითხი, არამედ მხოლოდ ის, რამდენად მძიმეა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და აკმაყოფილებს თუ არა სააკაშვილის სასჯელისგან გათავისუფლებისათვის საჭირო მოთხოვნებს.

ამის მიუხედავად, **შუამდგომლობის ნახევარზე მეტი ხაჭაპურიძემ მიუძღვნა არა სამედიცინო, ან თუნდაც სამართლებრივ, არამედ პოლიტიკურ საკითხებს და რომ იტყვიან, კანში გაძვრა მისი ყველა დანაშაულებრივი ქმედების გასამართლებლად. იმდენად აშკარა, სამარცხვინო და ამაზრზენი იყო მისი მხრიდან შავის თეთრად წარმოჩენის მცდელობები, რომ ყველა ობიექტურ ადამიანში მხოლოდ გულისწყრომას გამოიწვევდა.**

ხაჭაპურიძის საილუსტრაციოდ აუცილებლად მიგვაჩნია მისი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციების შეხსენება წარსულში გაკეთებული მისივე ციტატებიდან:

> *„სააკაშვილის ხელისუფლება, ეწეოდა რა დანაშაულებრივ საქმიანობას, თავად პრეზიდენტი დანაშაულებრივი მოწოდებების საფუძველზე შეგნებულად და სისტემატურად ესხმოდა თავს სამოქალაქო პირებს და ანადგურებდა რა მათ ფიზიკურად, ქვეყანაში ამკვიდრებდა შიშისა და სისასტიკის ულმობელ პოლიტიკას, ხოლო ადამიანები, რომლებიც შეეწირნენ ხელისუფლების უკანონო თავდასხმებს, წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებულ მართლმსაჯულების მსხვერპლთა კატეგორიას.* ***საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩადენილია საერთაშორისო მასშტაბის დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია რომის სტატუტის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით. აქედან გამომდინარე, გთხოვთ, დაიწყოთ გამოძიება საქართველოს სსკ-ის შემდეგი მუხლებით — განზრახ მკვლელობა, წამება...*** *(ჩამოთვლილია 20-ზე მეტი მუხლი)* ***და მიეცნენ პასუხისგებაში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ადეიშვილი, ვანო მერაბიშვილი, გიორგი ბარამიძე, დათა ახალაია, ბაჩო ახალაია, ოლეგ მელნიკოვი და სხვა პირები, რომელთა ბრალეულობაც გამოიკვეთება გამოძიების დროს“.***

დღეს კი **ხაჭაპურიძე** აცხადებს:

> *„მე-19 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე არც ერთ მთავარმართებელს, არც ერთ პრემიერ-მინისტრს, არც ერთ ცეკას პირველ მდივანს და არც ერთ პრეზიდენტს იმდენი სიკეთე არ გაუკეთებია საკუთარი ერისა და სახელმწიფოსათვის, რამდენიც მიხეილ სააკაშვილმა შეძლო“.*

რამდენიმე წლის წინ ხაჭაპურიძე აცხადებდა:

> *„სანამ ბოლო ნაციონალი იქნება საქართველოში, მანამდე არ გავჩერდები, სანამ ბოლო ნაციონალი იბოგინებს ამ ტერიტორიაზე, იმიტომ, რომ ეს არის ფაშისტური რეჟიმი, რომელიც უნდა დამთავრდეს! ყველამ უნდა აგოს პასუხი იმისთვის, რომ შემდეგმა მთავრობებმა არ გაიფიქრონ ჩვენი და ჩვენი შვილების ქუჩაში ასე უპატრონოდ ჩაცხრილვა და შემდეგ მიყრა ამ ადამიანების. ყველამ უნდა აგოს პასუხი! როგორც ფაშისტურმა რეჟიმმა აგო პასუხი, და ჰიტლერმა აგო პასუხი, ისე აგოს სააკაშვილმა და მისი რეჟიმის წარმომადგენლებმა ამ საშინელი დანაშაულებისათვის“.*

დღეს კი ხაჭაპურიძე აცხადებს:

> *„სააკაშვილის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენებიდან გირგვლიანის მკვლელების შეწყალებაზე დანაშაული საერთოდ არ არსებობს,* ***ვალერი გელაშვილის*** *ცემის ფაქტთან უშუალოდ პრეზიდენტის ქმედებას არავითარი კავშირი და შემხებლობა არ გააჩნია, ხოლო 7 ნოემბრისა და 26 მაისის საქმეზე პრეზიდენტი არ იყო პასუხისმგებელი იმაზე, თუ შსს-ს რომელიმე ხელმძღვანელი პირი ჩაიდენდა ამგვარ დანაშაულს“.*

ამ ორ საქმეში ბრალდების მხარის ორი მოწმის — **ნინო ბურჯანაძისა** და **ირაკლი ოქრუაშვილის** ჩვენება იყო სააკაშვილის წინააღმდეგ გამამტყუნე-



## შალვა ხაჭაპურიძე მიხეილ სააკაშვილის ვექილობამდე და შემდეგ

## ადვოკატ ხაჭაპურიძეს ასე ესმის ადვოკატობა, რომ, თუ საქმეს სჭირდება, ნებისმიერი სისაძაგლე შეიძლება ჩაიდინო პროცესზე...

## კვირგვინოსნები

### მაია ნიკოლეიშვილი
*სასამართლო ექსპერტი*



**პირველ პროცესზე,** როცა დაიკითხა **ბოლდსმიტი,** გავოცდი. ახლა **მეორე პროცესის** შემდეგ მართლა გაოგნებული ვარ. ალბათ, ამ ადამიანს ჰგონია, რომ აქ პაპუასები დარბიან... როცა კითხვები დაუსვეს ექსპერტს, **სად წერია დასკვნაში, რომ ორგანიზმში დარიშხანი აქვსო,** მან ამის ძებნა ფურცლებში დაიწყო და ჩემდა გასაკვირად ტრანსლაცია შეწყდა. აღმოჩნდა, რომ **დარიშხანი არ ყოფილა აღმოჩენილი და ასეთი რამ არსად წერია დასკვნაში.** შემდეგ, როცა ჰკითხეს, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის დასკვნაში სად წერია, შუბლის წილებში თეთრი ნივთიერების შემცირებაო, ისევ დაიბნა ექსპერტი... **მერე ვერცხლისწყალს ეძებდა და აღმოჩნდა, რომ კონცენტრაცია არ ყოფილა მომწამლავი.** ისევ გაიჭედა ექსპერტი და ისევ შეწყდა ტრანსლაცია... იმ კაცს შუბით მორბენალი ველურები ვგონივართ?

„კვირის პალიტრა“

### დავით ზურაბიშვილი
*პოლიტიკოსი*



**პრეზიდენტს ტყუილად სთხოვენ სააკაშვილის შეწყალებას.** ახლა რომ შეიწყალოს, ისევ დაიჭერენ. ევროპაში გააცნობიერეს, **როდესაც ჩვენ არ მოგვცეს კანდიდატის სტატუსი უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად, მათი მხრიდან ეს სერიოზული შეცდომა იყო.**

„ახალი თაობა“

### გიორგი ხელაშვილი
*პარლამენტარი*



ფაქტობრივად, **სააკაშვილი პატიმრის როლში არასდროს ყოფილა,** ვინაიდან მას, პრაქტიკულად, თავისი საკანი და შემდეგ საავადმყოფოს პალატა ოფისად ჰქონდა გადაქცეული.

„TV იმედი“

### კახა კემოკლიძე
*პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი*



**„ქართული ოცნება“ ძალაუფლებაში გაირყვნა!**

„ახალი თაობა“

## უფლებადამცველის სიტყვა

ბელი განაჩენის საფუძველი და ხაჭაპურიძე ითხოვს, კიდევ ერთხელ დაჰკითხეთ ეს მოწმეები, **ახლა სააკაშვილის სასარგებლო ჩვენება უნდა მისცენო.**

იქამდე მიდის ხაჭაპურიძის უტიფრობა და შავზე თეთრის მტკიცება, რომ სააკაშვილის მიერ საქართველოს საზღვრის მალულად, უკანონოდ გადმოკვეთის მიზეზი და მიზანი საქართველოში არეულობის მოწყობა და სახელმწიფო გადატრიალების გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდება კი არ იყო (რასაც თვითონ სააკაშვილი თავის მოწოდებებში არც მალავდა), არამედ თითქოს იმისთვის შემოიპარა, რომ სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო: **„იცოდა რა, რომ საქართველოში ჩამოსვლისას დააპატიმრებდნენ, მიხეილ სააკაშვილმა მაინც გადადგა მამაცური ნაბიჯი და ამ გამოწვევას არ შეუშინდა ისევე, როგორც იცოდა რა, რომ მართლმსაჯულების რეპუტაცია მაღალი არ იყო, მაინც არ შეუშინდა უკანონობის გარემოების არსებობას და მაინც წარდგა საქართველოს სახელმწიფოს მართლმსაჯულების წინაშე“.**

სასამართლო პროცესზე ხაჭაპურიძემ ექსპერტ **ალექსანდრე ბეჟაძეს** ცილი დასწამა, რომ ის ისეთ ექსპერტიზის დასკვნებს წერდა, რასაც ხელისუფლება უკვეთდა.

ხოლო გადაცემაში, ჟურნალისტ ვახო სანაიას ჩაკითხვაზე განაცხადა, ამ თემაზე მე მეტად აღარ ვისაუბრებ, ეს მხოლოდ სასამართლო სხდომაზე ვთქვი, რადგან იქ ასე იყო საჭიროო. მოკლედ, კაცი პროცესზე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში დაადანაშაულა, მერე კი თქვა, საქმეს ასე სჭირდებოდა და იმიტომ ვთქვიო. მოკლედ, **ადვოკატ ხაჭაპურიძეს ასე ესმის ადვოკატობა, რომ, თუ საქმეს სჭირდება, ნებისმიერი სისაძაგლე შეიძლება ჩაიდინო პროცესზე,** რადგან იქ ბრძოლა წესების გარეშე მიმდინარეობს.

ხაჭაპურიძე აცხადებს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლადაც ვმუშაობდი, სასამართლოს თავმჯდომარედაცო და ხომ წარმოგიდგენიათ, ამ მორალის კაცი იმ თანამდებობებზე რამდენ უდანაშაულო ადამიანს გააუბედურებდა, როცა „საქმეს სჭირდებოდა“.

კიდევ უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება ამ გამრუდებული კაცის საქმიანობიდან, რაც ძალიან შორს წაგვიყვანს და სიტყვას გაგვიგრძელებს.

მოკლედ, შალვა ხაჭაპურიძე ამბობს — **„როცა ვიტყვი ასეო, უნდა იყოს ასეო, როცა ვიტყვი ისეო, უნდა იყოს ისეო“. ბატონო შალვა, თქვენ შეცდით, ასეთი ეპიზოდი ნამდვილად არის ქართულ მხატვრულ ფილმში „მანანა“ და არა ქართულ სამართალში.**



კადრი ქართული მხატვრული ფილმიდან „მანანა“

## პარალელური ბიოგრაფიები





# ორი სომხის ისტორია

***სერიული მკვლელის, ნარკომანის, აფერისტის, გარყვნილი ჯალათისა და ბიუჯეტის ქურდის, ლაჩარი სააკაშვილის პირადი ტყვე ვლადიმერ ვლადიმერის ძე არუთინიანი 17 წელია, ზის ციხეში არაფრის გამო — ნაპრეზიდენტალისაგან განსხვავებით, მას არავინ მოუკლავს, არ გაუძარცვავს, არ გაუუპატიურებია, არც უწამებია და არც საქართველოს მიწები დაუკარგავს.***

სიმარტოვეში — მნახველების, ექიმების, ადვოკატების, სიმპათიებისა და ემპათიების გარეშე — იგი ფრანგ კლასიკოსებს კითხულობს ორიგინალში, ანუ ფრანგულად. **არ ჩივის და პრეზიდენტისგან არც შეწყალებას ითხოვს — ფრანცუჟანკა მეძვირეა, ვოვას კი ფული არა აქვს.** ღრმად მოხუცი დედამისი, ფრანგულის მასწავლებელი, ბაზრის შემოსასვლელში თითმოჭრილ ხელთათმანებში ხელსახოცებსა და ცელოფნის პარკებს ყიდის ***(თითო გაყიდულიდან 2 თეთრი რჩება)***, ზამთარ-ზაფხულ უმამოდ გაზრდილი შვილისთვის ციხეში მისატანი ამანათის ფულს აგროვებს. არადა, ვოვასთან დედის გარდა, პაემანზე არავინ დადის, ცოლის მოყვანა ვერ მოასწრო — 27 წლის იყო, როცა დააპატიმრეს, დღეს 44 წლისაა... სამუდამო აქვს მისჯილი, მაგრამ არაკაცი ნაცები მის განთავისუფლებაზე არ ფიქრობენ, **დედიკო გი(ჟ)ული** კი ქალბატონ ანჟელასგან „სალფეტკებს“ არ ყიდულობს, მხოლოდ უსახური „პამპერსის ხიდზე“ მიმოდის და თავის ნაშიერს დავით აღმაშენებელს ადარებს. აი, ასეთია **ორი სომხის ისტორია** — მიშასი და ვოვასი, არაკაცისა და კაცური კაცის...


პატიმარ ვლადიმერ არუთინიანის დედა ანჟელა არუთინიანი

### ბოლოთქმა

*თბილისში „ცე-რე-უ“-ს (CIA) სპეცოპერაცია **„თავდასხმა პრეზიდენტზე“** თავიდან ბოლომდე იყო დადგმული სპექტაკლი, მათ შორის, ქართული ძალოვანი სტრუქტურების **(სოდ-ი, კუდ-ი, პატრული)** მიერ. სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის მიერ არუთინიანის აყვანისას კუდ-ის თანამშრომელი **ზურაბ ქვლივიძე** იქნა მოკლული. იგი ემსხვერპლა არა არუთინიანის, არამედ ვაშლიჯვარში ალყაშემორტყმულ სახლთან ჩასაფრებული ერთ-ერთი თანამშრომლის გასროლილ ტყვიას. არუთინიანის მკვლელობა, რაც სააკაშვილის რეჟიმს ჰქონდა ჩაფიქრებული, **ემსახურებოდა ოთხი თვით ადრე მოკლული ზურაბ ჟვანიას მკვლელობის გადაფარვას და ქართველებსა და სომხებს შორის ეთნიკური შუღლის გაღვივებას.** დადგა დრო, დაუყოვნებლივ დაიკითხოს შსს მაშინდელი პრესსამსახურის უფროსი **გურამ დონაძე,** იგი ყველაფრის საქმის კურსშია.*

**არნო ხიდირბეგიშვილი**


პატიმარ მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია

## კვირგვინოსნები

**პეტრე მამრაძე**
*ექსპერტი*



**სააკაშვილი** გასამართლებულია, არის პატიმარი, **როგორც პატიმარი არ იმყოფება ციხეში, არის ერთ-ერთ ფეშენებელურ საავადმყოფოში, ჩიტის რძე არ აკლია,** ექიმები და პერსონალი თავს ევლებიან, ექცევიან, როგორც კაპრიზ უფლისწულს.

„რეზონანსი“

**ბონდო მძინარაშვილი**
*ჟურნალისტი*



დაიმახსოვრეთ! **მანიაკის გარეთ გამოშვებას დიდი სისხლისღვრა მოჰყვება,** რადგან შურისძიებით აღვსილი მანიაკი მთელ ბოღმას გაასმაგებულად გადმოანთხევს. ამიტომ **დაუშვებელია მისი შეწყალება ან სხვა ფორმით გამოშვება!**

„ალია“

**თენგიზ დიხამინჯია**
*უზენაესი საბჭოს დეპუტატი*



**სააკაშვილი** იმ ქვეყანაში უნდა გადაიყვანონ, რომელიც ფეხზე დააყენებს და მერე უკან დააბრუნებს. **მე ამ სასამართლოს არ ვენდობი, რადგან ეს არის მიხეილ სააკაშვილის ნარჩენები.** ამიტომ, როდესაც სააკაშვილი საქართველოში ჯანმრთელი დაბრუნდება, **ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა უნდა გაასამართლოს და მიუსაჯოს ის, რისი ღირსიც არის.**

„ახალი თაობა“

**ანდრო ბარნოვი**
*მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი*



რომ არა ის უთვალავი შეცდომა და გადაცდომა, **დღეს ეს ბიონაგავი არ გვეყოლებოდა ხელისუფლებაში.** ოდესმე, მალე, ამოვალთ ამ ჭაობიდან. და ამის შემდეგ **კეტით და ფურთხით უნდა გავყაროთ ყველა, ვინც ერთი ღამის განმავლობაში არ შეცვლის სასამართლოს, არ დაეხსნება მედიას,** ვინც იტყვის, რომ გზა კორუფციაზე მნიშვნელოვანია, შადრევანი — ჰუმანურობაზე, გეოპოლიტიკა კი — დემოკრატიაზე მნიშვნელოვანი.

„აიპრესი“

# რა მოვიმოქმედოთ, ახალი წლის სუფრამ ღვიძლი რომ არ დაგვიზიანოს

***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ საშიშროების შესახებ გვაფრთხილებს, რომელსაც სადღესასწაულო სუფრები და, განსაკუთრებით, ახალ წელს გაჩაღებული სმა-ჭამა ღვიძლს უქადის:***



## ღვიძლის დაზიანების სტადიები




## კახა საბახტარიშვილი:

## ყველა ის პროდუქტი, რომელიც რკინას, თუთიასა და D ვიტამინს შეიცავს, ღვიძლისთვის ძალიან სასარგებლოა!

— ახალი წლის დღეებში, როცა ქართველების აბსოლუტური უმრავლესობა დიდი ოდენობით ცხიმიან საჭმელსა და ალკოჰოლურ სასმელს იღებს, ყველაზე დიდი დატვირთვა და ზიანი ღვიძლს ადგება. ძველი ჩინელები ღვიძლს „გულის მეგობარს“ უწოდებდნენ და იქვე აღნიშნავდნენ, რომ ის „მთელი ორგანიზმის დედაა“. **ესპანეთში, ქალაქ ბალლონში, ღვიძლს ძეგლიც კი დაუდგეს წარწერით — „ღვიძლი, რომელიც სიცოცხლეს გვჩუქნის!“** ცხადია, ეს არ გახლავთ გადაჭარბებული აზრი, რადგან ღვიძლს ხუთასამდე ფუნქცია გააჩნია და ყოველ ერთ წუთში მასში მილიონამდე ქიმიური რეაქცია ხდება. ღვიძლი ორგანიზმის ფილტრია და ყველა ჭუჭყი, მიკრობი თუ ბაქტერია, რომელიც სუნთქვისას და საჭმლის მიღებისას ორგანიზმში ხვდება, ჯერ ღვიძლს გაივლის. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ **1 საათში ღვიძლი 100 ლიტრამდე სისხლს ფილტრავს, დღე-ღამის განმავლობაში კი — 2 ათას ლიტრზე მეტს.**




ღვიძლის ფუნქციების შესახებ საუბარი უსასრულოდ შეიძლება გავაგრძელოთ, მაგრამ ამჯერად ვიტყვით მხოლოდ ერთს — **ნორმალურ პირობებში ადამიანის ღვიძლის რესურსი 300 წლის განმავლობაში განუწყვეტელ მუშაობაზეა გათვლილი, მაგრამ ჩვენი არასწორი ცხოვრების წესი განაპირობებს იმას, რომ ყოველწლიურად დედამიწაზე ღვიძლის კიბოთი დაახლოებით 60 მილიონი ადამიანი იღუპება, ხოლო ციროზით — 50 მილიონამდე.** ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ნებისმიერი პანდემიის შედეგად გარდაცვლილთა რიცხვს, მათ შორის, ესპანური გრიპის, ანუ ე.წ. „ისპანკის“ მსხვერპლთა რაოდენობას, რომელმაც 1918-1921 წლებში მსოფლიოში 100 მილიონამდე ადამიანი მოკლა.

**— ბატონო კახა, მაინც რა ვნებს ყველაზე მეტად ღვიძლს?**

— ბევრს მიაჩნია, რომ ღვიძლის ნომერ პირველი მტერი ალკოჰოლია, არადა, არიან ადამიანები, რომლებსაც ალკოჰოლური სასმელი ცხოვრებაში არ დაულევიათ, მაგრამ ღვიძლის ციროზი ან კიბო მაინც დაემართათ! ღვიძლის მტრებს შორის ალკოჰოლი მესამე ადგილზეა, მეორე ადგილს **„ბე“ და „ცე“ ჰეპატიტი** იკავებს, ხოლო პირველი ადგილი უპირობოდ ეკუთვნის **ცხიმების ჭარბად მოხმარებას.** საქმე ის გახლავთ, რომ ცხიმიანი საკვების ხშირი მიღებისას ცხიმები ღვიძლის უჯრედებში — ჰეპატოციტებში ლაგდება, მათი გადამუშავება ვერ ესწრება და იწყება ღვიძლის ანთება. საბოლოო ჯამში ასეთი ღვიძლის უჯრედები ცხიმოვანი მასით იცვლება, რასაც **ღვიძლის გაცხიმოვნება,** ანუ **ღვიძლის ცხიმოვანი ჰეპატოზი** ეწოდება. ალბათ, ხშირად გვინახავს საქონლის ღვიძლი, რომელსაც ქონიანი ჩანართები ახლავს. სწორედ ასე გამოიყურება ცხიმოვანი ჰეპატოზით დაავადებული ადამიანის ღვიძლი. თუ ამ პრობლემას ყურადღება არ მივაქციეთ, ღვიძლის ქსოვილი შეიცვლება ნაწიბურიანი, უფუნქციო ქსოვილით, რომელსაც **ღვიძლის ფიბროზი** ეწოდება. **მეოთხე ხარისხის ფიბროზი უკვე ციროზია!**







მთელი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ღვიძლს ტკივილის უნარი საერთოდ არა აქვს და სანამ საქმე ციროზამდე არ მივა, შესაძლოა, ადამიანი ვერც კი მიხვდეს, რომ ღვიძლი აწუხებს! **თუ ცხიმოვანი ჰეპატოზის პრობლემა დროულად გამოვავლინეთ, მაშინ წონის დაკლებით, ცხიმოვანი საკვებისა და ალკოჰოლის შეზღუდვით შესაძლოა, პროცესის პირუკუ განვითარებას მივაღწიოთ და ღვიძლი პირვანდელ, ჯანსაღ მდგომარეობას დავუბრუნოთ!** ღვიძლი ერთადერთი ორგანოა, რომელსაც რეგენერაციის, ანუ აღდგენის უნარი აქვს. ახალგაზრდა, ჯანმრთელმა ადამიანმა თავისი ღვიძლის ნახევარი დონორის რანგში რომც გასცეს, ორ თვეში იგი პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდება და სრულად აღდგება, რაც არცერთ სხვა ორგანოს არ ახასიათებს.

***— როგორ უნდა მივხვდეთ, გვაქვს თუ არა ცხიმოვანი ჰეპატოზი?***

— ჭარბი წონა და ცხიმიანი საკვების ხშირად მიღება **ცხიმოვანი ჰეპატოზის** რისკს საგრძნობლად ზრდის! ასეთმა ადამიანებმა აუცილებლად უნდა ჩაიტარონ ღვიძლის ბიოქიმიური ფერმენტული ანალიზი. ღვიძლს განსაკუთრებულ კატასტროფას უქმნის ე.წ. **ტრანსცხიმები.** მცენარეული ცხიმები, ანუ ზეთები, გარდა ქოქოსისა და კაკაოს ზეთისა, ყველა თხევად მდგომარეობაშია, ხოლო ცხოველური ცხიმები, თევზის ქონის გარდა, ყველა მყარია. **საერთოდ, უვნებლად მიჩნეულია მცენარეული ცხიმები, ანუ ზეთები, მაგრამ იმ პირობით, თუ ისინი არარაფინირებული, ანუ გაუფილტრავი და თერმული წესით მაღალ ტემპერატურაზე დაუმუშავებელი იქნება.** რაც შეეხება ტრანსცხიმებს, რომლებიც ღვიძლს ანადგურებს და მათი ხშირი მოხმარება კიბოსაც იწვევს, მათი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული პროდუქტია **მარგარინი,** რომელიც დაბალი ხარისხის მცენარეული ზეთის ჰიდროგენიზაციის შედეგად მიიღება. **ჰიდროგენიზაციის დროს რომელიმე მცენარეულ ზეთს მაღალ ტემპერატურაზე გააცხელებენ და წყალბადის ატომებით „დაბომბავენ“, რის შედეგადაც**

## „ე.წ. საცხობებში ნაყიდი ლობიანი და ხაჭაპური, რომლებსაც კარაქის ნაცვლად თავზე მარგარინი აქვთ გადასმული, საშინელ გულძმარვას იწვევს!“

## კვირგვინოსნები

**ოთო აბესაძე**
*ეკონომიკის ექსპერტი*



შარშან ახალ წელს რაც ჯდებოდა **საშუალო სტატისტიკურად საახალწლო სუფრა,** დღეს ზუსტად იგივე ჯდება **85 პროცენტით ძვირი.**

„ახალი თაობა“

**ონისე ონიანი**
*მსახიობი*



ვცდილობ, საცივიც მე გავაკეთო, გოზინაყიც და ოჯახი გავანებივრო. ჩემმა მეუღლემ ასე მიწოდა — **შენ ხარ ჩემი მონა-პოვარიო.** მე გადავთარგმნე, ესე იგი, **მონაცა ვარ და პოვარიცმეთქი.**

„თბილისელები“

**ლელა წურწუმია**
*მომღერალი*



ხშირად არის ასეთი რეპლიკები — **რა დროს სიმღერააო!** მათ ავიწყდებათ, რომ ეს ჩემი სამსახურია. ხშირად ჰგონიათ, მომღერალი სცენაზე რომ დგას, ერთობა, რეალურად კი ჩვენ ვმუშაობთ და მსმენელი ერთობა. **ხანდახან სული არ მემღერება,** მაგრამ რა ვქნა, ეს ჩემი საქმეა.

„სარკე“

**ხვიჩა მაღლაკელიძე**
*გიტარისტი, იუმორისტი*



**გისურვებთ, რაც შეიძლება ცოტა პრობლემას ცხოვრებაში** და თუ მაინც შეგხვდათ, მათი ღიმილითა და იუმორით გადაჭრას. **მაგალითად, მოგივიდა გაზის გადასახადი 400 ლარი — მოკვდი სიცილით,** აბა, მეტი რა უნდა ქნა...

„კვირის პალიტრა“

**დალი ჩიტალაძე**
*მოდის ექსპერტი*



**ყველას მოვუწოდებ, არ ვიყოთ ვულგარული...** არავინ ვართ სრულყოფილი, ყველას გვაქვს ნაკლიც და პლიუსიც. ამიტომ უნდა **ჩავიცვათ ისე, რომ ნაკლი დავმალოთ და ჩვენს პლუსს ხაზი გავუსვათ.**

„კვირის პალიტრა“

**მცენარეული ზეთი თხევადი მდგომარეობიდან მყარ მდგომარეობაში გადადის.** ამ მეთოდის აღმოჩენისთვის ფრანგმა ქიმიკოსმა **პოლ საბატიემ** 1912 წელს ნობელის პრემია მიიღო და თითქოს კაცობრიობამაც გადალახა პროდუქტების მალფუჭებადობის პრობლემა. მოგეხსენებათ,

## ჰიდროგენიზებული მცენარეული ზეთი, ანუ იგივე მარგარინი და მისგან დამზადებული პროდუქტები დიდხანს ინახება. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მარგარინს საკვებად ვირთხა და თაგვიც კი არ ეკარება!

**არადა, ამ დროს საქართველოში მთელი საკონდიტრო წარმოება, ე.წ. საცხობები ძირითადად სწორედ მარგარინსა და სპრედებს მოიხმარს.** ამიტომაა, რომ ე.წ. საცხობებშინაყიდი ლობიანი და ხაჭაპური, რომლებსაც კარაქის ნაცვლად თავზე მარგარინი აქვთ გადასმული, საშინელ გულძმარვას იწვევს! მიზეზი მარტივია — კუჭის წვენს მარგარინის, როგორც ტრანსცხიმის გადამუშავება ძალიან უჭირს! არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რას უზამს მარგარინიანი საკვები ღვიძლს.

**— საახალწლო სუფრაზე განსაკუთრებით ჭარბობს მაიონეზიანი პროდუქტები. ვნებს თუ არა მაიონეზი ღვიძლს?**

— ის ფაქტი, რომ მაღაზიაში ნაყიდი მაიონეზი დიდხანს ინახება, უკვე აშკარად იმის მანიშნებელია, რომ ტრანსცხიმებს შეიცავს. აქედან გამომდინარე, მაიონეზი ცხადია, ღვიძლს ვნებს. ჯანსაღი მაიონეზი ოჯახურ პირობებშიც შეიძლება მოვამზადოთ ყოველგვარი მარგარინის გარეშე. **საახალწლო სუფრა წარმოუდგენელია სხვადასხვა კანფეტების, შოკოლადების, ორცხობილების, ნამცხვრებისა და ტორტების გარეშე. თითოეულ ამ პროდუქტში ტრანსცხიმების ხვედრითი წილი 30-40 პროცენტია, არადა, უცხოეთის მთელ რიგ ქვეყნებში აკრძალულია ის პროდუქტები, რომლებიც ტრანსცხიმებს შეიცავენ.** მაგალითად, კანადაში, სკანდინავიასა და სინგაპურში ტრანსცხიმების საკვებად გამოყენება საერთოდ აკრძალეს, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე მიიღეს კანონი, რომელიც მწარმოებელს ავალდებულებს, პროდუქტზე მიუთითოს ტრანსცხიმების შემცველობის შესახებ. **ტრანსცხიმის გარეშე არცერთი პროდუქტი არ შეინახება,**




**მაგრამ მისი ხვედრითი წილი 2 პროცენტზე მაღალი არ უნდა იყოს!** სწორედ ეს ნორმაა მიღებული რუსეთში, ხოლო საქართველოში ამ მხრივ სრული განუკითხაობაა. თუმცა, ერთი სასიკეთო რამ ბოლო დროს ჩვენშიც მოხდა და, ბოლოს და ბოლოს, კანონის ძალით განისაზღვრა — რა არის **კარაქი** და რა არის **სპრედი.** მწარმოებელი საქართველოში პროდუქტს **„კარაქს“** ვერ დააწერს, თუ მისი ცხიმიანობა **82,5 პროცენტზე** დაბალია!

**— ამბობენ, რომ ღვიძლს არაყზე უფრო ლუდი ვნებს, მართალია?**

— მართალია, ლუდი ღვიძლს არაყზე მეტად ვნებს! ლუდის წარმოების ტექნოლოგიაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ალაოს ფერმენტაციისას გამოიყენება აზოტის ნაერთები, რომლებსაც **ნიტროზამინები** ეწოდება. ასეთი ტექნოლოგიით მომზადებული ლუდი ღვიძლს პირდაპირ ანგრევს. უფრო მეტიც, შესაძლოა, ღვიძლის კიბოც კი გამოიწვიოს, რადგან ნიტროზამინები კიბოს გამომწვევი კანცეროგენია!

**ილია ჭავჭავაძე,** რომელსაც ლუდი სძულდა, აბსოლუტურად მართალი იყო, როცა მას **„ვირის შარდს“** უწოდებდა! სწორად მომზადებული ლუდი

## „მსოფლიო ფარმაცევტული მაფიის მიერ მიჩქმალული „ალოხოლისა“ და „ლივ-52“-ის სიკეთე!“






და ისიც დღეში 300 გრამის ოდენობით, ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა, მაგრამ ასეთი ლუდი დღეს თითქმის აღარ მზადდება. ცნობისათვის, ლუდი ერთადერთი ალკოჰოლური სასმელია, რომელიც მცირე რაოდენობით ორსული და მეძუძური დედებისთვის რეკომენდებულია!

ღვიძლს ძალიან ვნებს **ძეხვეული,** რომელიც ასევე საახალწლო სუფრის განუყოფელი ნაწილია. როცა ძეხვს, სარდელსა და სოსისს ვყიდულობთ, აუცილებლად მივაქციოთ ყურადღება, შეიცავს თუ არა კონსერვანტ **ნატრიუმის**

## „როცა ძეხვს, სარდელსა და სოსისს ვყიდულობთ, აუცილებლად მივაქციოთ ყურადღება, შეიცავს თუ არა კონსერვანტ ნატრიუმის გლუტამატს, ანუ „E-621“-ს, რომელიც ღვიძლის დაუძინებელი მტერია!“

**გლუტამატს,** ანუ „E-621“-ს, რომელიც ღვიძლის დაუძინებელი მტერია. ნატრიუმის გლუტამატი არღვევს ღვიძლის უჯრედების კედლებს, მის ადგილზე ვითარდება შემაერთებელი ქსოვილი, შემდეგ ნაწიბური და ბოლოს ციროზი... გვახსოვდეს, რომ სიცხის დამწევი ცნობილი პრეპარატის — **პარაცეტამოლის** ალკოჰოლთან ერთად მიღება ღვიძლს შლის!

**— ბატონო კახა, რომელი პროდუქტები „მეგობრობენ“ ღვიძლთან?**

— ყველა ის პროდუქტი, რომელიც რკინას, თუთიას და „დ“ ვიტამინს შეიცავს, ღვიძლისთვის ძალიან სასარგებლოა! **რკინა** ძალიან ბევრია ხბოს ღვიძლში, **თუთია** — გოგრის თესლში, ხოლო **„დ“ ვიტამინი** — სკუმბრიასა და ქაშაყში. ღვიძლის საუკეთესო „მეგობარია“ ქატოც: დღეში 30 გრამი ქატოს მიღებით ნაწლავების კედლებს ცუდი ქოლესტერინის, კანცეროგენების, შლამებისა და ათასი მავნე ნივთიერებისგან გავწმენდთ და მათი გადამუშავება ღვიძლს აღარ მოუწევს.

**ღვიძლისთვის უებარი წამალია ზეითუნის ზეთი. დღეში 30-40 გრამი ზეითუნის ზეთის მიღებით, ჩვენ ცხიმებს გადავქაჩავთ ღვიძლისკენ, სადაც მათი განეიტრალება და უვნებელ ნივთიერებად გარდაქმნა მოხდება.**

## ღვიძლის ცხიმოვანი დისტროფიის, ანუ გაცხიმოვნების მტერი წონაში დაკლებაა. ადამიანმა წონაში 10 პროცენტიც რომ დაიკლოს, ღვიძლის მაჩვენებელი ნორმაში მოვა.

მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს შიმშილობის გზით, რადგან შიმშილობა ღვიძლს ვნებს!

**— როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ღვიძლს სერიოზული პრობლემა აქვს?**

— თუ მარჯვენა ფერდქვეშ სიმძიმე, პირში სიმწარის შეგრძნება, მუცლის შებერვა, შარდის ფერის შეცვლა, ფრჩხილებისა და კანის შეყვითლება ვიგრძენით, ეს უკვე ღვიძლის სერიოზულ პრობლემაზე მიგვანიშნებს. გარდა ამისა, **ღვიძლის ფუნქციის დარღვევას უკავშირდება ცუდი კანი, სახსრების ხშირი ტკივილი, მუდმივი დაღლილობის შეგრძნება, უმიზეზო ალერგია, ძილიანობა, დეპრესია, ქუთუთოების ჩამუქება, უმიზეზო სისხლჩაქცევები, მუდმივად გაწითლებული ხელისგულები...** თუ ეს სიმპტომები გვაქვს, აუცილებლად უნდა ჩავიტაროთ ღვიძლის სერიოზული გამოკვლევა!

ღვიძლისთვის არაჩვეულებრივია მცენარე **ბაყაყურა,** რომელიც შეიცავს სილიმარინს და ღვიძლის უჯრედების როგორც დამცავი, ასევე აღმდგენი ფუნქცია გააჩნია. ბაყაყურასგან დამზადებული ჰომეოპათიური პრეპარატ **„კარდუს მარიანუსით“** ციროზისკენ მიმავალი არაერთი სახიფათო პროცესი გამინეიტრალებია. მსოფლიო ფარმაცევტულმა მაფიამ რატომღაც გვერდზე გასწია და მიჩქმალა უნიკალური ანტიმიკრობული, ნაღვლმდენი და კუჭ-ნაწლავის მოქმედების გამაძლიერებელი საშუალება **ალოხოლი,** რომელიც აბსოლუტურად ბუნებრივი შემადგენლობის წამალია. იგი შეიცავს ცხოველის ნაღველს, ნიორის ექსტრაქტს, ჭინჭარსა და გააქტიურებულ ნახშირს. „ალოხოლი“ არის უიაფესი და, ამავდროულად, ძალზე ეფექტური პრეპარატი, რომელიც თავის ძვირადღირებულ ანალოგებს ბევრად სჯობს. იგი იდეალურია მუცლის შებერილობის, პანკრეატიტის, ქოლეცისტიტის, შეგუბებითი პროცესების სამკურნალოდ და ღვიძლის რეგენერაციული უნარის აღსადგენად. ღვიძლისთვის ასევე საუკეთესოა ძველი ინდური მედიცინის — „აიურვედას“ პრინციპებით შექმნილი მცენარეული პრეპარატი **„ლივ-52“,** რომელიც უძლიერესი ნაღვლმდენი და ჰეპატოპროტექტორია. საერთოდ, „აიურვედური“ მედიცინა სრულ თანხმობაშია ძველქართულ, კერძოდ, კოლხურ მედიცინასთან. პრეპარატი **„ლივ-52“** ინდოეთში თითქმის 100 წელია, არსებობს. საუბედუროდ, ჩემი კოლეგები, ალოხოლის მსგავსად, არც „ლივ-52“-ს წყალობენ და პაციენტებს მის ძვირადღირებულ ანალოგებს უნიშნავენ, რაც ისევ და ისევ მსოფლიო ფარმაცევტული მაფიის შავბნელი პოლიტიკის გამოძახილია!




*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ტარიელ ხარხელაური**
*პოეტი*



**ერთმანეთის სიყვარული დაგვაბედე, ახალო წელო!**

„ახალი თაობა“

**თამარ ივერი**
*ოპერის მომღერალი*



დავიღალე, რამდენი წელია, მესმის — **ნაცი, ქოცი.** მინდა, სხვა ცხოვრებით ვაცხოვრო შვილები. მინდა, სანამ ახალგაზრდა ვარ და ჯერ კიდევ შემიძლია ბევრი რამის გაკეთება, **წავიდე და ისევ ჩემი ქვეყნისთვის, ჩემი ქვეყნის სახელისთვის ვიმღერო!**

„სარკე“

**ტრისტან სარალიძე**
*მსახიობი*



**ჩემს ცოლს ხმამაღლა ვუხდი მადლობას სიყვარულისთვის, ოჯახისთვის, ერთგულებისთვის.**

ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ **რობერტ სტურუა** გახდებოდა ჩემი მეგობარი. სიზმარშიც რომ ეთქვა ვინმეს, დადგება დრო, დაურეკავთ ერთმანეთს, შეეხმიანებით, რჩევას ჰკითხავო, სასაცილოდ არ მეყოფოდა.

„სარკე“

**თემურ ბაბლუანი**
*რეჟისორი*



ყველა ადამიანი თავისი **ნაცხოვრები ცხოვრების** შედეგია.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ფხაკაძე**
*საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტი*



**ჩინეთიდან ფრენა უნდა აიკრძალოს** რაც შეიძლება მალე. **პირბადეები მოიმარაგეთ!**

„რეზონანსი“

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!





პეტრო პოროშენკო და მიხეილ სააკაშვილი

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

მიხეილ სააკაშვილი თავის მემუარებში, პრაქტიკულად, არ საუბრობს, როგორ გაიქცა საქართველოდან საპრეზიდენტო უფლებამოსილების ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე! ანუ, როდესაც 2013 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში, საქართველოდან გაფრინდა, ის ჯერ კიდევ პრეზიდენტი იყო, რადგან მომდევნო პრეზიდენტი მარგველაშვილი მხოლოდ 2013 წლის 28 ოქტომბერს იქნა არჩეული! არადა, სააკაშვილის მემუარების კითხვისას, ვინც მისი საქართველოდან გაქცევის შესახებ არაფერი იცის, ექმნება შთაბეჭდილება, რომ მემუარისტი პრეზიდენტობის შემდეგაც ისევ „საქართველოს აღმშენებლობაშია“ ჩართული:

> ***„ჩემი საპრეზიდენტო უფლებამოსილება ამოიწურა 2013 წლის შემოდგომაზე. პრეზიდენტობის შემდეგ რა უნდა აკეთოს ჯანღონითა და ენერგიით სავსე ადამიანმა? ყოფილი პრეზიდენტები ხშირად ქველმოქმედებას ეწევიან ხოლმე. მრავალი ბიზნესმენი, ვისაც ყოველთვის ვეხმარებოდი და არაფერს ვთხოვდი პასუხად, მათ შორის უცხოელებიც, მთავაზობდნენ ჩემთვის საფრანგეთის სამხრეთით სახლის ყიდვას. მე ვუპასუხე, რომ არაფერი მჭირდება, თუმცა, საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის გახსნა მშვენიერი იდეაა“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“ გვ. 249).*

აი, ასე გაჩნდა თბილისში მიხეილ სააკაშვილის სახელობის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა! რა თქმა უნდა, სააკაშვილი ისევ ჩვეულად თვალთმაქცობს, ნახეთ, ჩემი მადლიერი ბიზნესმენები ფრანგულ რივიერაზე სახლის ყიდვას მთავაზობდნენ, მაგრამ უარი ვუთხარიო, თუმცა, ჩემი სახელობის ბიბლიოთეკა სიამოვნებით ავაშენეთ ერთადო! არადა, სააკაშვილმა იმდენი მოქაფა პრეზიდენტობისას, რომ, როგორც ცნობილია, საფრანგეთის ხმელთაშუაზღვისპირეთშიც აქვს სახლი და ამერიკული მაიამის მულტიმილიონერთა სანაპიროზეც... **შემდეგ მემუარისტი თავის უკრაინული ეპოპეის აღწერაზე გადადის. როგორც გვიმტკიცებს, 2014 წლის თებერვლის „მაიდნის რევოლუციის“ შემდეგ შემთხვევით მოხვდა უკრაინის ხელისუფლებაში, როდესაც უკრაინაში პრეზიდენტ იანუკოვიჩის ხელისუფლება დაამხეს და ვაკუუმი პოროშენკოს გაპრეზიდენტებით შეივსო:**

> *„იყო მოლოდინი, რომ 2014 წლის შემოდგომის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ უკრაინული რეფორმები როგორმე დაიძვრებოდა ადგილიდან.* ***თავდაპირველად ქართველები გუნდში მიიპატიჟა იუსტიციის მინისტრმა პავლე პეტრენკომ. პოროშენკოს მოეწონა ახალ მთავრობაში უცხოელების მიპატიჟების იდეა. ამ გზით მას სურდა, იაცენიუკის მთავრობა გაეზავებინა არა პარტიული კვოტით, არამედ უფრო დამოუკიდებელი ფიგურებით. პრეზიდენტის ადმინისტრაცია დაუკავშირდა ლევან ვარშალომიძეს და შესთავაზა მას პირველი ვიცე-პრემიერობა. „მიშა რას ფიქრობს ამის შესახებ? — იკითხა ლევანმა. — იქნებ თვითონ დათანხმებოდა ამ როლს?“ მე დამირეკა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაშინდელმა უფროსმა ბორის ლოჟკინმა და შემომთავაზა პირველი ვიცე-პრემიერის თანამდებობა“*** *(იქვე, გვ. 259).*

სააკაშვილი ამ დროს ნიუ-იორკში ცხოვრობს და უფრო მეტს საქართველოში ძალაუფლების დაბრუნებაზე ფიქრობს, ვიდრე უკრაინაში პოლიტიკურ კარიერაზე! მაგრამ მისივე გადმოცემით, მაშინვე გაქანდა უკრაინაში:

> ***„ჩამოვფრინდი ნიუ-იორკიდან კიევში, შევხვდი მრავალ პიროვნებას. იაცენიუკი, რომელიც ოპოზიციაში ყოფნის დროს მაქებდა და მადიდებდა საჯაროდ თუ პირადად, საშინლად მეპირფერებოდა, ეწინააღმდეგებოდა ჩემს დანიშვნას და შეხვედრაზე უარი განაცხადა. ლოჟკინმა თქვა, რომ მათ შეეძლოთ, ჩემს კანდიდატურასთან დაკავშირებით „თავისი გაეტანათ“, მაგრამ მთავრობაში პრემიერის სურვილის გარეშე რაიმეს შეცვლა არასწორად მომეჩვენა და შევატყობინე ლოჟკინს, რომ უარს ვაცხადებ“*** *(იქვე, გვ. 259).*

აი, ასე გადაურჩა უკრაინა სააკაშვილის გავიცეპრემიერებას — **პრემიერი იაცენიუკი** არ დაჰყვა **პრეზიდენტ პოროშენკოს** სურვილს და არ ჩაასმევინა თავის მთავრობაში **სააკაშვილი** პრემიერის მოადგილედ და „გუგულის ბარტყად“, სააკაშვილი იხსენებს, რომ **კახა ბენდუქიძე,** პრაქტიკულად, დანიშნული იყო უკრაინის ეკონომიკის მინისტრად:

> ***„ეკონომიკის მინისტრად გეგმავდნენ, ბენდუქიძე დაენიშნათ. საქართველოდან ფაქტობრივი გაძევებისა და ამასთან დაკავშირებული განცდების შემდეგ ის ამას განიხილავდა, როგორც ახალ შანსს ცხოვრებაში. ის გულითადად ემზადებოდა, ჩვენ ერთმანეთს თითქმის ყოველდღიურად ვუკავშირდებოდით. თუმცა, მისმა უეცარმა სიკვდილმა ყველაფერი აურ-დაურია — საჭირო გახდა სხვა ავტორიტეტული უცხოელის შერჩევა“*** *(იქვე, გვ. 259).*

უკრაინაში ქართველებს მინისტრებად მთლად სააკაშვილის ნება-სურვილითაც რომ არ ნიშნავდნენ, ეს მემუარისტის ამ პასაჟიდანაც კარგად ჩანს:

> ***„ნიუ-იორკიდან ჩემი რეისით მოფრინავდა კვიტაშვილიც. ჯანდაცვის მინისტრად მისი დანიშვნის იდეის მომხრე მე არ ვიყავი, რადგან ამ თანამდებობაზე საქართველოში ყოფნისას მან ვერაფრით გამოიჩინა თავი. რა კრიტერიუმებით შეარჩიეს იგი, არ მესმოდა. მას ძნელად თუ განვიხილავდი ჭეშმარიტ რეფორმატორად“*** *(იქვე, გვ. 259).*

არადა, **ალექსანდრე კვიტაშვილი** სააკაშვილს თავის მთავრობაში კარგა ხნის მანძილზე ჰყავდა ჯანდაცვის მინისტრად და არც იმის თქმა შეიძლება, რომ ვინმეს უწევდა ანგარიშს და ვერ ხსნიდა თანამდებობიდან! ახლა კი, მემუარებში მთლად ხაზი გადაუსვა და ასე სახალხოდ გამოაჭენა — **მე მაგას რეფორმატორადაც არ მივიჩნევდიო!** სააკაშვილი იხსენებს იმასაც, რომ **ადეიშვილი** კინაღამ უკრაინის გენპროკურორად დაინიშნა:

> ***„ჯერ კიდევ მთავრობის ფორმირებამდე ფიქრობდნენ, გენერალურ პროკურორად ზურაბ ადეიშვილი დაენიშნათ. ოქტომბერში ლოჟკინის მოადგილემ კოსიუკმა, უკრაინის ქათმების ოლიგარქმა, ზურაბის ჩამოსაყვანად ალბანეთში, სადაც ზურა პრემიერ ედი რამას მრჩევლად ახალი დანიშნული იყო, თვითმფრინავიც კი გაგზავნა. საკითხს გადაწყვეტილად მიიჩნევდნენ*** *(ზურაბი წამოვიდა ალბანეთიდან, რამაც რამას სამართლიანი გაბრაზება გამოიწვია),* ***მაგრამ შემდეგ ყველაფერი შეფერხდა“*** *(იქვე. გვ. 260).*

დაბოლოს, სააკაშვილი იხსენებს, როგორ გამოსტყუა **პოროშენკოს** ოდესის ოლქის გუბერნატორობა:

> ***„მთავრობის ფორმირების დასრულების შემდეგ გაჩნდა ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელად ჩემი დანიშვნის იდეა. სანამ მიმდინარეობდა ამ ამბავთან დაკავშირებული კონსულტაციები, მე რამდენჯერმე ვესტუმრე ოდესას. მაშინ ოდესა იწვევდა ბევრ ვნებათაღელვას, ვითარება იქ ფეთქებადად რჩებოდა. პოროშენკოს სურდა, შეეცვალა კოლომოისკის პარტნიორი — გუბერნატორი პალიცა, მაგრამ არ იცოდა, ვინ ჩაენაცვლებინა მის მაგივრად. ისევ ვარშალომიძისკენ მიუწევდათ გული, რადგან ლევანი ძალიან წარმატებულად მართავდა აჭარას. საბოლოოდ, ეს იდეა უარყვეს იმის გამო, რომ ლევანს არ ჰქონდა გამოცდილება უსაფრთხოების სფეროში, ოდესაში კი ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო.*** *ოდესიდან მორიგი ჩამოსვლის შემდეგ მე შევატყობინე პრეზიდენტს, რომ, თუ გუბერნატორი ჯერ კიდევ დანიშნული არ არის, მზად ვარ, იქ წავიდე და ვიმუშაო-მეთქი.* ***პოროშენკომ უმალ გადმომირეკა და სადილზე დამპატიჟა. ჩვენი შეხვედრის დასრულებისთანავე, 24 საათში მომცეს მოქალაქეობა და დამნიშნეს ოდესაში...“*** *(იქვე, გვ. 260).*

„24 საათში მომცეს მოქალაქეობა კი არა, **ოდესის გუბერნატორობისთვის წამში დავთმე საქართველოს მოქალაქეობაო** — აი, ეს არის სიმართლე! რატომ ოდესა?! იმიტომ, რომ ოდესა სტრატეგიული პორტია და იქ უზარმაზარი ფული ტრიალებდა! ჰოდა, აი, ასე გაყიდა სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა დიდ ფულზე!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***


მიხეილ სააკაშვილი უკრაინული პასპორტით

## მიხეილ სააკაშვილი:

# უკრაინის ქათმების ოლიგარქმა ალბანეთიდან ზურაბ ადეიშვილის ჩამოსაყვანად თვითმფრინავი გააგზავნა!



*შუშის ხიდს, რომელიც სააკაშვილმა თბილისს გაუდო და ქალაქის ძველთაძველი უბნის არქიტექტურა თავდაყირა დააყენა, უკანასკნელ ხანს მისი ცნობილი მომბანი პაატა ბურჭულაძე მიეჩვია!*

# რაებს ბოდიალობ, შე მართლა სააკაშვილის მომბანო!

როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ხიდის თავში თახჩით ხელში **კნეინა გიული ალასანია** დგას და ვინც უფრო ხმამაღლა იყვირებს ან იმღერებს — **„ფრიი მიშა!“** ანუ **„გააფრინე მიშა!“** — იმას თურქულ ლირებს ურიგებს! რაც შეეხება დოლარებს, ეჭვობენ, რომ კნეინა გიულის დოლარები ვიოლა კრამონის, კუილიუსის, ანა ფოტიგასა და მისთანა გარეწარი ევროდეპუტატებისთვის აქვს გადანახული!

**ბურჭულაძე,** რომელმაც ეს ხელისუფლება ვერ დაამხო და კაზინოში სათამაშო ფული ვერა და ვერ იშოვა, ბოლოს ისევ პუტინის „კარმუშკას“ მიუცუცქდა და საქართველოს ასარევად თავისი უკანასკნელი არია კვლავ რუსეთში წამოიწყო; თუმცა, როგორც ეტყობა, არც ამჯერად გაუმართლა და იძულებული გახდა, მორიგი **„ხოდი“** ისევ და ისევ სააკაშვილის **ხიდზე** შემდგარს ეცადა.

**„ამაზე გრძელი, ამაზე დიდი, კიდევ გვენახოს თბილისში ხიდი!“** — თქვა წინა საუკუნის შუა წლებში იოსებ გრიშაშვილმა.

მართალია, სააკაშვილმა ენაკვიმატი პოეტის იმედი ვერ გაამართლა და საქართველოში არათუ ახალი ხიდი ვერ ააშენა, არამედ რაც გვქონდა, 2008 წლის აგვისტოში ისიც დაწვა და დაანაწშირა, მაგრამ, სამაგიეროდ, **„ამაზე გრძელი და ამაზე დიდი“** პრეზერვატივიანი ხელკეტები თუ ცოცხები **მეგის ქარდავას, ახალაიებს, კოდუებს, ალექსანდრე მუხაძესა** თუ სხვა მწამებლებსა და მანიაკებს მისცა ხელში.

რაც ძველ თბილისში სააკაშვილმა გადო, სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ მთელი ნაცსექტა და მასთან გათანაბრებული **პოლიტიკური სამყაყეთი** დაიტიოს. **სწორედ ასე მოხდა 2023 წლის 4 იანვარს, როცა „მიშას პამპერსად“ წოდებულ შუშის ხიდზე ელენე ხოშტარიასთან და დანარჩენ ქართველ თუ უკრაინელ მწვალებლებთან ერთად პაატა ბურჭულაძეც გამოგვეცხადა და სიტყვასიტყვით ასეთი რამ გვითხრა —**

> *„მე მინდა ვთქვა, რომ დღეს ვის უყვარს მიშა, ვის არ უყვარს მიშა, არ აქვს მნიშვნელობა. სიტუაცია არის ეგეთი — გადავარჩენთ მიშას, გადავარჩენთ საქართველოს! ვერ გადავარჩენთ მიშას და დავკარგავთ საქართველოს! დღეს ჩვენი მტრები ამიტომ არ ათავისუფლებენ მიშას! გადამწყვეტი მომენტია და ამიტომ ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა!“*

**პაატა ბურჭულაძემ** ეს სიტყვები წარმოთქვა მაშინ, როცა შუშის ხიდზე ქართველ და უკრაინელ სექტანტებს პლაკატი ჰქონდათ გადმოფენილი წარწერით — **„მიშას სიცოცხლისათვის!“,** ხოლო მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში, **მიშმადიდებლები** სააკაშვილის უცხოეთში გადაყვანაზე ღნაოდნენ!

რაც პაატა ბურჭულაძემ სააკაშვილზე თქვა, ასეთი რამ მის თანამედროვე ქართველ ისტორიკოსს აღმაშენებელზეც კი არ უთქვამს — **დავითს თუ დავკარგავთ, საქართველოც დაიკარგებაო!**

მოკლედ, რასაც პროფესორი გიული ალასანია უსირცხვილოდ გაიძახის — **მიშამ ქვეყანა წუმპიდან ამოათრიაო!** პაატა ბურჭულაძეც იმასვე იმეორებს — **მიშა თუ დავკარგეთ, საქართველოც დაგვეკარგებაო!**

არადა, ამ დროს ქართველების აბსოლუტური უმრავლესობა სხვაგვარად ფიქრობს და მიაჩნია, რომ, თუ სააკაშვილი აძაღლდება, ამით საქართველოს კი არ დავკარგავთ, არამედ ქვეყანა დაკარგავს ერთ დიდ მოღალატესა და გამყიდველს, ხოლო ხონისა და სურამის სპეციალიზებული ფსიქიატრიული დაწესებულებები — მღელვარე პაციენტს, რომელსაც გიული ალასანია ბავშვობიდან მკურნალობდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სრულიად უშედეგოდ!




კარგი იყო, ბურჭულაძეს საქართველო მაშინ გახსენებოდა, როცა „კოლხურ კოშკში“ ცხონებულ ზვიად გამსახურდიას შამპანურით სავსე ფუჟერს უჭახუნებდა და ხოტბას ასხმდა, ხოლო ამ ამბიდან სულ ცოტა ხანში ედუარდ შევარდნაძეს უკმია გუნდრუკი.

მოკლედ, პაატა ბურჭულაძის სახით ჩვენ წინაშეა ტიპური მედროვე — **ეძგვერაძე ბარნაბა,** რომელიც დავით კლდიაშვილის აზნაურ სერაპიონ გორდელაძის ძაღლ კუსიასავით „გამაცადინებულია“, — ვის დაეძგეროს და ერთი-ორი მილიონი წალლიტოს!

**პაატა ბურჭულაძევ, როცა სააკაშვილის ხიდზე დგახარ, ერთადერთი „ხოდი“ გაქვს — სააკაშვილთან ერთად უნდა „მოიხოდო“!**

ხოლო თუ რას ნიშნავს მეგრულად **„მოხოდილი“, ბაჩო ახალაიას** ჰკითხე ან სააკაშვილის 35-ლარიან ზონდერგამაუპატიურებელ **თემურ უზირიას** და ისინი ყველაფერში დაგაკვალიანებენ!

***დიტო ჩუბინიძე***





ბარნაბა ეძგვერაძე

**პაატა ბურჭულაძის სახით ჩვენ წინაშეა ტიპური მედროვე — ეძგვერაძე ბარნაბა, რომელიც დავით კლდიაშვილის აზნაურ სერაპიონ გორდელაძის ძაღლ კუსიასავით „გამაცადინებულია“, ვის დაეძგეროს და ერთი-ორი მილიონი წალლიტოს!**

## კვირგვინოსნები

**იმედა კახიანი**
*მსახიობი*



ხშირად მახსენდება ჩემი სტუდენტობა, როცა პლეხანოვზე, ე.წ. იტალიურ ეზოში ვცხოვრობდი, სადაც **ქართველები, სომხები, რუსები, ებრაელები** — ყველა ერთად ვიყავით და საოცარი სიყვარული გვქონდა. ყველაზე მეტად მაშინდელი თბილისი მენატრება. **დღეს სხვადასხვა ეროვნების ხალხი კი არა, ქართველები არ ინდობენ ერთმანეთს.**

„კვირის პალიტრა“

**ფრიდონ სულაბერიძე**
*ანსამბლ „სუხიშვილების“ უხუცესი მოცეკვავე*



ერთხელ ამერიკაში ჟურნალისტმა მკითხა, **თქვენს ქალებს კაბების ქვეშ ბორბლები აცვიათ და ამიტომ დაცურავენ სცენაზეო?** დროებით წასვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ **წლობით რომ არ ნახულობენ სამშობლოს, ეგ არ მესმის.** არ მესმის და რა ვქნა!

„კვირის პალიტრა“

**გიორგი გურგულია**
*მსახიობი*



განგებამ ისე მოახდინა, რომ **ყველა ადამიანს, ვისთანაც ჩხუბი მომსვლია, სანამ გარდაიცვლებოდნენ,** ერთი თუ სამი თვით ადრე, **სადღაც შევხვედრივარ შემთხვევით და შევრიგებულვართ.** ეს მამშვიდებს, არ მინდა, ვინმეს ცუდად დავშორდე. ვიღაცები ქურდობენ და ერგებათ, მაგრამ მე ვხვდები, რომ რამე ისეთი თუ ავიღე, რაც არ მეკუთვნის, გამორიცხულია, შემერგოს.

„თბილისელები“

**ხვიჩა კვარაცხელია**
*საქართველოს ნაკრებისა და „ნაპოლის“ ფეხბურთელი*



როდესაც **მარადონას სახელის თუნდაც მცირე ნაწილი შენთან ასოცირდება,** ეს დიდი პატივია. საქართველო ჩემი ქვეყანაა და მინდა, ყველამ იცოდეს, რომ **საქართველოში ფანტასტიკური ხალხი ცხოვრობს!**

„ახალი თაობა“

**თარაზულად:** 1. შემოდგომის თვე; 6. კურორტი თურქეთში; 7. მეექვსე ნოტი; 8. დანახარჯი ან რისიმე ფასი, რომელიც შემდეგ უნდა გადაიხადონ — ვალი; 11. გარიყრაყი; 12. სელის მოხარშული ზეთი, რომელსაც იყენებენ ზეთის საღებავების დასამზადებლად; 14. ლატვიის დედაქალაქი; 15. ფირნიში; 16. ნაგებობა თვითმფრინავების დასაყენებლად; 18. ამიერიდან, ამის შემდეგ; 19. ქალაქი ესპანეთში; 20. ტიბეტური ხარი; 22. სამხედრო ფორმის ქურთუკი; 23. ფრანგი მწერალი, „კონსუელოს" ავტორი; 26. აქლემების ოჯახის ცხოველი; 27. საფლობი ტალახი; 29. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 31. ლაო ... 32. იტალიელი კინორეჟისორი, „ამარკორდის" ავტორი.

**შვეულად:** 2. უდედმამო; 3. მზის სისტემის რიგით მეოთხე პლანეტა; 4. ბოროტი, ავი სული; 5. მანქანის, მექანიზმის დაზიანება, რაც სახიფათოა ადამიანის სიცოცხლისათვის; 8. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, აღნიშნავს ახალს; 9. კრივში გვერდული დარტყმა შორი მანძილიდან; 10. პატარა ტანის; 13. ძვირფასი თვალი, წარმოიქმნება მოლუსკის სხეულში; 14. მაროკოს დედაქალაქი; 17. მშენებლობაში მზიდი კონსტრუქციის ჰორიზონტალური (ან დახრილი) ელემენტი, რომელიც აერთებს საყრდენებს და კოლონებს; 19. იაპონიის იმპერატორების ტიტული; 21. ფრანგული არაყი; 24. რომაულ მითოსში ღვინის, დროსტარების ღმერთი; 25. რისამე დაბეგვრის ან ანაზღაურების განაკვეთების ცხრილი; 28. ქმარი ცოლის ნათესავებისთვის;

## ვიქტორინა



**1. იტალიის რომელ ქალაქში მდებარეობს ცნობილი საავტომობილო კონცერნი „ფიატი"?** ა. ტურინში; ბ. მილანში; გ. რომში.

**2. ვინ არის ავტორი რომანისა „ბორა მბორგალი"?** ა. ნ. დუმბაძე; ბ. კ. გამსახურდია; გ. ჭ. ამირეჯიბი.

**3. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ვინ იყო ცხრა მუზის დედა?** ა. მნემოსინე; ბ. პარსიფეა; გ. მინერვა.

**4. პირველად რომელი ქვეყნის ქუჩებში გამოჩნდა ორსართულიანი ავტობუსები?** ა. ინგლისის; ბ. საფრანგეთის; გ. იაპონიის.

**5. აშშ-ის რომელ ქალაქშია ჯ. კენედის სახელობის აეროპორტი?** ა. ვაშინგტონში; ბ. ნიუ-იორკში; ბ. ლოს-ანჯელესში.

**6. რომელი ქვეყნის ფულის ერთეულია სუკრე?** ა. ბრაზილიის; ბ. ფინეთის; გ. ეკვადორის.

**7. რომელ ქალაქშია უფიცის სამხატვრო გალერეა?** ა. პარიზში; ბ. მადრიდში; გ. ფლორენციაში.

**8. 1970 წელს ვის მიანიჭეს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში?** ა. პ. ნერუდას; ბ. ს. ბეკეტს; გ. ა. სოლჟენიცინს.

**9. ვინ არის რეჟისორი ფილმისა „არ დაიდარდო?"** ა. ე. შენგელაია; ბ. რ. ესაძე; გ. გ. დანელია.

**10. ვინ გამოიგონა ფრენბურთი?** ა. ნეისმიტმა; ბ. მორგანმა; ბ. ტომპსონმა.

**11. აკვიატებულ შიშს სამედიცინო ენაზე ეწოდება —**
ა. ფილია; ბ. ფობია; ნ. ფოლიო.

**12. რომელი ქართველი ჩოგბურთელი მონაწილეობდა უიმბლდონის ტურნირის ერთეულთა თანრიგის ფინალურ შეხვედრაში?**
ა. თ. კაკულია; ბ. ა. მეტრეველი; გ. გ. ლაბაძე.

**13. რომელი ხე ყვავილობს სიცოცხლეში ერთხელ, ნაყოფის გამოღების შემდეგ კი კვდება?**
ა. ევკალიპტი; ბ. ბაობაბი; გ. ბამბუკი.

**14. მზის სისტემაში შემავალი რომელი პლანეტის თანამგზავრია „ევროპა"?**
ა. მარსის; ბ. სატურნის; გ. იუპიტერის.

**15. რას უწოდებენ ქარს, რომლის სიჩქარეც წამში 20,8-24,4 კმ-ს აღწევს?**
ა. შტილს; ბ. შტორმს; გ. ბრიზს.

**16. ვინ აღმოაჩინა ატომბირთვი?**
ა. ე. რეზერფორდმა; ბ. ა. აინშტაინმა. გ. ა. ფლემინგმა.

**17. რომელ წელს მიიღეს აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია?**
ა. 1776 წ; ბ. 1777 წ. გ. 1778 წ.

**18. სად აღმოაჩინეს მსოფლიოში უდიდესი — 3106-კარატიანი ალმასი?**
ა. სამხრეთ აფრიკაში; ბ. რუსეთში; გ. ბრაზილიაში.

**19. რომელი მწერლის ნამდვილი სახელი და გვარია უილიამ სიდნი პორტერი?** ა. უილიამ ფოლკნერის; ბ. ო' ჰენრის; გ. მარკ ტვენის.

**20. რა ერქვა დავით აღმაშენებლის უმცროს ასულს?** ა. ბურდუხანი; ბ. თამარი; გ. კატაი.

**21. ვინ არის ავტორი წიგნისა „რობინზონ კრუზო"?** ა. ჟიულ ვერნი; ბ. არტურ კონან დოილი; გ. დანიელ დეფო.

**22. უკრაინის სახელმწიფო დროშის ფერებია —** ა. ლურჯი და თეთრი; ბ. ლურჯი და ყვითელი; გ. ლურჯი და წითელი.

**23. ვინ იყო ჯგუფ „DOORS"-ის ლიდერი და სოლისტი?** ა. ჯენის ჯოპლინი; ბ. ჯიმ მორისონი. გ. ჯიმ ჰენდრიქსი.

**24. რომელ ქალაქში ჩაიმართა 1984 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები?** ა. მოსკოვში; ბ. ლოს-ანჯელესში. გ. სეულში.

**ვიქტორინის პასუხები:**

1. ტურინში; 2. ჭ. ამირეჯიბი; 3. მნემოსინე; 4. ინგლისის; 5. ნიუ-იორკში; 6. ეკვადორის; 7. ფლორენციაში; 8. სოლჟენიცინს; 9. გ. დანელია; 10. მორგანმა; 11. ფობია; 12. ა. მეტრეველი; 13. ბამბუკი; 14. იუპიტერის; 15. შტორმს; 16. ე. რეზერფორდმა; 17. 1776 წ. 18. სამხრეთ აფრიკაში; 19. ო' ჰენრის; 20. კატაი; 21. დეფო; 22. ლურჯი და ყვითელი; 23. ჯიმ მორისონი; 24. ლოს-ანჯელესში.

**პირველი კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. ნოემბერი; 6. ბოდრუმი; 7. ლა; 8. ნისია; 11. აისი; 12. ოლიფა; 14. რიგა; 15. აბრა; 16. ანგარი; 18. აწი; 19. მალაგა; 20. იაკი; 22. კიტელი; 23. სანდი; 26. ლამა; 27. ლია; 29. სინუსი; 31. ძი; 32. ფელინი.

შვეულად: 2. ობოლი; 3. მარსი; 4. ეშმა; 5. ავარია; 8. ნეო; 9. სვინგი; 10. ჩია; 13. მარგალიტი; 14. რაბატი; 17. რიგელი; 19. მიკადო; 21. არმანიაკი; 24. ბახუსი; 25. ტარიფი; 28. სიძე.

**პასუხები ინტელექტუალთათვის:**

1. თეატრი; 2. სან ფრანცისკო; 3. კუნძული მანჰეტენი ინდიელთა სხვა ტომს ეკუთვნოდა, უბრალოდ, მათ ჩათვალეს, რომ, თუ ბრიყვი თეთრკანიანები რამეს იძლევიან, უნდა გამოართვა; 4. ბასენჯი; 5. ძველი ჩინელები; 6. საფოსტო მარკა; 7. ყვირილით; 8. კლონდაიკი; 9. შვილზე; 10. ფილადელფია.

**მეორე კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. სტოპერი; 9. ბოტანიკა; 10. ეტიკეტი; 11. პრეფიქსი; 16. იზოლაცია; 20. ბალასტი; 21. ბელეტაჟი; 22. ეკიპაჟი; 27. პათოლოგია; 31. მარულა; 32. ოქტომბერი; 33. ფოკუსი.

შვეულად : 2. ტიტა; 3. პიკი; 4. რეტი; 5. გოგრა; 6. შარფი; 7. ჩირქი; 8. მაგია; 12. ლიმბი; 13. კოალა; 14. სალტო; 15. ბირჟა; 17. ტანკა; 18. კასპი; 19. სტაჟი; 23. ჩაუქი; 24. ჰობოი; 25. კოლბა; 26. ჰიდრა; 28. ჟაკო; 29. გურუ; 30. ჭაკი.

**თარაზულად:** 1. ცენტრალური მცველი ფეხბურთში; 9. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 10. იარლიყი; 11. სიტყვის მარტივი ფუძის წინ მოთავსებული წინსართი; 16. ცალკე გამოყოფა, გამიჯვნა; 20. ზედმეტი, უსარგებლო ტვირთი; 21. პირველი იარუსი ამფითეატრსა და ბენუარს ზევით თეატრში; 22. გემის, თვითმფრინავის, ტანკის მომსახურე პერსონალი; 27. ავადმყოფური გადახრა ნორმიდან, სიმახინჯე; 31. ცხენების შეჯიბრება ჭენებაში გრძელ მანძილზე, დოღი; 32. წელიწადის თვე; 33. ხელის სიმარდეზე, მოქნილობაზე დამყარებული მარჯვე ილეთი, ტრიუკი.

**შვეულად:** 2. დეკორატიული ბოლქვიანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა, იკეთებს მეტწილად წითელ ყვავილებს; 3. მთის წაწვეტებული მწვერვალი; 4. თავბრუ; 5. ბაღჩეული კულტურა; 6. თავზე ან ყელზე მოსახვევი ვიწრო, მოგრძო ქსოვილი; 7. სითხე, რომელიც გამოიყოფა ცხოველური ორგანიზმის ქსოვილების ლპობის, ანთების შედეგად; 8. ჯადოქრობა, მისნობა; 12. კუთხსაზომ იარაღებში: ლითონის ბრტყელი რგოლი, რომელზედაც ირგვლივ აღნიშნულია დანაყოფები; 13. ჩანთოსანი დათვი; 14. აკრობატული ნახტომი, რომლის დროსაც ჰაერში მალაყს აკეთებენ; 15. დაწესებულება, სადაც ხდება მსხვილი ფინანსური და სავაჭრო გარიგებები; 17. იაპონური პოეზიის ერთ-ერთი ძველი ჟანრი; 18. რაიონული ცენტრი საქართველოში; 19. რაიმე დარგში მუშაობის ან რაიმე ორგანიზაციის რიგებში ყოფნის ხანგრძლივობა; 23. მარდი, მამაცი; 24. ჩასაბერი მუსიკალური საკრავი; 25. მინის მაღალყელიანი ჭურჭელი, იყენებენ ლაბორატორიებში; 26. ბერძნულ მითოსში: წყლის მრავალთავიანი გველი, რომელიც მოკლა ჰერაკლემ; 28. პატარა თუთიყუში; 29. სულიერი მოძღვარი, მასწავლებელი ინდოეთში; 30. დედალი ცხენი, ფაშატი.

# 10 კითხვა ინტელექტუ-ალთათვის"

1

რა ერქვა ადგილს ძველ საბერძნეთში, სადაც ეპაექრებოდნენ სიმღერაში, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრასა და ორატორობაში?



2

როდესაც ინგლისელმა მეზღვაურმა ფრენსის დრეიკმა მიაღწია ამერიკის დასავლეთ სანაპიროს, მან იქ ერთ ადგილს თავისი სახელი უწოდა.

**რა ჰქვია დღეს ამ ადგილს?**



3



გადმოცემის თანახმად, ჰოლანდიელებმა ინდიელების ერთ-ერთი ტომი გააცურეს და ახლანდელი მანჰეტენის (ნიუ იორკი) ტერიტორია რამდენიმე გულდენის ღირებულების მძივების ფასად იყიდეს. თუმცა, ამბობენ, რომ თვითონ ინდიელებმა გააცურეს ჰოლანდიელები.

**როგორ მოახერხეს ეს მათ?**

4



5

**რომელი ხალხი სცემდა თაყვანს კუს, როგორც სამყაროს მოდელის სიმბოლოს?**



**რა ჰქვია ძაღლის ჯიშს, რომელიც არ ყეფს?**

6

ამ გამოგონების ავტორია ბრიტანელი სკოლის მასწავლებელი **როულენდ ჰილი.** მისი გამოგონება ბრიტანეთში 1840 წლის 6 მაისს გამოჩნდა. პირველი ქართული ეგზემპლარი კი 1757 წელს თბილისში დამზადდა.

**რა გამოიგონა როულენდ ჰილმა, რისთვისაც მას სერის წოდება მიენიჭა?**



7

დაასრულეთ ლეონარდო და ვინჩის ფრაზა: **„ადამიანები ხშირად მსჯელობენ, კამათობენ, ხოლო როცა თავიანთი მოსაზრების დასამტკიცებლად საკმარისი არგუმენტები არ აქვთ, მსჯელობას ცვლიან..."**



8




**რა ჰქვია მდინარესა და რეგიონს კანადაში, სადაც მე-19 საუკუნის ბოლოს პირველად მოიპოვეს ოქრო?**

**ვისზე ამბობდნენ ინდიელები, რომ მას თავდაპირველად ისე უნდა მოექცე, როგორც მეფეს, შემდეგ — როგორც მონას, შემდეგ კი — როგორც მეგობარს?**

9



10



**რომელი ქალაქი იყო აშშ-ის დედაქალაქი 1790-1800 წლებში?**

# ვის მივართმევდით ყვავილების თაიგულს

***ინტერიერისა და ავეჯის დიზაინერი გუგა კოტეტიშვილი, ცნობილი მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაია, მსახიობები — ჯემალ ღაღანიძე და გია კორკოტაშვილი, მომღერალი ლევან მგალობლიშვილი (პანჩო) ასახელებენ იმ ქალბატონებს, რომელთაც სიამოვნებით მიუძღვნიდნენ ყვავილების თაიგულს.***



**გუგა კოტეტიშვილი:** — მიყვარს ყვავილები, ყველაზე მეტად კი ფერფლისფერი ყვავილი **ირისი-იბერიკა.** ქალბატონი, ვისაც სიამოვნებით მივართმევდი დღეს ამ ყვავილებს, არის დედაჩემი **ლია ძაძამიძე,** რომელიც გარდაცვლილია, ხოლო, ვისაც ახლა სიამოვნებით მივართმევ თაიგულს, ეს არის ჩემი დის შვილიშვილი, პატარა **ლია არჩვაძე,** რომელიც სულ რამდენიმე დღეა, ქვეყანას მოევლინა და ჯერ არ მინახავს.



**გიორგი შხვაცაბაია:** — მიყვარს ყვავილები, ჭადრაკს რომ შევადაროთ, ვარდი დედოფალი იქნება, პაიკები — იები, ხოლო სხვა ფიგურები — გვირილები. ყველა ამ ყვავილს სიამოვნებით მივართმევდი ჩემს მეუღლეს **ნათელა შანიძეს.** ამ თემასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მახსენდება, რომელიც **ევგენი მიქელაძესა** და მის მეუღლეს **ქეთუსია ორახელაშვილს** უკავშირდება. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ევგენი მიქელაძე მაშინ „დაისზე“ მუშაობდა. თეატრიდან სახლში დაბრუნებულს ყვითელი ქრიზანთემები მიუტანია და ქეთუსიასთვის უთქვამს — ხვალ, „დაისის“ დამთავრების შემდეგ, დარბაზში ამ ქრიზანთემებით შემოდიო. ქეთუსია მართლაც მისულა ამ ქრიზანთემებით და ეს იყო მათი ბოლო შეხვედრა — იმ საღამოს ევგენი მიქელაძე დააპატიმრეს. წლების შემდეგ, როდესაც ოპერის ბაღში მისი ქანდაკება დავდგი, ეს ქრიზანთემები იმ ძეგლზე გამოვძერწე!



**ლევან მგალობლიშვილი (პანჩო):** — ყველა ყვავილი მომწონს, მაგრამ უპირატესობას მინდვრის ყვავილებს ვანიჭებ, რომლებსაც, უპირველესად, სიამოვნებით მივართმევდი ჩემს მეუღლეს **ანის.** ყველა ქალბატონი იმსახურებს ყვავილების თაიგულს და რომ შემეძლოს, ყველა მათგანს მივართმევდი და დღეს გავულამაზებდი. **დაგვიანებულ თაიგულს მივუძღვნიდი დედას — ნანა მგალობლიშვილს, რომელსაც იები უყვარდა ძალიან. დღეს ის გარდაცვლილია და გული მწყდება, რომ იების თაიგულით ველარ გავახარებ.**





**გია კორკოტაშვილი:** — ყველაზე ძალიან მიყვარდა სურნელოვანი ვარდები. რა დამავიწყებს ბებიაჩემის (კარდენახში ცხოვრობდა, პედაგოგი იყო) ბაღის ვარდების სუნს. გაზაფხულზე ვარდისფერი ვარდი რომ აყვავდებოდა, მთელ ბაღში თავბრუდამხვევი სურნელი დგებოდა, შემდეგ სხვადასხვა ჯიშის ვარდებისაგან წამოსული სურნელიც წამოეწეოდა და გვიან შემოდგომამდე აღარ გადიოდა. **ეს ვარდები ნამდვილად არ ჰგავდა იმ სინთეტიკურ ვარდებს, დღეს რომ უცხოეთიდან ჩამოაქვთ. ასე მგონია, ისინი ბიჭად გადაკეთებული გოგოები არიან ან გოგოდ გადაკეთებული ბიჭები...** მიყვარს **ჟასმინი** თავისი არაჩვეულებრივი არომატით და ასევე საოცარი სურნელის მფრქვეველი იასამანი. **როდესაც ცოლი მოვიყვანე, აფეთქებული სიყვარული გვქონდა და მასზე ვგიჟდებოდი, ერთ მშვენიერ დილას წყნეთიდან ჩამოსული გლეხისგან უამრავი იასამანი ვიყიდე და ხელებში რამდენი ყვავილიც ჩამეტია, ჩემს მეუღლეს — ლიზიკოს საწოლში გადავაყარე.** მაშინ ის ჩვენს პირველ შვილზე — სალომეზე იყო ფეხმძიმედ. მას შემდეგ ჩვენი სიყვარული არ გახუნებულა, მაგრამ დრომ მაინც რაღაც წაიღო, ამიტომ ჩემს მეუღლეს დღესაც სიამოვნებით მივართმევდი **იასამნებს**.



**ჯემალ ღაღანიძე:** — ქრიზანთემები მიყვარს, ბავშვობას მახსენებს, როდესაც ჩვენთან ბაბუაჩემი **დათიკო ღაღანიძე** მოდიოდა და თავისი ბაღის ქრიზანთემები მოჰქონდა. დღევანდელ სულხან ცინცაძის ქუჩაზე (ყოფილი საბურთალოს ქუჩა), სადაც ახლა სახანძროა განთავსებული, ყვავილების ბაღი ჰქონდა გაშენებული. დათიკოს ბაღიდან აქ დღემდე შემორჩენილია რამდენიმე თუთის ხე, რომელიც ზაფხულში ნაყოფსაც ისხამს და გამვლელები პირს გაისველებენ ხოლმე. მალე 90 წლის ვხდები, მაგრამ დათიკოს ქრიზანთემები არ მავიწყდება, ყვავილების ხსენებაზე ახლაც თვალწინ წარმომიდგება ხოლმე. ამ საუცხოო ყვავილებს დღეს სიამოვნებით მივართმევდი ჩემს მეუღლეს **ლენა ბერმესაშვილს** და რუსთაველის თეატრის მსახიობს, ჩემს პარტნიორსა და შესანიშნავ ადამიანს **მანანა გამცემლიძეს.**



*მოამზადა* ***ქეთევან ხამიცაშვილმა***

## საეკლესიო კალენდარი



**11 იანვარი – ხსენება ათოთხმეტ ათასთა ჩვილთა მოწამეთა ჰეროდეს მიერ ბეთლემს მოწყვეტილთა**

**9 იანვარი. ორშაბათი.** მოციქულისა, პირველმოწამისა და მთავარდიაკონისა **სტეფანესი;** ღირსისა **სტეფანე ხირსელისა;** ღირსისა და აღმსარებელისა **თეოდორესი; თეოდორესი,** კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა.

**10 იანვარი. სამშაბათი.** მოწამეთა ორთა **ბევრთა, ნიკომიდიას** დამწვართა: **გლიკერი ხუცისა, ზენონისა, თეოფილე დიაკონისა, დოროთესი, მარდონისა, მიგდონი დიაკონისა, ინდისესი, გორგონისა, პეტრესი, ექვთიმესი,** მოწამე ქალწულთა: **აგათიასი, დომნასი, თეოფილასი** და სხვათა; მოციქულისა ნიკანორისა, 70-თაგანისა.

**11 იანვარი. ოთხშაბათი. 14000-თა ჩვილთა მოწამეთა,** ჰეროდეს მიერ ბეთლემს ჰურიასტანისასა და საზღვართა მისთა მოწყვეტილთა; ღირსისა **მარკელისა,** დაუძინებელთა მონასტრის მამასახლისისა; ღირსისა **თადეოზ** აღმსარებლისა. ღირსი **ნინოსი,** სამთავროს დედათა მონასტრის იღუმენიასი.

**12 იანვარი. ხუთშაბათი.** მოწამისა **ანისია** ქალწულისა; მღვდელმოწამისა **ზოტიკე ხუცისა,** ობოლთა მწყალობელისა; მოციქულისა **ტიმონასი,** 70-თაგანისა; მოწამისა **ფილეტერ** ნიკომიდიელისა; ღირსისა **თეოდორა** კესარიელისა; ღირსისა **თეოდორა** კონსტანტინოპოლელისა.

**13 იანვარი. პარასკევი.** წარგზავნა ქრისტეშობის დღესასწაულისა; ღირსისა **საბიანასი,** სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვრისა; ღირსისა **მელანია** რომაელისა.

**14 იანვარი. შაბათი. წინადაცვეთა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი.** ხსენება **ბასილი დიდისა, კესარია-კაპადოკიის** მთავარეპისკოპოსისა; წმიდისა **ემელიასი, ბასილი დიდის დედისა; გრიგოლ უფროსისა, ნაზიანზელი** ეპისკოპოსისა, წმიდა **გრიგოლ** ღმრთისმეტყველის მამისა; ღირსისა **თეოდოსისა,** ტრიგლიელი იღუმენისა; მოწამისა **პეტრე ტრიპოლისელისა;** წმ. **პეტრე** აღმსარებლისა.

**15 იანვარი. კვირა. სილიბისტრო რომის პაპისა;** მღვდელმოწამე **თეაგენოსისა,** ჰელესპონტოს პაროსის ეპისკოპოსისა; ღირსისა **სერაფიმე საროველისა;** მოწამისა **გიორგი გურჯისა,** კუნძულ ლესბოსზე ვნებულისა; მოწამისა **ბასილი ანკვირელისა,** რომელი იწამა კესარიას; ღირსისა დედისა **თეოდოტესი,** წმიდათა უვერცხლოთა **კოზმა** და **დამიანე** აზიელთა დედისა; მღვდელმოწამისა **ისიდორესი,** ანტიოქიის ასურეთიდან; ღირსისა **მარკოზ ყროუისა; კოზმა I-ისა,** კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა, სასწაულმოქმედისა; მართლისა **სერიოლოს ვალიელისა.**




**მაღაზია «ბუკვიცა»**

**ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე**

**574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90**

**მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.**

თამარისი Tamarisi

**დაინახე:**




**ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38**

571 19 93 93     598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics



**საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა**

GIDMEDI GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC

**გიდმედი**

**გქონდეთ ჩვენი იმედი!**

**ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია**

**თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55**


## კვირგვინოსნები

**კირა ანდრონიკაშვილი**
*მსახიობი*



**ანდრონიკაშვილების** გვარის ჩვენს შტოს მზეჭაბუკების გვარს უწოდებდნენ. **ამ სილამაზის შესანარჩუნებლად** დიდი არაფერი გამიკეთებია, არც ოპერაცია, არც კორექცია. როგორიც დავიბადე, დღემდე ისეთი მოვდივარ.

„სარკე“

**მარინა კახიანი**
*მსახიობი*



**უამრავი პრინცესის, დედოფლის როლი მაქვს შესრულებული,** განსაკუთრებით, საბედისწერო ქალებისა. თავდაპირველად ეს მომწონდა და მიხაროდა. **რომელ ახალგაზრდა გოგოს არ მოეწონება პრინცესის როლის შესრულება, მაგრამ შემდეგ ამ როლებმა ძალიან დამამძიმა.** გული მტკივა, რომ ჩვენი ხალხი შეიცვალა და ჩამოყალიბდა ისეთი საზოგადოება, ვისაც შეუძლია ყველაფერი უარყოფითად შეაფასოს.

„სარკე“

**რუსკა მახაშვილი**
*მსახიობი, ტელეწამყვანი*



ჯერ კიდევ **ორი წლის სახლიდან გავიპარე** და მეზობელმა მეტროში მიპოვა შიშველი.

„თბილისელები“

**ციაკო ფიფია**
*მსახიობი*



**არ არსებობს, დედამთილმა, ქმართან ერთად თუ ვარ, ის არ გაამტყუნოს,** მაგრამ, როგორც კი ჩემი ქმარი სახლიდან გავა, **მერე დამსვამს და მეუბნება, რაში ვიყავი მართალი და რაში — არა.**

„სარკე“

**დათო ევგენიძე**
*მუსიკოსი*



ოჯახური ცხოვრების **მე-17 წლისთავზე** მე და ჩემმა ცოლმა ხელი მოვაწერეთ. მე ნინოზე **17 წლით უფროსი ვარ.**

„კვირის პალიტრა“

## მიხეილ ცაგარელი:



# მიმართულება-დაკარგული მთვარე ადამიანის პირად ჰოროსკოპში

*— პირად ჰოროსკოსში არსებული მთვარე რა დადებით თვისებებზე მიგვანიშნებს და ადამიანს რის უნარს ანიჭებს? რისი აღმნიშვნელნი არიან და რაზე მიუთითებს მზის და მთვარის ასპექტები მამაკაცის ან ქალის პირად ნათალურ რუკაზე, ანდა რატომ მოქმედებს ადამიანებზე მთვარის ასპექტზე უფრო მეტად მისი აპლიკაციები? მიმართულებადაკარგული მთვარე ადამიანის ჰოროსკოპში რის მოტივაციას აკნინებს ან აქრობს? მიუხედავად ამისა, რასთან არა აქვს არანაირი კავშირი და ჰოროსკოპის რა და რა მაჩვენებლების შესწავლაა აუცილებელი?*
*ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი ადამიანის პირად ჰოროსკოპში მიმართულებადაკარგული მთვარის დაფიქსირების შემთხვევაში მისი ზემოქმედების შესახებ.**

— **მიმართულებადაკარგული** (გეზდაკარგული) **მთვარე ადამიანის პირად ჰოროსკოპში ერთგვარ იზოლაციაშია. მას არც ასპექტები და არც აპლიკაციები არ გააჩნია.** შეგახსენებთ, რომ **აპლიკაციები** ის ასპექტებია, რომლებიც **მთვარეს** ახლო მომავალში ელის, ჯერ არ არის გამოვლენილი, მაგრამ ადამიანის მიერ შეიგრძნობა ოცნებისა და შორეული მიზნების სახით. ამგვარად, ეს ის მაჩვენებლებია, რომლისკენაც მთვარე მიემართება, თუმცა, ასპექტები ჯერ არ ჩამოყალიბებულა, ამიტომ ისინი მოქმედებენ როგორც მოტივატორები. **მიმართულებადაკარგული მთვარის დროს მთვარის გამოვლინებებს მიკერძოებულობა არა აქვს, რაც აიძულებს ადამიანს, თავად მართოს საკუთარი თავი, საკუთარი ემოციები. ეს კი უდავოდ დადებითია და ძლიერ პიროვნულ თვისებებზე მიგვანიშნებს.** ამ შემთხვევაში ამ ადამიანის ნათალურ რუკაზე რა პოზიციაზეც არ უნდა იყოს განლაგებული პლანეტები, იქნება ეს **იუპიტერი, ვენერა თუ მარსი,** ამაზე გავლენას ვერ მოახდენს და ვნებებს ყოველთვის ადვილად გაუმკლავდება, წუთიერი გატაცების დროსაც ზღვარს არასოდეს გადავა და სიტუაციას მუდამ გააკონტროლებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ მთვარე ადამიანის პირად ცხოვრებაში დიდი როლს ასრულებს. **ასტროფსიქოლოგიისა და პიროვნული თვისებების მახასიათებლების გარდა მთვარე აღნიშნავს დედას. მამაკაცის პირად რუკაში ეს ცოლის სიგნიფიკატორია, ქალის რუკაში კი შვილის გაჩენისა და დედობისა,** ამიტომ ადამიანის ჰოროსკოპში მიმართულებადაკარგული მთვარის შემთხვევაში მეტად საყურადღებოა და საჭიროება მოითხოვს დამატებით კითხვებზე პასუხის გაცემას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **მზე ნათალურ ჰოროსკოპში გადაწყვეტილებების მიღებაზეა პასუხისმგებელი.** ამიტომ ქალბატონის რუკაში მზის ასპექტები მიუთითებენ ქორწინების ფაქტორებზე, მამაკაცის რუკაში კი — მამასთან, ხელმძღვანელ პირებთან, ავტორიტეტულ და ძალაუფლების მქონე ადამიანებთან ურთიერთობაზე. **მთვარე მზრუნველობის, მფარველობის აღმნიშვნელია, ამიტომ მამაკაცის შემთხვევაში მეუღლეზე მიუთითებს, ქალის ჰოროსკოპში კი — ბავშვებზე.** მთვარის სწრაფი მოძრაობის გამო, სიჩქარიდან გამომდინარე, ადამიანზე მთვარის ასპექტებზე უფრო აპლიკაციები მოქმედებს. იმისათვის, რომ აპლიკაციების შეგრძნებები განხორციელდეს, ადამიანს სჭირდება დამატებითი ძალისხმევა, ნაბიჯების გადადგმა. გამოსავალი მოტივაციაა — თუ რამე გიზიდავს და მასთან წვდომა არ გაქვს, იპოვე ის, ვისაც ეს აქვს და მასთან კავშირი შექმენი. მაგალითად: თუ მამაკაცის პირად რუკაში მოცემულია **მთვარის მოსალოდნელი აპლიკაცია პლანეტა მერკურთან,** მას მიიზიდავს ლაპარაკის მოყვარული, რაციონარული და ცოტათი ავანტიურისტი ადამიანი. **მთვარის პლანეტა ვენერასთან** აპლიკაციის შემთხვევაში კი უჩნდება კომფორტისკენ, სიმდიდრისკენ, გემრიელი საკვებისკენ, სიამოვნებისკენ ლტოლვა. შესაბამისად, შეეცდება, იპოვოს ქალბატონი, რომელსაც ასევე ამისკენ ექნება ინტერესი. მოგვიანებით ასეთი ქალბატონი მეუღლეს მოსთხოვს ლამაზი ტანსაცმლისთვის, ფუფუნების საგნებისთვის თუ მდიდრული გარემოს შესაქმნელად ფულს. მამაკაციც დაუკმაყოფილებს სურვილს და თავადაც ისიამოვნებს ამ გარემოებით. აქ არა აქვს ადგილი ძალდატანებას, ეს მისი პირადი არჩევანია, რომლის დახმარებითაც შეუძლია, ოცნება აისრულოს და სურვილი დაიკმაყოფილოს. ანალოგიურია ვითარება ქალის შემთხვევაშიც. თუ მის პირად რუკაში **მთვარე არის აპლიკაციის პოზიციაში პლანეტა ვენერასთან,** მან შესაძლოა, შვილის აღზრდა-განათლების პროცესში მასთან ერთად მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა შემოქმედებით კონკურსში და გამოფენაში. **პლანეტა მერკურთან აპლიკაციის შემთხვევაში** შეუძლია ბავშვთან ერთად უცხო ენები შეისწავლოს, ექსკურსიაზე გაჰყვეს. **მარსთან აპლიკაციის შემთხვევაში** კი შვილთან ერთად აქტიური სპორტული ცხოვრებით იცხოვროს. ამგვარად, პირად ჰოროსკოპში მთვარის აპლიკაციების შემთხვევაში ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს შეუძლია თავისი მზრუნველობის ქვეშ მყოფ ადამიანთან ერთად განახორციელოს საკუთარი ქვეცნობიერი სურვილები, რომელთა პირდაპირი მაჩვენებლები პირად ჰოროსკოპში არ აღენიშნება. განსხვავებულია ვითარება ადამიანის პირად ჰოროსკოპში მიმართულებადაკარგული მთვარის შემთხვევაში. ამგვარად, თუ ჰოროსკოპში მიმართულებადაკარგული მთვარეა მოცემული, მამაკაცს არ გააჩნია ოჯახის შექმნის, ხოლო ქალს შვილის გაჩენის ძლიერი და უძლეველი მოტივაცია, ანუ ასეთი მოტივაცია ან არ არსებობს, ან ძალიან სუსტია. ამავდროულად, ამ მამაკაცს არავინ უკრძალავს, კარგი მეოჯახე გახდეს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **ქორწინებისთვის აუცილებელია ადამიანის პირადი ჰოროსკოპის მე-4 და მე-7 ასტროლოგიური სახლების და პლანეტა ვენერას მონაცემების შესწავლა. ამგვარად, გრძნობა-ემოციები გონებას ვერ გადაფარავს და ეს ადამიანი გადაწყვეტილებას გააზრებულად და რაციონალურად მიიღებს. ქალის ჰოროსკოპში მიმართულებადაკარგული მთვარის არსებობა შვილის გაჩენის სურვილს ასუსტებს, დედობის ბუნებრივ მოტივაციას აკნინებს.** ასეთი ქალი აცნობიერებს ფაქტს, რომ ბავშვებს ბევრი ყურადღება, ენერგია ესაჭიროებათ, სანაცვლოდ კი ვერაფერს მიიღებს. **დედობა მისთვის ბედნიერების ტოლფასი არ არის. ეს დამატებითი ტვირთია, პასუხისმგებლობა, ან სულაც ბიოლოგიური ვალდებულებაა, რომელიც მეუღლისა და ოჯახის წევრების მიმართ უნდა მოიხადოს, ასეთი ქალი შვილის გაჩენაზე არასოდეს ოცნებობს.** აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **მიმართულებადაკარგული მთვარე** არ ასახავს არც ქალის ფიზიოლოგიურ პრობლემებს და არც უშვილობის მაჩვენებლებს. ამ საკითხთან მას არავითარი კავშირი არა აქვს. მით უფრო, რომ ადამიანის პირად ჰოროსკოპში მთვარის გარდა შვილების არსებობასა და მათდამი დამოკიდებულებას სხვა ფაქტორებიც აღწერს. უმთავრესად გასათვალისწინებელია მე-4 და მე-5 სახლები და მათთან პლანეტა **იუპიტერის** დამოკიდებულება. ნიშანდობლივია, რომ მიმართულებადაკარგული მთვარის მქონე ადამიანს შესაძლოა, არაერთი შვილიც ჰყავდეს და პირიქით, **მე-5 სახლის დაზიანებისას და ნიშნის დასაწყისში ასპექტირებული მთვარე** ფიზიოლოგიურ უშვილობაზე მიუთითებს. ამგვარად პირად ჰოროსკოპში არსებული მიმართულებადაკარგული მთვარე გარკვეულ თავისებურებებს განაპირობებს, რომლებიც მნიშვნელოვან ცვლილებებს არ იძლევა, ანუ **გეზდაკარგული** მთვარე არანაირ გრანდიოზულ ცვლილებებს არ იწვევს. ის არც ფატალურია და არც — დამანგრეველი, მაგრამ მისი იგნორირება მართებული არ იქნება.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 9 – 15 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ და დროულად იმოქმედეთ. ფინანსურ საკითხში გამართლებულია ცოტაოდენი გარისკვაც, ახალი ნაცნობობა კარგ მეგობრობაში გადაიზრდება. სპონტანურ სასიყვარულო კავშირს მოერიდეთ. მოგზაურობა წინასწარ კარგად დაგეგმეთ, რათა გაუგებრობებს არ წააწყდეთ.**

**კურო** (21.04-20.05)
**შესაძლოა, მარტოობისა და სამომავლო გეგმებზე ფიქრის მოთხოვნილება გაგიჩნდეთ, თუმცა, ამის საშუალებას ოჯახის წევრები და მეგობრები არ მოგცემენ. გადაღლისა და ფიზიკური ძალების სიმცირის მიუხედავად თავს სანაქებოდ იგრძნობთ და კონტაქტების რაოდენობაც იმატებს. გამოცდილი ადამიანები დაგეხმარებიან გადაწყვეტილების მიღებაში.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**კარგი პერიოდია ცოდნის გასაღრმავებლად, ან პროფესიის შესაცვლელად. პერიოდული მარტოობა ახალი ფასეულობების ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს, ხოლო ბუნებასთან კონტაქტი ენერგიით აგავსებთ. ნუ გაუბრაზდებით შეყვარებულს, რადგან მას გარემოებათა გამო ნაკლებად ექნება თავისუფალი დრო.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**თქვენი ენერგოპოტენციალი მოიმატებს და შეძლებთ კონტაქტების დამყარებასა და თავის უკეთ გამოვლენას. თქვენს იდეებსა და ჩანაფიქრებს უცნობებს ნუ გაუმხელთ. ეცადეთ, სახლში მეტი დრო დაჰყოთ. ხშირად ურთიერთობებში სიფრთხილე გმართებთ, რადგან მეტად აღარ გექნებათ დაკარგულის დაბრუნების შანსი.**

**ლომი** (23.07-23.08)
**დაღლა და უხასიათობა თავს იჩენს, ამიტომ ჯობს, იდეების ხორცშესხმა მოგვიანებით დაიწყოთ. ოჯახში იდილიასა და ჰარმონიისათვის ჯობს, სახლში მეტი დრო გაატაროთ და მეუღლესთან და შვილებთან გულახდილი საუბარი არ დაიზაროთ.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**ხიბლი დაგეხმარებათ როგორც პირადი ურთიერთობისას, ისე სიყვარულშიც და ასევე მატერიალური კეთილდღეობის მოპოვებაში. ახალი ინფორმაციის მიღება-ათვისება გაგიადვილდებათ. ავტორიტეტს გაუფრთხილდით, ინტრიგებს გაერიდეთ და არცერთ საკითხში არ გარისკოთ.**

## 9 – 15 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**ეცადეთ, გარშემო მყოფებს არ აჰყვეთ და კარგი პერსპექტივები არ დაკარგოთ. დამოუკიდებლად აზროვნება და მოქმედება გარკვეულ შემოსავალს გიქადით. კარგი პერიოდია მხიარული დროსტარებისათვის და მეგობრული კავშირების დასამყარებლად. სხვა ქალაქში გამგზავრების შემთხვევაში ეცადეთ, გაუგებარ სიტუაციაში არ აღმოჩნდეთ.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**ენერგიულობა, ოპტიმიზმი მიზნის მიღწევას გაგიადვილებთ. ეცადეთ, სხვების რჩევები და სურვილები გაითვალისწინოთ, რათა დახმარებაც მიიღოთ და მოწონებაც დაიმსახუროთ. უცხოეთიდან შესაძლოა, საჩუქარი მიიღოთ.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**მთელ თქვენს დროსა და ძალებს დროსტარებასა და სახლის საქმეებზე ნუ დახარჯავთ, რათა არ გამოიფიტოთ. ფულის უყაირათო ხარჯვასაც მოერიდეთ. უცხოელებთან ურთიერთობა ან უცხოეთში გამგზავრება და მოგზაურობისას თავგადასავლები სიამოვნებას მოგგვრით.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**საქმეში საკმაოდ თავდაჯერებით იმოქმედებთ, თუმცა, სხვის რჩევებსაც უსმინეთ, რათა უფრო წარმატებული იყოთ. საოჯახო და პირადი ურთიერთობები უფრო გაძლიერდება და მყარი გახდება და ამ დღეთა მოგონებებიც დიდხანს გაგყვებათ.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**ამ კვირაში ეცადეთ, არ გარისკოთ და ყველას გულღიად ეკონტაქტეთ. გარკვეულ დროსა და ძალისხმევას ითხოვს მემკვიდრეობასა და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეც. შემოქმედება, მოლაპარაკებები და ხანმოკლე მოგზაურობა მოგებას მოგიტანთ. თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, ექიმს დროულად მიმართეთ.**

**თევზები** (19.02-20.03)
**თავს მეტად ენერგიულად იგრძნობთ, თუმცა, ახალი საქმის დაწყებას ხელს შეუშლის გარკვეული გარემოებები. კონტაქტებისა და შეხვედრების რაოდენობა იმატებს, ახლობლების საჩუქრები გაგახარებთ და შემდგომი საქმიანობისთვის სტიმულს მოგაწვდით. შეყვარებულთან ურთიერთობა ყველა პრობლემას დაგავიწყებთ და რომანტიკულ განწყობას დაგიბრუნებთ. მოგზაურობა უმჯობესია, გადადოთ.**



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 9, 11, 12 და 15 იანვარი

**7 იანვარი – სავსემთვარეობა, პიკი – 03.09 საათზე;**
**22 იანვარი – ახალმთვარეობა, პიკი – 00.56 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 9 იანვარი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.28 საათზე, ჩადის 17.48 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 20.00 საათზე, ჩადის 10 იანვარს 10.20 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 19.42 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სხვის აზრს პატივი ეცით და საკუთარი აზრებიც აკონტროლეთ. ეგოიზმს, პრეტენზიულობას, სიჯიუტეს, სულსწრაფობას ნუ გამოავლენთ. სასიკეთოა თმის მოვლა, ძირების გამაგრება. კარგი დღეა ახალი სამსახურის დასაწყებად, თანამდებობის დასაკავებლად, ძვირფასი ნივთების, საჩუქრების შესაძენად, მეგობრული კონტაქტებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ხელშეკრულების დადება, საფინანსო გარიგება, ბინის შეცვლა. მოერიდეთ ნერვიულობას, სიმძიმეების აწევას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 10 იანვარი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.28 საათზე, ჩადის 17.49 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (19.02) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 21.03 საათზე, ჩადის 11 იანვარს 10.47 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 20.59 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის პერიოდია** 05.52 საათიდან 19.15 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს და ხვალ მოერიდეთ ნეგატიური ემოციების გამოვლენას. დღეს დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოთ. ნერვულ სისტემას გაუფრთხილდით, განსაკუთრებით ტყუპის, მერწყულის, თევზების ნიშნით დაბადებულები. კარგი დღეა იურიდიული საქმეებისთვის, ახალი საქმეების დასაწყებად, ძვირფასი ნივთებისა და საჩუქრების შესაძენად. არ არის სასურველი ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი, ნაწლავთა სისტემა. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა, ყვითელი და მწვანე იასპი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 11 იანვარი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.27 საათზე, ჩადის 17.51 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 22.06 საათზე, ჩადის 12 იანვარს 11.10 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 22.16 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა.** ტენდენციები: დღეს პარტნიორთან კონფლიქტს მოერიდეთ. ეცადეთ, რთულ სიტუაციაში კომპრომისი მოიძიოთ. არ არის სასურველი ახალი ნაცნობობა, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგი დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სწავლისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, მშენებლობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის.

## 12 იანვარი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.27 საათზე, ჩადის 17.52 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 23.08 საათზე, ჩადის 13 იანვარს 11.31 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 23.32 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა.** ტენდენციები: დღეს ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა **მარსი** დირექტიული ხდება (სწორად მავალი), რაც ხელს შეუწყობს საქმეების სწორად წარმართვას, ნაყოფიერ თანამშრომლობას, მოლაპარაკებებს, ახალი საქმის დაწყებას. დღეს ყურადღება მიაქციეთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს. დღევანდელი სწორად მოქმედება უახლესი ორი წლის სამოქმედო პროგრამას ჩამოგიყალიბებთ. კარგი დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, სამეცნიერო კვლევებისთვის, სწავლისთვის, აუდიტისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 13 იანვარი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.27 საათზე, ჩადის 17.53 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (06.38) სასწორის ზოდიაქოში, ამოდის 23.58 საათზე, ჩადის 14 იანვარს 11.51 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 23.49 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის პერიოდია** 03.06 საათიდან 06.38 საათამდე. **ტენდენციები**: დღეს და ხვალ მეტი დრო ახლობლებს, სახლს დაუთმეთ. კარგი დღეა ფიზიკური და ინტელექტუალური აქტიურობისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, შემოქმედებისთვის. არ არის სასურველი ზედმეტი სითხის მიღება, მანქანის ყიდვა-გაყიდვა, **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 14 იანვარი, შაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.26 საათზე, ჩადის 17.54 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 00.10 საათზე, ჩადის 12.11 საათზე (მთვარის 22-ე დღე გრძელდება. მე-3 ფაზა). **გილოცავთ ძველი სტილით ახალ წელს. ტენდენციები:** კარგი დღეა ქორწინებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. არ არის სასურველი ალერგიული პროდუქტების გამოყენება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

## 15 იანვარი, კვირა

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.26 საათზე, ჩადის 17.55 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (15.52) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 01.15 საათზე, ჩადის 12.33 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 02.09 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 06.13 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის პერიოდია** 12.40 საათიდან 15.52 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ემოციები აკონტროლეთ, კარგია ახალი შთაბეჭდილებების მიღება, სასიკეთოა ვარჯიში. კარგი დღეა ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, არ არის სასურველი მცენარეების დარგვა-გადარგვა, სესხის აღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმლები, შარდსასქესო სისტემა. **ქვები**: ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, აკვამარინი. საღამოს ოპალი, ტოპაზი. **პოზიტიური** დღეა მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.





# ლამზირა ჩხეიძეს იმქვეყნად მისი საკადრისი თეატრი ელოდება!

გასულ კვირას, შობის წინა დღეს, გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არტისტი **ლამზირა ჩხეიძე** — ულამაზესი, ნიჭიერი, სათნო, სიკეთით სავსე და თავმდაბალი ქალბატონი, რომელიც 1952 წლიდან რუსთაველის თეატრის სცენაზე იდგა, არაერთი სახასიათო როლი შექმნა და ქართველ მაყურებელს თავი სამუდამოდ დაამახსოვრა. ის იყო ლეგენდარული **დავით თურდოსპირელის (ჩხეიძე)** და ულამაზესი პოლონელი ქალის **ალექსანდრა კრემენსკაიას** ქალიშვილი, რომელთაც თავიანთ გოგონას ქართული მითოლოგიური ქალღმერთის **ლამზირის** სახელი დაარქვეს.

**ლამზირა ჩხეიძე** იმ ოქროს ახალგაზრდობის ნაწილი იყო, რომელიც გასული საუკუნის 40-50-იან წლებში რუსთაველის გამზირზე სეირნობდა, ქალაქის კულტურას ქმნიდა და ერის სიამაყე ერქვა. თეატრალურ ინსტიტუტში ის ლეგენდარული **დიმიტრი ალექსიძის** ჯგუფში მოხვდა, სადაც ერთ მერხთან იჯდა განუმეორებელი თაობა — ხელოვნების ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერილი.

90 წლის იყო, როცა ბოლოს ვნახე, ხიბლი და კდემა არ დაჰკარგვოდა, რუსთაველის თეატრის ხსენებაზე თვალები უციმციმებდა და თხოვნა არ გჭირდებოდა, შექსპირის „ჰამლეტიდან“ ოფელიას მონოლოგი წაეკითხა. „კავკასიური ცარცის წრიდანაც“ არაერთხელ გაუხსენებია მოხუცი ცოლ-ქმრის დიალოგი და დაუვიწყარი სცენა — იხსნებოდა ჭიშკარი და მაყურებლისკენ მორბოდა ჭაღარა ცოლ-ქმარი — **ლამზირა ჩხეიძე** და **კარლო საკანდელიძე,** რომლებიც, სპექტაკლის მიხედვით, 40 წლის განმავლობაში ერთად იყვნენ და ამდენივე წელი სძულდათ ერთმანეთი. არნახულად უხაროდა, როდესაც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამ ლეგენდარული სპექტაკლიდან თავის ფოტოებს ნახულობდა, ყოველთვის სიყვარულით იხსენებდა **თათია ხაინდრავას** ქალიშვილს **მირანდას,** განიცდიდა უკვე იმქვეყნად წასული მეგობრების არყოფნას, ამბობდა, **რამაზ ჩხიკვაძე** ბოლოს მისი სახლის აივანზე ეტლში ჩამჯდარი ვნახე და ის წუთი თვალებიდან არ ამომდისო. შენახული ჰქონდა ხელსახოცი, რომლითაც ბოლოს რამაზს თვალიდან ცრემლი მოსწმინდა. ვერ ივიწყებდა **სანდრო ჟორჟოლიანს** და მასთან ერთად გადაღებებს მხატვრულ ფილმ „მანანაში“.

**როლის მისაღებად რეჟისორი არასოდეს შეუწუხებია, საკუთარი ღირსების დამდაბლების ხარჯზე კეთილდღეობა არ მოუწყვია. რუსთაველის თეატრიდან გათავისუფლების მერე ძალიან გაუჭირდა, მაგრამ არავინ შეაწუხა, თავისი ბინის ერთი ოთახი გააქირავა და სხვისგან დახმარება არ ითხოვა. ამბობდა — არ მინდა, ვინმეს ვეცოდებოდე, მირჩევნია, ჩემთვის ბრინჯის თეთრი სუფი მოვიმზადო, ვიდრე სხვისი ნუგბარი მივირთვაო.** ბავშვობაში მამას მასზე უთქვამს — საწყალი ბალღი. ლამზირას შენიშვნა მიუცია — მე საწყალი არ ვარო და მთელი ცხოვრება ამ პრინციპით იარა. ხშირად იხსენებდა ღარიბულ ბინას ავლაბარში, სადაც 30 წელზე მეტი გაატარა...

ოჯახი არ შეუქმნია, მასზე ამბობდნენ — უკარებააო, თუმცა, კინოსტუდიაში ერთ-ერთი რეჟისორი უყვარდა. შვილი არ ჰყოლია, მაგრამ ბავშვებზე გიჟდებოდა, ახლობლების შვილებსა და შვილიშვილებისთვის ყოველთვის შენახული ჰქონდა ტკბილეული. ჰყავდა საყვარელი კატა — ფიკო, რომელიც მარტოობას უვსებდა. ამბობდა — არსად არავინ მყავს და ჩემი მარტოობა შემიყვარდაო.

ბოლო წლებში თავის ბინას დიდი აივანი მიაშენა, ამბობდა — მთელი ცხოვრება ვნატრობდი, აივანი გამეფართოებინა და დილით ჩაი იქ დამელია, ბიძინა ივანიშვილის მიერ დანიშნული სტიპენდიით გავაკეთეო. გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ყველაზე დიდ დროს სწორედ ამ აივანზე ატარებდა. მზე უყვარდა. ამბობდა — მხოლოდ მამამ იცოდა ჩემი ხასიათი, მეუბნებოდა — **ლამზირა, შენ მხოლოდ მზეზე ხარ შეყვარებული და სულ მზეს ეალერსებიო.** ეამაყებოდა, რომ ბინა, სადაც ცხოვრობდა, რუსთაველის თეატრიდან მიიღო, მადლიერი იყო **რამაზ ჩხიკვაძისა** და **ეროსი მანჯგალაძის,** რომლებიც ბინის გამოყოფაში დაეხმარნენ. იყო ყოველთვის გულახდილი და მართალი, გაწონასწორებული, არ უყვარდა მლიქვნელები და ფარისევლები, ხშირად იხსენებდა ბულგაკოვის **„ფარისეველთა შეთქმულებას“,** სადაც **მადლენა ბეჟარის** როლი შეასრულა. ამიტომაც უყვარდა **კახი კავსაძე,** რომელსაც ყველაზე მართალ არტისტად თვლიდა, ძალიან განიცადა მისი გარდაცვალება, კახი ისეთი ენერგიული იყო, იმქვეყნად უსაქმოდ რა გააჩერებს, ვრწმუნდები, რომ იქ მართლა თეატრი არისო.

**ვემშვიდობებით ლამზირა ჩხეიძეს, ულამაზეს, ღირსებით შემკობილ და ნიჭიერ არტისტს, რომელსაც თბილისის მიწა 10 იანვარს მიიბარებს, იმქვეყნად კი მისი საკადრისი თეატრი ელოდება!**

*ქეთევან ხამიცაშვილი*

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად: 4. ფერია; 8. სამუმი; 11. პარასოლი; 12. რამპა; 13. ნოდია; 14. ნერონი; 15. კალაპოტი; 16. ქველი; 17. შხამი; 18. ტაიმი; 20. დირიჟორი; 24. საიგა; 26. ლისი; 28. რეპინი; 29. დერმატინი; 30. დიდი; 32. რადიო; 33. კრემი; 36. ორიგინალი; 41. ლევი; 42. კივი; 44. ბელგა; 45. ბურიდანი; 46. მახა; 47. მანტისა; 48. თოლია; 51. დილიჟანი; 55. როტა; 57. კოლეგა; 60. კლიო; 61. ლეგრანი; 62. მორიელი; 64. ვიდეო; 66. ბანდიტი; 67. ნარინი; 68. ჩირი; 69. სიონი.**

**შვეულად: 1. მარანი; 2. ქალაქი; 3. ბოროტო; 4. ფინიში; 5. რადიანი; 6. არაქისი; 7. იმბეცილი; 8. სანიტარი; 9. მერხი; 10. მონდი; 19. მძიმე; 20. დიდრო; 21. რურკი; 22. ჟღალი; 23. რკინა; 25. ტივი; 26. ლირი; 27. სიდრი; 30. დოლი; 31. დავლა; 34. რაე; 35. მაგთი; 37. რჯული; 38. გეიმი; 39. ნიასა; 40. ლაიმი; 42. კონგო; 43. ვაიმე; 44. ბათა; 46. მარაო; 49. ლალი; 50. ანოა; 51. დოლაბი; 52. ლაგუნა; 53. ჟვანია. 54. ნაივი. 56. ტაი; 57. კადრი; 58. ლიონი; 59. გმირი; 60. კლუნი; 63. რონა; 65. ვინ.**

**ტაროსიგარაჟირაფინადირიჩარდაშიკირხევალუარა**
**საბადომინოტავრიაგავაზინინიაფერარიალიბიურო**



**„ასავალ-დასავალის“ რედაქცია** სამძიმარს უცხადებს **სოფო კერესელიძეს** დედის

**ვალენტინა (ვალია) კერესელიძის**

გარდაცვალების გამო.

***დაკრძალვა*** *9 იანვარს, ორშაბათს, 2 საათზე;*
***მისამართი:*** *დიღმის მასივი, მე-5 კვარტალი, მე-9 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-8 სართული*

| ამინდი | რიაზანოვის ფილმი | წმენდილი შაქარი | ინგლისის მეფე ... I ლომგული | ლორთქი-ფანიძის „სოფლის...“ | ვიბრაცია | მდინარე საფრა-ნგეთში |
|---|---|---|---|---|---|---|

| სამკითხაო ბანქო | თამბაქოს ნაწარმი | ბრძოლკისერა ცხოველი | მხეცი | უნგრული ცეკვა | ლუთერა-ნული ეკლესია | ფრანგ მეფეთა დინასტია | პეიერ-დალის ნავი |
|---|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. ზღაპრული გრძნეული ქალი; 8. მშრალი, ცხელი ქარი აფრიკის უდაბნოში; 11. მზის ქოლგა; 12. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 13. ფეხბურთელი; 14. რომის იმპერატორი; 15. მდინარის სადენი ჩაღრმავება; 16. მოწყალე; 17. საწამლავი; 18. ფეხბურთის მატჩის ნახევარი; 20. ორკესტრის ხელმძღვანელი; 24. სტეპების ბინადარი გარეული ცხოველი; 26. ჭაობის მცენარე; 28. რუსი მხატვარი; 29. ხელოვნური ტყავი; 30. ქართული ფილმი „... მწვანე ველი“; 32. მაუწყებლობის ერთ-ერთი საშუალება; 33. ტორტის მოსართავი მასა; 36. დედანი; 41. ფულის ერთეული ბულგარეთში (ძველად); 42. ახალზელანდიური ფრინველი; 44 ნიშნობის ბეჭედი ძველად; 45. ფრანგი ფილოსოფოსი; 46. გოია „შიშველი...“; 47. ალგორითმის წილადური ნაწილი; 48. ა. ჩეხოვის პიესა; 51. ქალაქი სომხეთში ; 55. იტალიელი კომპოზიტორი; 57. ამხანაგი პროფესიის მიხედვით; 60. ეპიკური პოეზიის ბერძნული მუზა; 61. ფრანგი კომპოზიტორი; 62. ზოდიაქოს ნიშანი; 64. ვუყურებ, ვხედავ ლათინურად; 66. ყაჩაღი, მძარცველი; 67. რუსუდანის ძე დავით ...; 68. გამხმარი ხილი; 69. ტაძარი თბილისში.

შვეულად: 1. ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილი; 2. დიდი დასახლებული პუნქტი; 3. ნ. ბარათაშვილი — „სულო...“; 4. შეჯიბრების დასასრული; 5. სივრცითი კუთხის საზომი ერთეული; 6. მიწის თხილი; 7. გონებასუსტი ადამიანი; 8. უმცროსი მედიცინის მუშაკი; 9. სასკოლო ინვენტარი; 10. ფრანგული გაზეთი; 19. სასვენი ნიშანი; 20. ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი; 21. ჰოლივუდის მსახიობი მამაკაცი; 22. შავ-წითელი ფერი; 23. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 25. სამდინარო ტრანსპორტი; 26. უ. შექსპირი — „მეფე ...“; 27. ვაშლის ღვინო; 30. ბატკნის მოგების დრო; 31. ალაფი, ნადავლი; 34. ქართული ასო რ-ს სახელი; 35. მობილური სატელეფონო კომპანია. 37. სარწმუნოება; 38. პარტიის ნაწილი ჩოგბურთში; 39. ტბა მოზამბიკში; 40. ციტრუსოვანი მცენარე; 42. აფრიკის სახელმწიფო; 43. ტკივილის, მწუხარების შორისდებული; 44. დ. შენგელაიას „... ქექია“; 46. ერთ-ერთი ქართული ტელეარხი; 49. წითელი ძვირფასი ქვა; 50. ჯუჯა კამეჩი; 51. წისქვილის ქვა; 52. წყალმარჩხი ყურე; 53. ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი მონაწილე; 54. ნაივური მხატვრობა; 56. ტაილანდის ენა; 57. ფილმის ცალკე სცენა; 58. ქალაქი საფრანგეთში; 59. მხატვრული ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი. 60. ჰოლივუდის მსახიობი მამაკაცი. 63. მდინარე საფრანგეთში; 65. რომელი ადამიანი?

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| მადნეულის მოსაპოვებელი ადგილი | მეფე მინოსის ურჩხული | საფეიქრო ბანანი | რუსი ქიმიკოსი | ყალთა-ბანდობა | ირანის ფულის ერთეული | ცნობათა .... |
|---|---|---|---|---|---|---|

| ლიტერა-ტურული პრემია | სამაგიდო თამაში | უკრაინული ავტომობილი | მტაცებელი ფრინველი | კოლუმბის ხომალდი | იტალიური ავტომობილი | უდანაშა-ულობის საბუთი | დიდი ჩაქუჩი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

| თვის რიცხვები | ვერძი | კურო | ტყუპები | კირჩხიბი | ლომი | ქალწული | სასწორი | მორიელი | მშვილდოსანი | თხის რქა | მერწყული | თევზები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 ორშ. | | | | | | | | | | | | |
| 10 სამშ. | | | | | | | | | | | | |
| 11 ოთხშ. | | | | | | | | | | | | |
| 12 ხუთშ. | | | | | | | | | | | | |
| 13 პარ. | | | | | | | | | | | | |
| 14 შაბათი | | | | | | | | | | | | |
| 15 კვირა | | | | | | | | | | | | |



რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

**ასავალ დასავალი**

2023 წლის 9 - 15 იანვარი №3 (1467)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**




THE FLAG
OF THE
UNITED STATES
OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol